საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

## პრეზიდენტი

# ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაცია დაინტერესებულია საქართველოსთან ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავებით

**11 მაისს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილეს პოლიტიკურ საკითხებში მარკ გროსმანს.**

სახელმწიფო მდივნის მოადგილე თბილისში ევროპიდან ჩამოვიდა, სადაც იგი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დავალებით კონსულტაციებს მართავდა. მარკ გროსმანის ევროპულ ტურნეში საქართველო ჯორჯ ბუშის უშუალო მითითებით მოხვდა. გროსმანის განცხადებით, ამერიკის ახალი ადმინისტრაცია დაინტერესებულია საქართველოსთან არსებული ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავებით.

„ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ", – განაცხადა შეხვედრის დასასრულს გამართულ ბრიფინგზე მარკ გროსმანმა.

იმავე დღეს ამერიკელი სტუმარი კვლავ ევროპაში გაემგზავრა.

**საქინფორმი.**



## გვწერენ

# სახელმწიფოს მეთაურის ლანძღვა ყველაზე იაფი და მომგებიანი ბიზნესია

**დაარღვია თუ არა კონსტიტუცია ედუარდ შევარდნაძემ?**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შევიდა. გასარკვევია: არღვევს თუ არა კონსტიტუციას საქართველოს პრეზიდენტი, უნდა იყოს თუ არა იგი მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარე.

სამართლებრივი დავა ჯერ წინაა. როგორც რიგითი მოქალაქე, არ ვიცნობ სარჩელში ჩამოყალიბებულ არგუმენტებს, ფაქტებს და იმ მუხლებს, რომლებიც მოსარჩელეთა აზრით ამაგრებენ მათ პოზიციას.

იხ. მე-3 გვ.

## გუშინ

# ტყვეები გაცვალეს პრინციპით – ყველა-ყველაზე

**გუშინ რუხის ხიდზე ქართულმა და აფხაზურმა მხარეებმა ტყვეები გაცვალეს პრინციპით – ყველა-ყველაზე.**

ტყვეთა გაცვლის საკითხი, გალის რაიონში რუსეთის სამშვიდობო ძალების №201 საგუშაგოს ტერიტორიაზე, ქართული და აფხაზური ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელთა შეხვედრაზე გადაწყდა. როგორც „იფრინდას" დაზვერვის დეპარტამენტის შეფმა ავთანდილ იოსელიანმა განუცხადა, ქართულმა მხარემ აფხაზებს გადასცა 5 სამხედრო და ე. წ. აფხაზური საბაჟოს წარმომადგენელი ასლან კასლანძია, აფხაზებმა ქართულ მხარეს კი – 3 პარტიზანი და თევზსაჭერი სეინერის ეკიპაჟის 5 წევრი.

შეხვედრას ქართული მხრიდან ესწრებოდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, უშიშროების მინისტრი, გენერალური პროკურორი და დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, ხოლო აფხაზური მხრიდან – სოხუმის მთავრობის გენერალური პროკურორი, უშიშროების მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე. შეხვედრაში ასევე, მონაწილეობდნენ გაეროსა და რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები.

შეხვედრაზე ა. იოსელიანმა დააყენა ბაბუშერას აეროდრომის ტერიტორიაზე დაკრძალული 1416 ქართველი ლტოლვილის გადმოსვენების პროცესის განახლების საკითხი, რასაც, მისივე თქმით, აფხაზებიც და გაეროს წარმომადგენლებიც დადებითად შეხვდნენ. დაზვერვის დეპარტამენტის შეფის თქმით, უკვე მომავალ კვირას, აფხაზეთში ჩავლენ ტყვეთა გაცვლისა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების სახელმწიფო კომისიის წევრები, რომლებიც აფხაზურ მხარესთან მოილაპარაკებენ გადმოსვენების პროცესის დაწყების კონკრეტულ თარიღზე და გადმოსვენების სქემაზე.

**იფრინდა.**

**ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:**
http://www.opentext.ge/sakartvelos-respublika

**ოთხ დღეში ჩვენს გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 1368 მკითხველი. მათ შორის, 73% აშშ-დან, 24% – საქართველოდან.**

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ..."
ე. შევარდნაძე


# საქართველოს რესპუბლიკა

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1919 წელს, აღდგენილია 1990 წელს. №112 (3853) შაბათი, 12 მაისი, 2001 წელი. ფასი 50 თეთრი.


## მილოცვა

# ნონას

ჩემო ძვირფასო, გილოცავ დაბადების დღეს



ჭადრაკი შენი მონაა
თუ შენ ჭადრაკის მონა ხარ?
იარონ, მთელს დუნიაზე,
შენებრ ქალს ვერვინ მონახავს.
გვარი ცისკენ გაფრინდა,
მიწაზე ერთი ნონა ხარ,
ან ნეტა გვარი რად გინდა,
ათასი გვარის წონა ხარ.
წასულ წლებს, მძივად ასხმულებს,
მთამომავლობა მონახავს,
სამოცი წელი გასულა?
სამოცი წელი მოვა ხვალ.
შენ გეუბნები, ჭადრაკო,
ნონას მწვერვალზე რომ ახვალ,
იქიდან უთხარ მსოფლიოს,
ჭადრაკი ხარ თუ ნონა ხარ.

**ჯანსუღ ჩარკვიანი,**
2001 წ. 2 მაისი.

„ლაზიერის" დღევანდელი გამოშვება

იხ. მე-5-8 გვ.

## ექსკლუზივი

# მაინც რა დაგვიბარა უცხოელმა „წერეთელმა"?

**ბლიცინტერვიუ საქართველოს ფინანსთა მინისტრთან ზურაბ ნოღაიდელთან**

**აგერ უკვე რამდენი ხანია მღერიან რაჭველები – „წერეთელმა დაგვიბარაო" – მაგრამ არც თავად იციან და ვერც სხვებს გააგებინეს, მაინც რა ანდერძი დატოვა იმ ცხონებულმა.**

**საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიამ სულ სამი დღის წინათ დაამთავრა მორიგი სამუშაო ვიზიტი საქართველოში, მაგრამ ჩვენს მასმედიაში უკვე აზრთა საოცარი სხვადასხვაობაა მისი სტუმრობის შედეგებთან და პოზიციასთან დაკავშირებით.**

**– მაინც რა დაგვიბარა კონკრეტულად წასვლისას ჩვენმა საზღვარგარეთელმა „წერეთელმა" – საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიამ? – ამ კითხვით დაიწყო ჩემი ბლიცინტერვიუ საქართველოს ფინანსთა მინისტრთან ზურაბ ნოღაიდელთან.**

– განსაკუთრებული და შეუძლებელი, მით უფრო, გასაკვირი და მიუღებელი არაფერი, – ეღიმება ბატონ ზურაბს. – მან მხარი დაუჭირა საქართველოს მთავრობის პოლიტიკას, გვთხოვა მაქსიმალური მონდომებით ვიმუშაოთ ბიუჯეტის კუთვნილი თანხების ამოღებაზე და, – ჩვენც თქვენს გვერდით გვიგულეთო! ეს არის სულ.

**– რახან შეუძლებელი მართლაც არაფერი უთხოვნია, იქნებ მოკლედ შეაფასოთ მისი ვიზიტის შედეგები?**

– ჩემი შეფასება მხოლოდ პოზიტიურია. უნდა გითხრათ ისიც, რომ ერთგვარად მეშინოდა კიდეც, ქვეყნის მთავრობა ადრინდელივით მოუმზადებელი არ შეხვედროდა მისიის ვიზიტს და, საკუთარი კონკრეტული პროგრამის უქონლობის გამო, კვლავაც არ გამხდარიყო იძულებული უყოყმანოდ დაყაბულებოდა ფონდის რეკომენდაციებს. მოხარული ვარ, რომ ამ ბოლო ხანს, ყოველ შემთხვევაში,

იხ. მე-2 გვ.

## დედაქალაქი

# თბილისი – მსუყე რეზერვებით და მწირი შემოსავლებით

**ლადო კახაძე სვამს დიდ კითხვის ნიშანს, რომლის უკან კორუმპირებული ჩინოვნიკები იმალებიან**

**აი უკვე მერამდენე წელიწადია, ქვეყანაში საბიუჯეტო ციებ-ცხელება არ ცხრება.** მთავრობის ეკონომიკური რგოლის თავკაცებმა, საერთაშორისო საფინანსო ელიტის წარმომადგენლებთან ერთად, რა აღარ იღონეს, მაგრამ საბიუჯეტო ხარჯები შეკვეც-შეავიწროვეს, დეფიციტშეყრილი ქრონიკული ეპიდემიისგან მაინც ვერ განკურნეს. ამის დასტურია წლევანდელი პირველი კვარტალისა და აპრილის თვის შედეგებიც.

ეს ცენტრალურ ბიუჯეტში, მაგრამ როგორია ამ მხრივ სიტუაცია დედაქალაქში? ამ საკითხზე



სასაუბროდ სიამოვნებით დამთანხმდა ლადო კახაძე – თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე.

იხ. მე-2 გვ.

## დაჯილდოება

# საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2001 წლის 8 მაისი ქ. თბილისი

**ნ. იაშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოს მიწის რესურსების კვლევაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის აკადემიკოს თ. დავითაიას სახელობის პრემიის ლაურეატი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი **ნიკოლოზ იაშვილი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**ე. შევარდნაძე.**

## გიხაროდენ!

# ნაბოლარა ანი ჯანმრთელი გოგონაა



ნათქვამია: – ერთი შვილი არა შვილი, ორი შვილი – ვითომ შვილი, სამი შვილი – მართლა შვილი. ასეც ახდა პედაგოგების მარინა არჩემაშვილისა და გოჩა გლოველის ოჯახში. გრიგოლ კობახიძის სახელობის თბილისის №5 გიმნაზიაში მარინა მათემატიკის მასწავლებელია, გოჩა კი ფიზკულტურის. მათ აქ 14 წლის წინ სიყვარულით შექმნეს ოჯახი; ჰყავთ ორი მოზრდილი ვაჟიშვილი ნოდარი და შოთიკო.

ძმები დაიკოს ნატრობდნენ, მარინა და გოჩა კი გოგონას. აუხდათ ოცნება, ოჯახმა ნანატრი გოგონის შეძენით გაიხარა. სკოლის კოლექტივმაც თანაუგრძნო ოჯახს...

ანი აკადემიკოს ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და სამეანო გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში დაიბადა. მარინა მეან-გინეკოლოგებმა ნესტან ნემსაძემ და მარინა იოსელიანმა მოალოგინეს. ჩვილის დედა მადლიერია ამ ინსტიტუტის სამედიცინო პერსონალის ყურადღებით.

ანიმ სიხარული შეიტანა პედაგოგების ოჯახში, გლოველებს შინ უკვე სამი შვილი ეზრდებათ. ვულოცავთ ქალიშვილის შეძენას, ანის კი ბედნიერ მომავალს ვუსურვებთ.

**ლეილა არჩემაშვილი.**

**სურათზე:** მარინა თავის გოგონასთან.

**ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.**

## ვინ არის ვინ

# კორუფცია არ არის საძებარი – ის ზედაპირზე დევს

**რუსუდან ლორთქიფანიძე — ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს წევრი.**

დღეს კოლეგაზე მიწევს საუბარი:

ქალბატონი რუსუდანი მრომისმოყვარეობით, მებრძოლი სულით, პატიოსნებით გამორჩეული პიროვნებაა. მუდამ მოწესრიგებულია და აქვს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა.

მორწმუნეა და მიაჩნია, რომ ცხოვრებაში ყველაფერი დიდ კანონზომიერებას ემორჩილება, ანუ ის, რისი დროც ჯერ არ დამდგარა და ის, რაც კაცისთვის არ არის განკუთვნილი არ იქნება, არ შეერგება!

არ დავმალავ, ახლა მას ხშირად ეუბნებიან, „თორმეტკაცა" კი არა, თორმეტი მილიონიც ვერ მოერევა ქართველ კორუმპირებულებსო". თვითონ ის კი დიდ იმედებს ამყარებს ახლადშექმნილ საკოორდინაციო საბჭოზე, სადაც, კომპეტენტური, პატიოსანი ადამიანები არიან გაერთიანებული, თანაც, საზოგადოებაც უკვე მზად არის შეებრძოლოს კორუფციას, რომელიც დიოგენის ფარნით კი არ არის საძებარი, არამედ ყველას თვალწინ, ზედაპირზე დევს, – ამბობს ქალბატონი რუსუდანი.

იხ. მე-2 გვ.

## პრესკონფერენცია

# „აზოტს" შველა სჭირდება

**სააქციო საზოგადოება „აზოტი", როგორც ჩანს, იმდენად გემრიელი ლუკმაა, რომ მის ირგვლივ ჭიდილი კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება. და თუ საქმეში სახელმწიფო დროულად არ ჩაერევა, მალე ამ მსუყე ლუკმიდან გამოხრული ძვალიღა დარჩება.**

გუშინ სასტუმრო „მეტეხში" სააქციო საზოგადოება „აზოტში" შექმნილი ვითარების გამო მორიგი პრესკონფერენცია გამართეს კომპანია „ალსო ტრანსის" გენერალურმა დირექტორმა იოსებ მამუკელაშვილმა, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ ნუგზარ ჩიხლაძემ და კომპანია „ექსის" აღმასრულებელმა დირექტორმა ოთარ ხუციშვილმა.

„აზოტის" ირგვლივ ვნებათა ღელვა ბოლო დროს საწარმოდან მოპარულმა ძვირფასმა ლითონებმა გაზარდა.

„ალსო ტრანსის" გენერალური დირექტორის განცხადებით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში ქარხნიდან საკმაოდ დიდი რაოდენობის ფერადი ლითონი – პლატინა და პალადიუმია გატანილი.

იხ. მე-2 გვ.

## სიტუაცია

# მძევლები პანკისის ხეობაში არიან,

**თუმცა გამტაცებლებთან კონტაქტზე ჯერ არავინ გასულა**

**პარლამენტარი პეტრე ცისკარიშვილი და მისი საცოლე ანა სურმავა კვლავ ტყვეობაში იმყოფებიან. საქართველოს გენერალურ პროკურატურაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ადამიანის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის მუხლით. საქმეს იძიებს სპეციალური ჯგუფი. გვესაუბრება ამ ჯგუფის ხელმძღვანელი ელდარ თოფჩიევი:**

**– ბატონო ელდარ, რას გვეტყვით ახალს? ვგონებ ინტერესი და შიში უკვე ერთმანეთში ირევა.**

– ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, უპირველესად, მინდა ყველა ჟურნალისტს ვთხოვო, რომ თავი შეიკავოს ნაადრევი დასკვნების გამოტანისა თუ ნაირ-ნაირი ვერსიების დასახელებისაგან. უნდა გავიგოთ, რომ გატაცებულია ორი ახალგაზრდა, მათი სიცოცხლე, ასე თუ ისე, მაინც საფრთხეშია. ამიტომ არ ღირს ყველაფრის ხმამაღლა თქმა, საქვეყნოდ გამოჭენება.

იხ. მე-2 გვ.

## ინფორმაცია

### საქართველოს დელეგაცია სტუმრად კახის რაიონში

**აზერბაიჯანში,** კახის რაიონში მოსე ჯანაშვილის სახლ-მუზეუმი გაიხსნა. ამ ღირსშესანიშნავი მოვლენისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიაში მონაწილეობდა მეზობელ და მეგობარ ქვეყანაში საქართველოს დამოუკიდებლობის ათი წლისთავთან დაკავშირებით მყოფი საქართველოს ოფიციალური დელეგაცია.

საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა კულტურის მინისტრი სესილი გოგიბერიძე. დელეგაციას მასპინძლობდა აზერბაიჯანის კულტურის მინისტრი ფოლად ბულბულ ოღლი.

საქართველოს დელეგაცია ასევე ეწვია ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართულ თეატრს, რომელსაც დაარსების 15 წელი შეუსრულდა და ამავე დროს მიეკუთვნა სახალხო თეატრის სტატუსი.

### თურქეთი სამხედრო სფეროს გვიფინანსებს

**თურქეთის** რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის სამხედრო სფეროში გრანტის ხელშეკრულებისა და მისი დამატებითი ოქმის თანახმად, თურქეთის მხარე ჩვენი ქვეყნის აღმასრულებელ ხელისუფლებას 5 მილიონ ამერიკულ დოლარს გამოუყოფს.

თურქეთის მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხა მოხმარდება მე-11 ბატალიონის მოდერნიზაციას, კოსოვოში გაგზავნილ ქართულ სამშვიდობო ოცეულს, თურქეთში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პერსონალის სასწავლო კურსებს და თურქეთის სამხედრო დელეგაციათა ვიზიტებს საქართველოში.

### ლტოლვილებს დახმარების მიცემას შეპირდნენ

**გაეროს** მისიის ოფისის წინ ზუგდიდში აქცია გამართეს აფხაზეთის კონფლიქტის ზონიდან ლტოლვილებმა, რომლებიც დროებით სამეგრელოში ცხოვრობენ. აქციის მონაწილეებმა მოითხოვეს გადაუხადონ მათ პენსიები და დახმარებები, რომელიც 7 თვის განმავლობაში არ მიუღიათ.

ლტოლვილებს შეხვდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. მათ შეკრებილთ აღუთქვეს, რომ დავალიანების დაფარვას დაიწყებენ უკვე მომავალ ორშაბათს. ამის შემდეგ აქცია შეწყდა. მაგრამ, ლტოლვილებმა აღნიშნეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ დანაპირებს არ შეასრულებენ, აქცია განახლდება.

### ხელი მოაწერა ევროპულ შეთანხმებას

**საქართველოს** საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა მონაწილეობა მიიღო სტრასბურგში 10-11 მაისს მიმდინარე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 108-ე სხდომაში.

როგორც პრაიმ-ნიუსს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში აცნობეს, ხუთშაბათს ირაკლი მენაღარიშვილმა ხელი მოაწერა ევროპულ შეთანხმებას „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმის წარმოებაში მონაწილე პირთა შესახებ". ეს შეთანხმება არ იყო შესული ევროპის საბჭოს წინაშე საქართველოს ვალდებულებებში.

ხელმოწერის შემდეგ მენაღარიშვილი შეხვდა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ვალტერ შვიმერს, რომლის დროსაც განიხილეს ევროპის საბჭოსა და საქართველოს შორის მიმდინარე თანამშრომლობის საკითხები, ასევე საქართველოს მიერ ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებისას ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობა. პარასკევს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის ოფიციალურ სხდომაზე, სხვა საკითხებთან ერთად, განიხილეს ორი ძირითადი პოლიტიკური თემა – მდგომარეობა ბალკანეთსა და კავკასიაში.

**ინფორმაციები მოგვაწოდა: საქინფორმმა.**

## გვირეკავენ, გვეკითხებიან

**– დავიბადე 1941 წლის 3 თებერვალს. მუშაობა დავიწყე 1959 წელს, მას შემდეგ სხვადასხვა ადგილას ვმსახურობდი. პენსიის დასანიშნად ჩვენი რაიონის საპენსიო განყოფილებას მივმართე. მაგრამ უარი მითხრეს. საპენსიო ასაკი არ შეგსრულებიაო.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, რამდენად კანონიერია აღნიშნული პასუხი?**

**პაატა ნაფეტვარიძე.**

– მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქალებს მოხუცებულობის პენსია ენიშნებათ 60 წლის, ხოლო მამაკაცებს – 65 წლის ასაკში.

ამდენად, კანონის თანახმად, სწორად უთქვამთ უარი თქვენთვის მოხუცებულობის პენსიის დანიშვნაზე. პენსიის დანიშვნის უფლებას მოიპოვებთ 65 წლის შესრულების შემდეგ.

**ირინე ღლონტი.**

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90, 93-28-54.**

## დღის ანეკდოტი

— გადამრევენ ეს ავტოინსპექტორები! კორუფციასთან ბრძოლა დაიწყო და ძირისძირობამდე მოგვყვებიან!
— რაო, რა მოხდა ასეთი?
— რაო და, გუშინ ქუჩაში გამაჩერა ავტოინსპექტორმა და მეკითხება:
— უმანქანოდ რატომ ხარ?


# შპს მაგთიკომი
# MAGTICOM Ltd

მაგთი MAGTI GSM

*მაგთიკომი კვლავ სასიამოვნო სიახლეს გთავაზობთ!*

*10 მაისიდან საზღვარგარეთთან დაკავშირების მნიშვნელოვნად შემცირებული ტარიფები!*

**მხოლოდ კოდი 00-ის გამოყენებით!**

**რუსეთის ნებისმიერი მიმართულებით დარეკვისას**
**წუთი – 29 თეთრი**

**დსთ-ს დანარჩენ ქვეყნებში წუთი – 37,5 თეთრი**

**მსოფლიოს სხვა ქვეყნებში წუთი – 39 თეთრიდან**

(აღნიშნული ტარიფები არ შეიცავს დღგ-ს).

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ:
მაგთი GSM-ის ოფისებს, ან მაგთი GSM-ის
უფასო საინფორმაციო სამსახურს
25-00-00 25-11-11 მობილურიდან 525
აკრიფეთ 00 და ისარგებლეთ ახალი ტარიფებით!

*მაგთი GSM — მუდმივი ზრუნვისა და კომფორტის სამყარო.*


## პრესა

# სიტყვა გაფრენილ ჩიტსა ჰგავს

**წასვლა ღირსეულად უნდა შეგეძლოს**

არ დავმალავ, გაზეთ „რეზონანსის" მკითხველი ვარ ნამდვილად, არც იმას დავმალავ, რომ გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილი ზოგიერთი წერილი ჩემს აღფრთოვანებას იწვევს, მაგრამ მიმდინარე წლის 7 მაისს გამოქვეყნებულმა წერილმა სათაურით „პოლიციის გენერალმა გარდაცვლილი ქალი სამსახურიდან გაანთავისუფლა" გამაოცა ფრიად. გამაკვირვა იმდენად, რამდენადაც მე მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების მანძილზე განათლების სფეროს ვემსახურებოდი.

იხ. მე-2 გვ.

## უკანასკნელ საათს



**აშშ** იუსტიციის მინისტრმა ჯონ ეშკროფტმა 30 დღით გადადო ტიმოთი მაკვეის სასიკვდილო განაჩენის აღსრულება. მიზეზი ის არის, რომ მის ადვოკატებს არ მიუღიათ ათასზე მეტი დოკუმენტი, რომლებიც გფბ-ს აქვს.

**გუშინ** რუსეთის ფედერალურმა ძალებმა ჩეჩნეთში მოკლეს საველე მეთაური აპტი აბიტაევი, რომელიც მონაწილეობდა ბრიტანელი და ახალზელანდიელი ექიმების გატაცებასა და მკვლელობაში.



## ამინდი დღეს

**დასავლეთ საქართველოში**

დაბლობში: ღამით +7+12; დღისით +17+22.

მთაში: ღამით +5+10; დღისით +15+20.

**აღმოსავლეთ საქართველოში**

ბარში: ღამით +8+13; დღისით +20+25.

მთაში: ღამით +6+11; დღისით +16+21.

**თბილისში**

ღამით და საღამოს საათებში წვიმა ელჭექით. ღამით +11+13; დღისით +23+25.

**საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.**

## ლარის კურსი

*12 მაისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:*

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 2.9277 ლარი |
| გერმანული მარკა | 1 | 0.9287 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.0595 ლარი |
| ევრო | 1 | 1.8148 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0711 ლარი. |

## ინტერპანორამა

**რფ** გენერალურმა პროკურატურამ შეწყვიტა ყოფილი გენპროკურორების ილიუშენკოსა და სკურატოვის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეები.





**აშშ-ში** გადაწყვიტეს 200 მილიონი გამოჰყონ შიდსისა და სხვა ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ საბრძოლველად. მომავალში ეს თანხა 10 მილიარდამდე გაიზრდება.



**გუშინ** ბელგიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა 14 მაისიდან განაახლოს ვიზების გაცემა რუსეთის მოქალაქეებისათვის.



**„საქართველოს რესპუბლიკა" – ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების" თვითმფრინავებში.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 112. შაბათი, 12 მაისი, 2001 წელი.

ექსკლუზივი

(პირველი გვერდიდან)

მას შემდეგ, რაც მთავრობაში ვარ, არ ყოფილა სერიოზული შეფერხებები ფონდთან ურთიერთობაში. იგი, როგორც ვთქვი, იზიარებს ჩვენს პოზიციასა და გეგმებს, რაც, ცხადია, სასიხარულოა, მაგრამ პასუხისმგებლობასაც განუზომლად გვიზრდის.

**— მოარული ხმებით, იმის გამო, რომ წლის განვლილ პერიოდში დაირღვა ბიუჯეტის შესრულების დაგეგმილი პარამეტრები, მისიის ვიზიტისას სეკვესტრზეც იყო საუბარი.**

— ასეთი რამ არ ყოფილა. ფონდი ამგვარ რეკომენდაციებს არ იძლევა. მისი პოზიცია ნათელია: მთავრობამ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს საბიუჯეტო შემოსავლების მიღება, რათა არ შემცირდეს სოციალური პროგრამების დაფინანსება. საამისოდ ადმინისტრირების სერიოზული რეზერვებიც გვაქვს.

**— მაგრამ რამდენად გამოგვადგება ადმინისტრირების მეთოდები დღევანდელ, საბაზრო ეკონომიკის პირობებში? მით უფრო, რომ, ერთი ფრთიანი გამოთქმისა არ იყოს — ეს უკვე იყო, იყო... ნუთუ ეკონომიკური ბერკეტებით და მოქნილი საგადასახადო პოლიტიკით არ შეიძლება მდგომარეობის გამოსწორება?**

— ვერანაირი ეკონომიკური ბერკეტებით კონტრაბანდას ვერ ალკვეთ.

**— კონტრაბანდასთან დაკავშირებით ერთი შეკითხვა: ფონდმა ამ ჯერობაზე არ გამოგვიყო 12 მილიონდოლარიანი ტრანში, ანუ 24 მილიონ ლარზე ოდნავ მეტი. ჩვენ კი, როგორც „საქართველოს რესპუბლიკა" ამ დღეებში წერდა, იმის გამო, რომ მხოლოდ ორი წერტილიდან — ერგნეთიდან და აფხაზეთიდან კონტრაბანდის შემოტანა ვერ აღვკვეთავს, ამ „შემოპარულ" საქონელზე მარტო დამატებითი ღირებულების გადასახადის დაურიცხაობით თვეში 35 მილიონ ლარზე მეტს ვკარგავთ. სხვათა შორის, ჩვენი გაზეთის ეს პუბლიკაცია საგადასახადო ლეგიონის ხელმძღვანელის თემურ ხევსურიანის მონაცემებზე დაყრდნობით გაკეთდა. ამის გათვალისწინებით, თუმცა კარგად მესმის სავალუტო ფონდთან თანამშრომლობის მნიშვნელობა, რა გვაქვს მასთან სახვეწარი?**

— მერწმუნეთ, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მჭიდრო და საქმიანი თანამშრომლობის, მისი დახმარების გარეშე ამ ეტაპზე და, საერთოდაც, მეტად გაგვიჭირდება. რაც შეეხება ბატონ თემურ ხევსურიანს, იგი გარეშე მეთვალყურის პოზიციიდან კი არ უნდა აფიქსირებდეს შემოსული კონტრაბანდული საქონლის ოდენობას, არამედ გადამჭრელად უნდა იბრძოდეს ჩვენი ეკონომიკის გამანადგურებელი ამ სენის აღსაკვეთად. ეს ამ ლეგიონის უშუალო მოვალეობაა.

**— რა კეთდება საამისოდ მთავრობაში?**

— საგადასახადო შემოსავლების სამინისტრო მუშაობს შესაბამის სამოქმედო პროგრამაზე, რომელმაც უთუოდ უნდა გამოასწოროს მდგომარეობა.

**— დიდი მითქმა-მოთქმაა ფონდის მისიის ერთი რეკომენდაციის გამო, რომლის მიხედვითაც ელექტროენერგიის ძველი დავალიანების დასაფარავად თურმე ტარიფები უნდა გაიზარდოს...**

— ფონდის მისიას ამგვარი რეკომენდაცია მთავრობისთვის არ მიუცია. მით უფრო, რომ ტარიფებს ადგენს არა მთავრობა, არამედ ელექტროენერგიის მარეგულირებელი ეროვნული კომისია, რომელმაც გარკვეულ ობიექტურ გაანგარიშებებზე დაყრდნობით უნდა დააწესოს იგი.

**— მაგრამ, რამდენადაც ვიცი, ფონდის მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში ქრისტოფერ ლეინმა ტელეჟურნალისტებთან საუბრისას სერიოზული სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ მისიის გამგზავრებიდან სულ ორიოდ დღეში საქართველოს მთავრობამ დაარღვია მასთან მიღწეული შეთანხმება ტარიფის გაძვირებასთან დაკავშირებით, რითაც უნდა დაფარულიყო ელექტროენერგიის ძველი დავალიანება. ისიც უბრძანებია, ეს, ალბათ, უარყოფითად იმოქმედებს ჩვენს ქვეყანასთან ფონდის მომავალ ურთიერთობაზეო.**

— არ ვიცი, რა ბრძანა ბატონმა ლეინმა, მაგრამ კვლავაც ვიმეორებ: ასეთი რამ არ ყოფილა. მისიამ მხოლოდ გვირჩია, გაგვეთვალისწინებინა ტარიფში ძველი დავალიანების დაფარვის შესაძლებლობა. ამის რეზერვი კი ტარიფში, ჩემი ღრმა რწმენით, არის. მით უფრო, ზაფხულში, როდესაც ელექტროენერგიის გამომუშავება უფრო იაფია.

სხვაგვარად ძველი დავალიანების დაფარვა შეუძლებელია. პირადად მე, სანამ ფინანსთა მინისტრი ვარ, არასგზით არ დავეთანხმები, რომ ეს დავალიანება ბიუჯეტს „დაეკიდოს", ბიუჯეტს, რომლის 87 პროცენტი სოციალური მიმართულებისაა, ანუ დაცული მუხლების დაფინანსებას ემსახურება. ამის გათვალისწინებით, ელექტროენერგიის დავალიანების გასტუმრების ბიუჯეტისთვის დაკისრება ნიშნავს, რომ ბობოლების მიერ დახარჯულ-მითვისებული თანხები ჩვენი რიგითი მოქალაქეების პენსიების, შემწეობებისა თუ ხელფასების ხარჯზე ავანაზღაუროთ. ამას კი არც ჩვენი მთავრობა დაეთანხმება და არც მე.

**— სავალუტო ფონდის მისია ამ ზაფხულს კვლავ გვეწვევა. რის გაკეთებას აპირებს მთავრობა მანამდე მდგომარეობის გამოსასწორებლად?**

— სწორად გამიგეთ, სავალუტო ფონდი უბრალო შუამავალი კი არ არის საქართველოსა და დონორ ქვეყნებს შორის. იგი საქართველოს სახელით მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობს ჩვენს დასახმარებლად. ოღონდ ჩვენც ხელი უნდა გამოვიღოთ, საქმით დავუმტკიცოთ მასაც და დონორ ქვეყნებსაც, რომ ვართ ამ დახმარების გამოყოფის ღირსი, შეგვიძლია მისი გონივრულად და საქმის სასარგებლოდ გამოყენება. უამისოდ უკვე არვინ დაგვეხმარება.

რაც შეეხება მისიის მორიგ ვიზიტს, თუ მანამდე საბიუჯეტო მდგომარეობა არ გავაუმჯობესეთ, ვითარება ძალიან დაიძაბება და ეს მოხდება არა იმდენად ფონდთან მოსალოდნელი კონფლიქტური სიტუაციის გამო, რამდენადაც იმით, რომ ჯეროვნად ვერ დავაფინანსებთ სოციალურ პროგრამებს, რის დაუშვებლობაც ჩვენი უმთავრესი საზრუნავიც არის და ფონდიც კატეგორიულად მოითხოვს.

მაგრამ აქამდე საქმე, ვიმედოვნებ, არ მივა, რადგან არის შემოსავლების მიღების გაუმჯობესების რეზერვები, რომლებიც მაქსიმალურად უნდა ავამოქმედოთ.

## მაინც რა დაგვიბარა უცხოელმა „წერეთელმა"?

ესაუბრა
**რუსლან რუსია.**

ვინ არის ვინ

# კორუფცია არ არის საძებარი — ის ზედაპირზე დევს

(პირველი გვერდიდან)



მისი პრინციპია: — ქვეყანაში უსათუოდ უნდა აღმოიფხვრას დაუსჯელობის სინდრომი. კანონი ყველასათვის, ვინც გინდა იყოს იგი, ერთნაირად უნდა კანონობდეს, თუ ჩვენ ამას ვერ მივაღწევთ, ჩათვალეთ, რომ კორუფციას ბეწვიც არ შეერხევა.

ქალბატონი რუსუდანი აფხაზეთში, გაგრის რაიონის დაბა ბიჭვინთაში დაიბადა 1953 წლის 1 იანვარს, კვირა დღეს (სამშობიაროს გვერდით კი, ღვთისმშობლის ტაძარში საკვირაო ლოცვა აღიელინებოდა). — ამ დღიდან რწმენა თილისმად მექცა, — ამბობს ის.

წარჩინებით დაამთავრა ვანის რაიონის პირველი საშუალო სკოლა, შემდეგ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. მუშაობდა გაზეთებში „თბილისი", „კაბადონი", ამჟამად გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მთავარი რედაქტორის მოადგილეა.

არის საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის და ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი, ორგზის — საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენოსანი.

პარალელურად, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ჟურნალისტიკის განყოფილებაზე ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ამას წინათ, ჩვენმა რედაქციამ მისი კიდევ ერთი სიხარული გაიზიარეთ: მისმა პროექტმა „ძალადობა ქალის წინააღმდეგ" ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს" მიერ გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა.

ოჯახური მდგომარეობა: ჰყავს მეუღლე — გოგი ბიწკინაშვილი, პროფესიით მსუბუქი მრეწველობის ინჟინერი და ორი ვაჟიშვილი — გიორგი და ვახტანგი — ორივე იურისტი, რძალი — მადონა ლელაძე, ისიც იურისტი, და ერთი შვილიშვილი — პატარა რუსუდანი.

ხასიათის ნიშნები: ჰუმანური, პრინციპული. ვერ ეგუება თავხედ, უზრდელ, ამბიციურ ადამიანებს.

უყვარს და უაღრესად აფასებს ნიჭიერ ახალგაზრდობას.

ჩვენმა გაზეთმა კორუფციასთან ბრძოლა დიდი ხანია დაიწყო. ამ თემას უკვე სამოცდაათამდე გვერდი მიეძღვნა, რაც, კვლავაც გაგრძელდება. ამით კოლეგები მხარში დაუდგებით ანტიკორუფციულ საკოორდინაციო საბჭოს, რომელიც ავტორიტეტული, პრინციპული ადამიანებით არის დაკომპლექტებული.

**ლია ძილაძე.**

დაჯილდოება

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2001 წლის 8 მაისი ქ. თბილისი

**ჭადრაკში საქართველოს ქალთა ოლიმპიური ნაკრების წევრთა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ**

მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადებზე, სხვადასხვა რანგის ტურნირებზე მიღწეული მაღალი შედეგებისათვის, სამშობლოსათვის თავდადებისა და მაღალი მოქალაქეობრივი მრწამსისათვის, უმაღლესი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით დაჯილდოვდნენ ჭადრაკში საქართველოს ქალთა ოლიმპიური ნაკრების წევრები, საერთაშორისო დიდოსტატები:

**ნანა ალექსანდრია** — ქალთა მსოფლიო პირადი ჩემპიონატის ორი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედლის მფლობელი, მსოფლიო საჭადრაკო ექსგზის ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი; **ქეთევან არახამია** — მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების ორგზის ჩემპიონი, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელი, ევროპის გუნდური ჩემპიონატის გამარჯვებული; **ნინო გურიელი** — მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების სამგზის ჩემპიონი და ვერცხლის მედლის მფლობელი; **ნანა იოსელიანი** — ქალთა მსოფლიო პირადი ჩემპიონატის ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედლის მფლობელი, მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების ხუთგზის ჩემპიონი, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელი, ევროპის გუნდური ჩემპიონატის გამარჯვებული; **მაია ჩიბურდანიძე** — მსოფლიო ხუთგზის ჩემპიონი, მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების რვაგზის ჩემპიონი, ევროპის გუნდური ჩემპიონატის გამარჯვებული.

**ე. შევარდნაძე.**

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2001 წლის 8 მაისი ქ. თბილისი

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოში ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მუშაობაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ხანძრის ლიკვიდაციის დროს გამოჩენილი მამაცობისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკები:

**ღირსების ორდენით:**

**ჯუმბერ სურმავა** — პოლიციის გენერალ-მაიორი, ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მთავარი სამმართველოს უფროსი.

**მედლით „მხედრული მამაცობისათვის":**

**თემურ კვაჭაძე** — პოლიციის პოლკოვნიკი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის სამმართველოს უფროსის მოადგილე; **ბესიკ ნაწიფაშვილი** — პოლიციის მაიორი, ახმეტის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის რაზმის უფროსი; **მუქური წურწუმია** — პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ჯგუფის უფროსი ინსპექტორი.

**მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის":**

**დავით ჩიტიშვილი** — პოლიციის ზემდეგი, თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის სამმართველოს სამორიგეო ნაწილის მძღოლი.

**ე. შევარდნაძე.**

სიტუაცია

# მძევლები პანკისის ხეობაში არიან

## თუმცა გამტაცებლებთან კონტაქტზე ჯერ არავინ გასულა

(პირველი გვერდიდან)

მესმის დაუოკებელია ინტერესი მასმედიისა, მაგრამ არ შეიძლება მან საკუთრივ აწარმოოს გამოძიება, ოპერატიული მუშაობა. ეს სამართალდამცავთა საქმეა. ჩვენ კი რას ვშვრებით? მოყვდებით და ყველა დეტალს ვამჟღავნებთ...

**— კონკრეტულად, რა გაქვთ მხედველობაში?**

— საზღვარგარეთ შემთხვევის ადგილიდან ჟურნალისტებს, მაპატიეთ და, კინწისკვრით ყრიან. ჩვენ კი შევესიეთ მინდორში მდგარ პეტრე ცისკარიშვილის ავტომანქანას, ყველა პოზიდან გადავიღეთ, ვთქვით, რომ გაღებულია მხოლოდ ერთი კარი, შიგ ნაპოვნია თმის ღერი და ა. შ. ასეთი დეტალების გამჟღავნებით ვის წისქვილზე ვასხამთ წყალს? ინტერესი კარგია, მაგრამ ამ ინტერესით უნებლიედ კრიმინალთა სამსახურში არ უნდა ჩავდგეთ.

**— კარგით, გვითხარით ის, რისი თქმაც შეიძლება.**

— ყველაზე მთავარი ისაა, რომ ისინი ცოცხლები არიან. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ ვიცით, თუ სად არიან და რა ვითარებაში იმყოფებიან.

**— როგორ, ბატონმა კახა თარგამაძემ უკვე ბრძანა, რომ გატაცებულთა ადგილსამყოფელი ცნობილია...**

— დიახ, ისინი იმყოფებიან პანკისის ხეობაში, მაგრამ კონკრეტულად რა ადგილას, რომელ სოფელში, — ეს არ ვიცით.

**— თქვენი ჯგუფი ხომ ჩავიდა შემთხვევის ადგილზე.**

— რა თქმა უნდა. გენერალური პროკურატურიდან შეიდი კაცი ჩავედით. საგამოძიებო ნაწილისა და კრიმინალისტური განყოფილების მუშაკები ორი დღის მანძილზე შეუსვენებლივ ვმუშაობდით. დავკითხეთ მოწმეები, ჩავატარეთ სხვა საგამოძიებო მოქმედებები...

**— სად არის ამჟამად პეტრე ცისკარიშვილის მანქანა?**

— მანქანა ხელუხლებელია. იგი დავქოქეთ და პატრონს ჩამოვუყვანეთ. მაგნიტოფონიც იქაა და კასეტებიც. არაფერი აკლია.

**— ამბობენ, რომ ცისკარიშვილისა და სურმავას ოჯახებს გატაცებულთა ნივთები გამოუგზავნესო...**

— მანქანაში არავითარი ნივთი არ ყოფილა. არც არავის გამოუგზავნია რაიმე.

**— ესე იგი, მართლდება ის ვერსია, რომ აქ გამორიცხულია გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით? მანქანა ხელუხლებელია, მაგნიტოფონიც ადგილზეა, კასეტებიც კი. რა რჩება? — პოლიტიკური მოტივი?**

— ვინ იცის! იქნებ დამნაშავეებს ცრუ ინფორმაცია მიაწოდეს და ეს ორი ახალგაზრდა ტყუილუბრალოდ გაიტაცეს. ყველაფერი ხდება. გამოძიება არაფერს გამორიცხავს.

**— თქვენთან ერთად უშიშროებაც მუშაობს და პოლიციაც, არა?**

— დიახ, ყველა აქტიურობს, მაგრამ პოლიცია მაინც გამოირჩეულად. ამის დაუნახაობა არ შეიძლება. თუმცა უშუალოდ გამტაცებლებთან კონტაქტზე ჯერ არავინ გასულა...

**— აკი ანა სურმავას უშვებდნენ და პეტრე ცისკარიშვილის გარეშე არ წამოვიდაო...**

— ზოგი რას ამბობს და ზოგი — რას. გამოძიება ჭორებს ვერ აჰყვება. ჩვენ კონკრეტული საქმე გვაინტერესებს.

**— ახლა ყველას თვალი და გული პანკისის ხეობისკენ მიუწევს. იქ იყვნენ საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, ვგონებ, ბაქოდანაც კი ჩამოუყვანიათ პოლიტიკური ავტორიტეტები.**

— მე მგონი, არავინ არ უნდა დაიშუროს თავისი თანამდებობრივი თუ ადამიანური შესაძლებლობები, რათა გატაცებულები თავიანთ ოჯახებს დაუბრუნდნენ. პირველი სიტყვა, ცხადია, მაინც სამართალდამცავებმა უნდა თქვან.

ესაუბრა
**ბონდო გულიაშვილი.**

პრესა

# სიტყვა გაფრენილ ჩიტსა ჰგავს

## წასვლა ღირსეულად უნდა შეგეძლოს

(პირველი გვერდიდან)

წერილი შინაგან საქმეთა სამინისტროს საუწყებო საბავშვო ბაღს ეხებოდა. მართალია, განათლების სისტემაში მუშაობის დროს ეს საბავშვო ბაღი სამინისტროს არ ექვემდებარებოდა, მაგრამ ყურადღებით ვაკვირდებოდით მას, ჩვენს თვალსაწიერში იყო მოქცეული, რადგანაც კარგი პროექტით იყო აშენებული, ითვლებოდა ერთ-ერთ პრესტიჟულ საბავშვო დაწესებულებად, ჰყავდა კარგად მომზადებული პედაგოგიური კოლექტივი და ასევე კარგი ხელმძღვანელი, ქალბატონ ქეთევან სეფაშვილის სახით.

ამდენად, გამიკვირდა გამოქვეყნებული წერილის შინაარსი, რომელიც დაუსაბუთებელი ბრალდების სახეს ატარებდა და მისი რესპონდენტი ჩვენი კოლეგა — ქალბატონი ქეთევანი აღმოჩნდა. ჩემთვის ეს სამწუხაროა, ფრიად და იცით, რატომ? მოდით, განვმარტოთ. თითქმის 20 წელია, შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორი ვარ, საზოგადოების ყველა სფეროს წარმომადგენლებთან მიწევს ურთიერთობა და მე, როგორც პედაგოგს, არ გამომრჩებოდა საუწყებო საბავშვო ბაღი და მისი კოლექტივი.

ალბათ, დამეთანხმება ქალბატონი ქეთევანი, რომ ჩვენი უშუალო თანადგომითა და ძალისხმევით დიდი დახმარება გაეწია საბავშვო ბაღს, ბაღს, რომელიც კოლექტივმა და მისმა ხელმძღვანელმა შეინარჩუნეს „დიდი არეულობის ჟამს". ეს მათი დამსახურება იყო, მაგრამ მათ ასევე დიდი მატერიალური დახმარება ესაჭიროებოდათ. აი, ამ დროს, გვერდში ამოგვიდგნენ და დაგვეხმარნენ სამინისტროს მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელები ბატონები ვასილ დავითაია და ზურაბ ლორია. მოვიყვანოთ ციფრობრივი მონაცემები: ბოლო ოთხი წლის განმავლობაში თითქმის 50.000 ლარის სარემონტო სამუშაოები ჩატარდა (აღდგა დარბაზი, წესრიგში მოიყვანეს კანალიზაცია, გარემონტდა ინვენტარი და ა. შ.), შეძენილია 7000-მდე ლარის სხვადასხვა საგნები (ტუმბოები, პალასები, მაგიდები, საბავშვო სკამები და ა. შ.). და ეს იმ დროს, როდესაც სამინისტროს ისედაც მწირი ბიუჯეტი უმცირდებოდა და ხელფასის გაუცემლობა ქრონიკულ დაავადებად იქცა. მიმაჩნია, რომ ამის დაუნახაობა უმადურობა იქნება.

აღარაფერს ვამბობ წერილის ქვესათაურებზე: „პოლიციის საბავშვო ბაღი და პრეზიდენტის ახალგაზრდობა", „რევოლუცია სამოქალაქო სამართალში", „ცოცხლებს ატერორებენ, მკვდრებს სამსახურიდან ანთავისუფლებენ" და „სეფაშვილს დაჭერით ემუქრებიან", რამაც ჩემში პროტესტის გრძნობა გამოიწვია, მით უმეტეს, რომ ის კოლეგისაგან მოდის. არ მინდა წერილში მოყვანილ დაუსაბუთებელ ბრალდებებს გამოვეკიდო, დაე, ის შესაბამისმა ორგანოებმა გამოიკვლიონ, გული იმან მატკინა, რომ ის პედაგოგს ეკუთვნის.

მჯერა და მწამს, რომ ძნელია სამსახურიდან წასვლა, რასაც ათეული წლები შესწირე, მაგრამ წასვლაც ღირსეულად უნდა შეგეძლოს ადამიანს, მით უმეტეს, თუ ამას საპენსიო ასაკიც მოითხოვს. ეს კანონადაა ქცეული შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში, რადგანაც საპენსიო ასაკის გამო ბევრი ჯერ კიდევ ენერგიით და ჯან-ღონით სავსე ადამიანები გავიდნენ პენსიაზე.

სამსახურიდან ღირსეულად უნდა წახვიდე და უკმარობის გრძნობა არ უნდა გაგყვეს, რომელიც შეიძლება არასასურველ და მიუღებელ პრეტენზიად გადმოიღვაროს ქაღალდის ფურცლებზე, ნათქვამი სიტყვა კი გაფრენილ ჩიტს ჰგავს მხოლოდ. ძველ აღთქმაში ვკითხულობთ: „ადამიანს ბილწავს არა ის, რაც პირში შედის, არამედ ის, რაც პირიდან გამოდის, ეს ბილწავს ადამიანს" (ძვ. აღთქმა თ. 15 § 11). ესაა ჭეშმარიტება და ეს უნდა ახსოვდეს, როგორც რესპონდენტს, ასევე კორესპონდენტს.

**მამია დარჩია,**
პროფესორი.

პრესკონფერენცია

# „აზოტს" შველა სჭირდება

(პირველი გვერდიდან)

ამიტომ საჭიროა საწარმოში ინვენტარიზაციის ჩატარება, ყველა საცავის გასინჯვა.

ჟურნალისტები დაინტერესდნენ „აზოტის" სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებითაც, თუ რატომ ეთქვა „ალსოს" უარი საწარმოს ერთწლიანი მართვის უფლებაზე.

როგორც „ალსო ტრანსის" ხელმძღვანელობა აცხადებს, მათ კომისიისგან ჯერ არ მიუღიათ წერილობითი განმარტება, რა მიზეზით უთხრეს უარი, ან სატენდერო პირობის რომელი მუხლი ვერ დააკმაყოფილა კომპანიამ.

როგორც კი მიიღებენ კომისიის დასკვნას, მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვეტენ, შეიტანენ თუ არა სასამართლოში სარჩელს. დღეს კი მათთვისაც არ არის ცნობილი, რაზე ედავონ სატენდერო კომისიას, თუ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს.

და ბოლოს, როგორც თავში აღვნიშნეთ, სახელმწიფომ წერტილი უნდა დაუსვას იმ განუკითხაობასა და დავას, რაც სააქციო საზოგადოება „აზოტის" თავს ტრიალებს, მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილება, ისევ „აზოტისა" და მისი მრავალათასიანი კოლექტივის გადასარჩენად.

**შოთა მაჭარაშვილი.**

დედაქალაქი

# თბილისი — მსუყე რეზერვებით და მწირი შემოსავლებით

(პირველი გვერდიდან)

— არაფერს არ შევალამაზებ, — განაცხადა ბატონმა ლადომ, — მკითხველს ზუსტად ისეთ სურათს წარვუდგენ, როგორიც არის რეალურად. ქალაქის წლევანდელი ბიუჯეტი 8 მილიონამდე ლარის დეფიციტზეა გათვლილი. არასრული მონაცემებით, იანვრის თვის შემოსავლებში გარღვევამ დაახლოებით 0,5 მილიონი ლარი შეადგინა, თებერვალში — 3,5 მილიონი. მარტში გეგმა თითქმის შესრულდა, მაგრამ აპრილში კვლავ გაირღვა — 28 აპრილის ჩათვლით დავალება მხოლოდ 66,5 პროცენტით იყო განაღდებული. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, ქალაქის მთავრობა იძულებული ხდება სესხი აიღოს, პენსიები და ხელფასები გაისტუმროს, რაც მას, ვალის დაფარვის შემდეგ, გაცილებით ძვირი უჯდება.

**— მაგრამ იმავე მთავრობამ ხომ შეიძლება ისე იმუშაოს, რომ სასესხებლად საქმე არ გაუხდეს?**

— კარგი იქნებოდა, მაგრამ ეს მარტო მასზე არ არის დამოკიდებული. არის უამრავი ხელშემშლელი ფაქტორი, სირთულე, რომელთა ერთბაშად გადალახვა ვერ ხერხდება. ერთი ასეთი სირთულეა ის, რომ დედაქალაქს არა აქვს საკუთარი საგადასახადო სამსახური, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზებაზე. ამ აზრს მოწინააღმდეგენიც ჰყავს, მაგრამ ეს სულაც ვერ სცაბნის ასეთი სამსახურის არსებობის აუცილებლობას.

მეორე პრობლემა. ქალაქის საკრებულოს არჩევნებიდან თითქმის სამი წელიწადი გავიდა, ფედერალური და ადგილობრივი ქონება კი დღესაც გაუმიჯნავია (ამის გამო ჭირს ქონების გადასახადის რეალური ციფრების დადგენა), დაუდგენელია დედაქალაქის ადმინისტრაციული საზღვარი (36 600 ჰექტარიდან 11 600 ჰექტარი მცხეთისა და გარდაბნის რაიონების მფლობელობაშია), რაც ხელს უშლის მიწის გადასახადის აკრეფას. მიწისა და მასზე განლაგებული უამრავი ქონების გადასახადი კი, მოგეხსენებათ, ბიუჯეტის სიმტკიცის ღერძია.

და კიდევ — პარლამენტს დღემდე არ მიუღია კანონი ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ, რაც დიდად ართულებს მთელ ჩვენს საბიუჯეტო მოღვაწეობას.

**— თქვენ ჩამოთვალეთ ხელშემშლელი მიზეზები და ფაქტორები, მაგრამ ასევე შეიძლება ჩამოვთვალოთ რეზერვები, რომელთა სრულყოფილად ამოქმედება ქალაქის ბიუჯეტს შეავსებდა კი არა, კიდევაც გადაავსებდა.**

— გეთანხმებით, დედაქალაქს მართლაც ვეებერთელა საბიუჯეტო რეზერვები აქვს, რომლებსაც სანახევროდაც ვერ იყენებს. ეს, უპირველესად, შეეხება ჩემს მიერ უკვე აღნიშნულ მიწის გადასახადს. ბიუჯეტი ასევე დიდძალ თანხებს კარგავს სასტუმროებიდან, რესტორნებიდან, ვაჭრობის ნებართვის მოსაკრებლებიდან, ავტომანქანების სადგომებიდან, სატრანსპორტო (მიკროავტობუსები) გადაზიდვებიდან, მოგების გადასახადიდან და სხვა სფეროებიდან.

**— მაგალითებს ხომ არ დაგვისახელებდით?**

— რატომაც არა. აი, კონტროლის პალატის (სხდომას პირადად ვესწრებოდი) მასალებში უამრავი ფაქტია მოყვანილი. ერთ-ერთ რესტორანს (რატომღაც დასახელებული არ არის, რომელს) მაგალითად, თურმე მთელი დღის განმავლობაში მხოლოდ 130 ლარი უვაჭრია (!) მკითხველს, ალბათ, გაეცინება, რესტორნებში ხომ მარტო სამკაციანი მაგიდიდან იღებენ ამდენს. თანაც, ყველა ხედავს, რესტორნები, დუქნები, კაფე-ბარები, სახინკლეები თუ ლუდხანები ისეა გადაჭედილი, რომ ნემსის ყუნწიც არ ჩავარდება.

და ასეთ გახურებულ ვაჭრობაში საზკვების ერთ-ერთ ობიექტს („გია ხაჩიშვილი") მთელი წლის მანძილზე ყველა სახის გადასახადი გადახდილი აქვს მხოლოდ 10 ლარი, პურის საცხობს („იელოსი") — 26 ლარი, ბენზინგასამართ სადგურს („ორგაზი-2000") — 18 ლარი. უფრო მეტიც, ქალაქის 60 ბაზრიდან და ბაზრობიდან მოგების გადასახადი არ გადაუხდია 23-ს, საზკვების 598 ობიექტიდან — 394-ს, 296 ბენზინგასამართი სადგურიდან — 144-ს.

**— ამ ციფრებს თუ დავუჯერებთ, მაშინ ისიც უნდა დავიჯეროთ, რომ თბილისელი ხაბაზები და ბარმენები, მერესტორნეები და მებენზინეები სრულიად უსასყიდლოდ, შეიძლება ითქვას, მუქთად აჭმევენ და აქეიფებენ ჩვენებურ და უცხოელ მომხმარებელს, თანაც სეირნობის გუნებაზე დამდგართ ავტომანქანებში მუქთა საწვავსაც უსხამენ.**

— რა თქმა უნდა, ასეთი მსჯელობა ლოგიკურია, მაგრამ არარეალური. ზემოთ ნახსენები პიროვნებები კი იმდენად რეალურები არიან, რომ ყველას ყველაფერს ახლევინებენ. დიახ, მომხმარებელი ყველაფერს იხდის, ასევე იხდის მწარმოებელი, მოვაჭრე თუ იმპორტიორი, ყოველ შემთხვევაში იმათი 90 პროცენტი მაინც...

**— თუ ასეა (ვაწყვეტინებ), მაშინ ბიუჯეტი უსახსრობისგან რატომ კვნესის?**

— სწორედ აქ ისმის კითხვის ნიშანი (ბატონი ლადო თვალსაჩინოებისთვის ხელით დიდ კითხვის ნიშანს ხაზავს). გადამხდელი კი იხდის კუთვნილ გადასახადს (ხშირად უფრო მეტსაც), მაგრამ მის ამკრეფსა და შემმოწმებელს სად მიაქვს, საკითხავი, აი ეს არის. სწორედ ამიტომ უჩნდება ხშირად მოსახლეობას ეჭვი ბიუჯეტიდან გასანაწილებელი თანხების სისწორესა და დროულობაში. დედაქალაქს დღეს საპენსიო უზრუნველყოფისათვის სჭირდება 30 მილიონამდე ლარი, რეალურად კი იკრიფება 70 მილიონამდე. ამ ორ ციფრს შორის სხვაობა (40 მილიონი ლარი) უნდა ნაწილდებოდეს ქვეყნის მასშტაბით, მაგრამ აღნიშნული თანხა ადგილებამდე ან საერთოდ ვერ აღწევს, ან თუ აღწევს — დიდი შეფერხებით. ამ შემთხვევაში დედაქალაქი გამოდის დონორის როლში, რაც არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში არ ხდება.

**— ბატონო ლადო, დონორობა, ისეთ გაჭირვებულ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, თავისთავად დიდი სიკეთეა. უკეთურობა, როგორც თქვენ ბრძანეთ, მეორეა — როცა დონორის მიერ გაღებული სისხლი ადრესატის ძარღვებამდე ვერ აღწევს. ამის მიზეზი დღეს ყველასთვის ცნობილია — კორუფცია, ქაოსი, აღურიცხაობა.**

— სრული სიმართლეა, კორუფციის პირველი მასაზრდოებელი სწორედ აღურიცხაობაა. ამით სარგებლობენ მაკონტროლებლები და უპრომელი შემოსავლებით გვარიანად სუქდებიან.

**— რადგან სიტყვა აღრიცხვიანობაზე ჩამოვარდა, არ შემიძლია არ გავიხსენო ქალაქის სავაჭრო სისტემაში დამონტაჟებული სალარო-აპარატების სამუდამო დამუნჯება. ამის თაობაზე ჩვენმა გაზეთმა კრიტიკული მასალებით არაერთგზის შეახსენა თავი საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს, მაგრამ იქიდანაც პასუხს დადუმება ამჯობინეს.**

— სამწუხაროდ, ჩვენში სალარო-აპარატების მუშაობა მხოლოდ დეკლარირების დონეზეა სავალდებულო, არადა, თუ გვინდა შემოსავლების აღრიცხვაში წესრიგი დავამყაროთ, ასეთი აპარატების დადგმა აუცილებელია როგორც მსხვილ ობიექტებში, ისე ინდივიდუალურ მეწარმეებთან. აქედან გამომდინარე, ქალაქის მთავრობისა და საკრებულოს წინაშე დავაყენე საკითხი, მცირე ზომის სააღრიცხვო აპარატები მიკროავტობუსებშიც დამონტაჟდეს. დარწმუნებული ვარ, სალარო-აპარატების მასობრივი დანერგვა იმ ობიექტებიდან საბიუჯეტო შემოსავლებს ერთიორად და მეტად გაზრდის.

**— მაგრამ რა ეშველება გარებაზრობას, სადაც კორუფცია საგულდაგულოდ დაბუდდა და დედაქალაქის ტრადიციულ იერსახესაც გადაგვარებით დაემუქრა?**

— მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა ვუთხრა თქვენს გაზეთს, რომელმაც ეს პრობლემა ქალაქის ხელმძღვანელობის წინაშე მთელი სიმწვავით დააყენა. ამ საკითხის გადასაწყვეტად და ნორმატიული აქტის შესაქმნელად უკვე მუშაობს საკრებულოს ორი კომისია. აქვე მკითხველს უნდა ვაუწყო, რომ გარებაზრობის ხელაღებით აკრძალვა, ვფიქრობ, დღევანდელ გაჭირვებულ საზოგადოებაში საპირისპირო რეაქციას გამოიწვევს. საჭირო იქნება, ბაზრებსა და ბაზრობებში მოვაჭრეებს შევთავაზოთ ადგილები, დროის გარკვეულ მონაკვეთში მივცეთ საგადასახადო შეღავათები, და თუ ამის შემდეგაც გაჩნდება პრობლემები, მხოლოდ ამის შემდეგ გადავწყვიტოთ ისინი ადმინისტრირების გზით. გარევაჭრობის დღევანდელი ფორმით არსებობა ყოვლად მოუთმენელია, იგი ზიანის მომტანია როგორც სამედიცინო-ჰიგიენური, ისე ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით. ამ თვის ბოლოს ან ივნისის დასაწყისისათვის აღნიშნული ნორმატიული აქტი მზად იქნება და ჩვენ მას ფართო მსჯელობის საგნად ვაქცევთ.

**— აქ, ალბათ, უნდა ვთქვათ ქალაქის ცალკეული სამსახურების — პოლიციის, საგადასახადო, სანიტარიული, ვეტერინარული და სხვა სამსახურების პასუხისმგებლობაზეც, რომლებიც წარუმატებლობას ხშირად ერთმანეთს აბრალებენ, ყველანი ერთად კი გარევაჭრობაში (და არა მარტო გარევაჭრობაში) ქაოსის და უწესობის აღსაკვეთად ბევრს არაფერს აკეთებენ. რა დასამალია, ბევრი ამას ქალაქის კორუმპირებულ ჩინოვნიკთა პირადი დაინტერესებით ხსნის — ქუჩაში მოვაჭრეებისაგან იკრიფება დიდძალი თანხები, რომლითაც მავანთა და მავანთა ჯიბეები ივსებაო.**



— ვერ გეტყვით, კონკრეტულად გარებაზრობის შემოსავლები ვის ჯიბეში ილექება, მაგრამ პრობლემის მოწესრიგების მრავალ მცდელობას რომ ამ სფეროში დაკავებული ადამიანების პროვოცირება მოჰყვა, ეს ფაქტია. ძნელი მისახვედრი არ არის, ამას ისინი აკეთებენ, ვინც ამ უკანონო მოსაკრებლებით ითბობენ ხელს.

**— აქედან გამომდინარე, კიდევ ერთი კითხვა: როცა ბიუჯეტი ამდენ თანხას კარგავს, სად არიან საგადასახადო სამსახურის მუშაკები? შეიძლება დავიჯეროთ, რომ გამოცდებისა და საკადრო ცვლილებების წყალობით ამ სისტემაში რეფორმა მართლაც ჩატარდა?**

— რეფორმისა შეიძლება მაშინ დავიჯეროთ, როცა მას შედეგი მოაქვს, როცა ხდება რეფორმის, ასე ვთქვათ, მატერიალიზაცია. არ შეიძლება ნაწილ-ნაწილ ჩატარებულმა რეფორმამ შედეგი გამოიღოს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ, თუ ნამდვილი შედეგი გვინდა, საგადასახადო სისტემაში სტრუქტურული და საკადრო რეფორმის პარალელურად საკანონმდებლო რეფორმაც უნდა განხორციელდეს. ვგულისხმობ საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაციას, რომელმაც სტიმული უნდა მისცეს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, ქვეყანაში მეწარმეთა საშუალო ფენის ჩამოყალიბებას, მოსახლეობის შეუქცევად დასაქმებას. დღევანდელი ჩვენი ბიუჯეტი სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად დაახლოებით 81 მილიონ ლარს ხარჯავს. თუ ზემოთ დასახელებული გზით ვიელით, ეს ციფრი რამდენჯერმე გაიზრდება.

თბილისის საკრებულოს თავკაცთან სხვა მტკივნეულ პრობლემებზეც მქონდა საუბარი, მაგრამ ისინი საგაზეთო მასალამ ველარ დაიტია. ერთს მაინც დავამატებდი: პასუხი დიდ კითხვის ნიშანზე, რომელიც ბატონმა ლადო კახაძემ დასვა, კარგახანია საზოგადოებისთვის ცნობილია. სხედან ამ კითხვის ნიშანს ამოფარებული ჩვენი მსხვილ-წვრილი კორუმპირებული ჩინოვნიკი მოხელეები, სიტყვით ვითომ კორუფციას ებრძვიან, საქმით კი ბიუჯეტისკენ მიმავალ მილიონებს საკუთარ „ბოსტანში" ერეკებიან. თავს ნუ მოვიტყუებთ, მაგდანას ლურჯასავით დავარდნილ ჩვენს ეკონომიკას ვერავითარი უცხოური გრანტები და ბალცეროვიჩის რეკომენდაციები ვერ წამოაყენებენ, თუ ბიუჯეტს სისხლისმწოველ წურბელებს ერთხელ და სამუდამოდ არ ჩამოვაცილებთ.

**ოთარ ხუციშვილი.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარე

## ოთხი წლის შემდეგ

ოთხი წელიწადი გასრულებულა მას შემდეგ, რაც ჩემს უსაყვარლეს ზუგდიდში, ჩემს შრომებუმეში ჩამოეფუძნებულვარ რამდენიმე თვით. კი, იჩქითად ვწვევივარ დედულეთს, საათებით, დღეებით, კვირებითაც, მაგრამ მიზეზთა გამო, ოჯახურით თუ სხვათა და სხვათა, მაინც დედაქალაქში მიწევდა ყოფნა. განსაკუთრებით საჭირო ლიტერატურის უქონლობამაც მაიძულა მოვშორებოდი ოდაბადეს, და აი, როგორც იქნა, როცა ლამის ფინიშზეა გასული ჩვენი ბელეტრისტული ტრილოგიის ბედი, იღბალი, კვლავაც სამეგრელოს ნაგაზებს ვალაღლავებ ლობე-ყორე, ორღობე-თემშარა.

დღეს წვიმიანი ამინდია, ჭირვეულობს კუდამდე მიტყავებული მარტი. გაზაფხულის ძალუმ შემოტევას ვერ უმკლავდება საკვირველად მერყევი ბუნების თვე.

ოჯახში ვწვევივარ ბატონ ბონდოს.

უკვე გადაღლალე კიდეც საუბრით. ახლა ზერელედ მაინც იცის ბელეტრისტული ტრილოგიის შინაარსი, მისი თანამიმდევრობა და,

## პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული

ვგონებ, საინტერესოდ განვაწყობ – ორიოდე სიტყვა ბრძანოს იმ ყოველდღიურ პრობლემებზე, რომელთაგან ზოგი მოგვარებულია, ზოგიც დღის წესრიგშია კვლავინდებურად, და იმედია, საერთო ძალისხმევით ხვალ და ზეგ მათაც ეშველებათ.

თავად ბატონი ბონდოს პოეტურ ბუნებაზე წერილის კომენტარებშიც გახმიანდება სათანადოდ, რომ არაფერი ვთქვათ ბატონ აპოლონ წულაიასთან აწრეალიზებულ სინამდვილეზე წერილში – „საქართველოს უკვდავების ფორმულა“, მაგრამ მე სხვას მინდა მეტი ცხოველმყოფელობით ჩავაფრინდე, კონკრეტულად იმას, რომ ბატონ ბონდოს პიროვნებაში სინთეზირებულია ფრთხილი პოლიტიკური მოღვაწე, ნაცადი სამეურნეო მუშაკი თუ დოჩანაშვილის კეკერაძესავით ლიტერატურის მოყვარული კაცი.

– ბატონო ბონდო, თუ არ ვცდები, თავიდან ლექსებს წერდით? მოდით, ჩვენი საუბარი სიტყვასთან მიმართებით დავიწყოთ.

– ბატონო გური, ლექსი არასდროს დამიწერია, მაგრამ საერთოდ ლიტერატურის, ხელოვნების მოყვარული რომ ვარ, ეს ალბათ, თქვენთვისაც ცნობილია. განსაკუთრებით პოეზია მიყვარს და ასეთი ლაღჩები ბოლომდე. ოდნავ თავისუფალ დროს როცა გამოვნახავ, მზად ვარ ჩავუჯდე პოეზიას, განსაკუთრებით ქართულ პოეზიას.

– რატომ გამელიმა, ბატონო ბონდო, იცით, რომელ რესპონდენტთანაც მქონია შეხების წერტილი, განსაკუთრებით ჩვენს კუთხეს ვგულისხმობ, გაჭრილი ყველიერით ვერა, მაგრამ წაბაძვით – იცოცხლეთ. პოეზიის თქვენეული სიყვარული, მართლაც გადამდებია თქვენს სამრევლოში. ახლა სხვანაირად შევხედოთ საკითხს: თუ ღმერთი სიტყვაა, იოანესეული სახარების ტექსტის კარიბჭიდანვე, თუკი თავდაპირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იგი იყო ღმერთთან და ღმერთი იგი იყო სიტყვა, მაშინ სულ სხვანაირ ინტერპრეტაციას შევძენდი ჩვენი საუბრის დასაწყისს, რადგანაც ამისი უტყუარი ნიშნები ქართულ ფოლკლორსაც ეტყობა – ვგულისხმობ შელოცვებს, – და თავისთავად მაგიურ ძალას ორიგინალურ პოეზიისას: სიტყვას, ბუნებრივია, გააჩნია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ველი და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ყოფიერების მდინარებისას, იგივე ცივილიზაციის არსებობის თვალთახედვით. გავიხსენოთ შოთასთან თქმული – გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარიო. ანუ რას მიგვანიშნებს ყოველივე?! აი, დიდი საუბრისაკენ მივემართებით და შინაგან რომელ საზღვარზედაც ვართ, ჩინებულად გაგვითავისებია ორივეს – აფხაზურ-ქართული კონფლიქტის საზღვარზე. საამისოდ მომიშველებია ფრაზა: სიტყვითმკურნალობა, ანუ პარაფსიქოლოგია. იქნებ, აი, ამ სიტყვის მიმართებამ უფრო გაჭრას ნებისმიერ ქლამზე, რომელი ნესტრითაც ჩვენ საუბედუროდ მრავლად ვვენეთ ორმხრივ.

– ვეთანხმებით, ბატონო გური, რომ სიტყვა არა მარტო მკურნალია ჩემი გაგებით, არამედ შეიძლება მტერიც გაგიჩინოს და მოყვარეც. მოუზომავ სიტყვას შეუძლია ძალიან დიდი სირთულეები შეგიქმნას... იმასაც ვეთანხმები, სიტყვას ძალიან ბევრი რამის გაკეთება შეუძლია აფხაზებთან მომართებაში. არა ვარ ის კაცი, რომელიც ძალით ამ პრობლემის მოგვარებას მხარს უჭერდეს, ან დაუჭერს. აქ საჭიროა სიტყვის ძალა და მშვიდობიანი გზით აფხაზეთის შემომტკიცება.

– ბატონო ბონდო, რახან ეს თემა წამოიჭრა, ასე იოლად არ მეთმობა, ამიტომ მინდა მეტადრე ჩავუღრმავდე. აი, უფრო შორს წავალ, უკან დავიხევ 22 წლით – 1978 წელზე მაქვს საუბარი, როდესაც აფხაზურ-ქართული კონფლიქტის პირველი ჩანასახები იჩეკება... მოვუშვათ ამასაც, „ლიხნის წერილს“ მივაყურადოთ. ჩვენ დღემდე არ გამოგვიქვეყნებია იგი. დაგვაქციეს, ყელი გამოგვღადრეს და მაინც რა პრეტენზიები ჰქონდათ აფხაზებს ქართველების მიმართ, დღემდე არ ვიცით. რატომ ვაკეთებთ ამას? ჩვენი, აი ამხელა მასმედიის პატრონნი, თავზე ლაფის გადამსხმელების თუ ზეზეურად გამთანგავთა ჭირისუფალთ, ვერაფრით მოგვეხერხებია აფხაზი პოლიტიკოსის წარმოჩენა, რამდენადაც რადიკალური უნდა იყოს, მოლაპარაკებების ტომეულების ურმეული მიაქვს მეწყერს. ვერ მოგვეხერხებია იგივე არძინბების, ქიშმარიების, ახუბების თუ სხვათა ალაპარაკება ქართველი ერის წინაშე, რომ არაფერი ვთქვათ რიგით ადამიანებზე. იცით, ბატონო ბონდო, აი, მოედანზე, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ძეგლი დგას, ბრწყინვალე, მოწითალო გრანიტში გადაწყვეტილი, სავარძელში დიდებულად მოკალათებული პიროვნებისა – აფხაზების უმთავრესი პოეტის – დიმიტრი გულიასი, მაგრამ რაღ გინდა, სახე მორღვევია, ცხვირი აქვს მომტვრეული, ტუჩები მოჯიჯგნილი, ისევ და ისევ ჩვენებურთა წყალობით, მაგრამ ჯერხანობით აღარცერთ ქართველს მოგვეფიქრებია მისი რესტავრაცია.



თითქოს ეს სკულპტურა სხვისი კუთვნილება იყოს, თითქოს ჩვენ ქრისტესმიერი გზით ვაპირებთ სიარულს, აქვე იეღოველებს ცხვრებივით ვკრიჭავთ, თავებს ვუხოტრავთ, ცხვირ-პირს ვუნაყავთ, იმის იმედით, გავაქრისტიანებთ კვლავინდებურად, მაცხოვრის გზაზე მოვაქცევთო. დამერწმუნეთ, ამგვარი მეთოდებით უარესად დავიქსაქსებით და დავკნინდებით. მე უფრო მარტივად მიყვარს პრობლემებისადმი მიდგომა. თუკი აფხაზურ-ქართული წინააღმდეგობის რამდენადმე შერბილება განმეზრახა, ჯერ დავაფიქსირებდი ამ ძეგლს ფოტოებზე, შემდგომ ჩავუტარებდი რესტავრაციას სათანადოდ, მოვიწვევდი ლიტერატურულ საზოგადოებას, მათ შორის აფხაზეთის მწერლებსაც და ყოველივე ფაქტს საჯაროდ დავატრიალებდი სატელევიზიო არხებით. რამდენიმე ათასი ლარი გაიხარჯებოდა ამ ღონისძიებისათვის, სამაგიეროდ საფუძველს ჩავუყრიდით აფხაზურ-ქართული ურთიერთობის ახალ თვისებრივ ფორმაციაში გადასვლას. თავად დამემოწმებით, დიდი რეზონანსი ექნებოდა ამას აფხაზი ხალხისთვის, აი, რანაირ ქმედებებს ვაიგივებ ღმერთთან გათანაბრებულ სიტყვასთან.

– მართალი გითხრათ, მე ეს ფაქტი არ ვიცოდი, მაგრამ თუ ასეა, ამას არავითარი გამართლება არა აქვს, პირიქით, დასაგმობია და დროზეა მისახედი.

– მერწმუნეთ, ასეა...

– ჩვენ პირიქით, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ სიტყვითაც, საქმითაც, ბატონო ჩემო, რომ აი, ეს უძველესი დროიდან ჩვენი ნამუსიანი დამოკიდებულება, აფხაზებისა და ქართველების დამოკიდებულებას ვგულისხმობ, და ძალიან ბევრი კარგი მაგალითი მახსოვს ამისა, რამენაირად აღვადგინოთ. მყავდნენ და ახლაც ცოცხლები არიან ისინი, ვინც იქითა მხარეს არის დღეს. თქვენც რამდენი გყავთ. არიან საქართველოში ადამიანები, რომელთაც უამრავი მეგობარი ჰყავთ იქ, მაგრამ რატომღაც გავურბივართ საუბრებს მათთან. მე მიმაჩნია, რომ ურთიერთობა უნდა აღვადგინოთ სახალხო დიპლომატიის დონეზე მაინც, ვისაუბროთ, დავსხდეთ, პრობლემები განვიხილოთ, შეიძლება ყველას ერთნაირი აზრი არ გაგვაჩნდეს ამა თუ იმ მოვლენის მიმართ, მაგრამ განხილვა ხომ შეიძლება მაინც, ერთმანეთის დაუხოცავად, ცივილური ფორმით? ამიტომ ვამბობ, რომ საურთიერთობო სიტყვაზე, სიტყვას, რომელსაც ხალხის ძალა აქვს, საქმე უეჭველად მოჰყვება. აი, ასეთი ვაკუუმია შესავსები, აი, ასეთი სინდრომია გადასალახი.

– ბატონო ბონდო, აქამდე გაკვრით კი გითხარით, რომ ჩემს ერცელ წიგნს, უკეთ მის დასკვნით ნაწილს „ფადაასი“ ჰქვია-მეთქი. ეს ყველაფერი ბელეტრისტულ ტრილოგიაში დაწვრილებითაა ახსნილი, მაგრამ მინდა ჩვენს ინტერვიუშიც შევეხო გაკვრით, ჩვენს დიდებულ სენ-ურში მოვძებნე და სალიტერატურო ქართულში დავამკვიდრე სასწაული სიტყვა – „ფადაასი“. ჩვენ გვაქვს, აი, მაგალითისათვის „ქუდზე კაცი“, „მუმლი მუხასა“, „აბა ულა“, და ასე შემდეგ. თითოეული ეს ფრაზა ლაშქრულის დონეზე მოიაზრებს სამშობლოს დაბრუნებას. „ფადაასი“, „ფადაასობა“ კი, როგორც მხცოვანი სვანებისაგან შევიტყვე, დიახაც გახლავთ კოლექტიური მსვლელობა თავდახრილი სამშობლოს ღირსების დასაბრუნებლად, მაგრამ მითითებული არ არის როგორი მეთოდით, ეს იქნება ძალოვანი, შეტევი თუ მშვიდობიანი მოლაპარაკებისა. ჩვენ ამ შემთხვევაში „ფადაასს“ ვასინთეზებთ ე. წ. მშვიდობიან მსვლელობად ჩვენი სამშობლოს ღირსების აღსადგენად. ეს ქრისტესმიერი წესებით მოარული კაცის გზაა, რადგანაც უფალი იესო ფორმულასავით ბრძანებს „გიყვარდეს მტერი შენიო“ და რადგანაც ასეთი გზებით ვაპირებთ ჩვენს მსვლელობებს ძირძველი საქართველოსკენ – აფხაზეთისაკენ, საბედნიეროდ, კიდევ მრავალი გადადგმულა მსგავსი შინაარსისა. ესეც სატელევიზიო გადაცემიდან ვიცი. მდინარე ენგურზე ორი ხიდი აგვიშენებია უარაფრობის პირობებში, წალენჯიხის მონაკვეთში.

– კი, ბატონო.

– ცენტრალური ხიდი არის. არის ხიდი შამგონაში. არის ხიდი განმუხურისა. აი, ახლახან...

– დიახ, ხურჩის ხიდიც აშენდა.

– ეს რანაირი ხიდია, ბატონო ბონდო, პატარა?

– ყოველ შემთხვევაში მანქანებს შეუძლიათ გადასვლა.

– ერთადერთი გვრჩება თურმე, ოტობაიისა.

– მაგასაც ეშველება, ალბათ. თუმცა რთული კონსტრუქციული ნამუშევარია, თანაც სანახევროდ დანგრეული. სხვათა შორის ისიც უნდა გითხრათ, რომ აი, წალენჯიხაში ხიდები რომ აშენდა, ესენი...

– რა სახსრებით აშენდა?

– ესენი უშუალოდ პრეზიდენტის მხარდაჭერით გაკეთდა. სამუშაოები კი ბატონმა ბორის სალარიძემ შეასრულა.

– ჩინებულმა პიროვნებამ.

– რაღა თქმა უნდა! ხიდები სახელმწიფო სახსრებით აშენდა და, ალბათ, ისიც მოგეხსენებათ, რომ მათ გახსნაზე აქ ჩამოსული იყო ქვეყნის პრეზიდენტი. რა თქმა უნდა, ხიდები უნდა ვაშენოთ და არა – პირიქით, რაც შეეხება ოტობაიის ხიდს...

– სულ რაღაც ნახევარი მონაკვეთია დანგრეული...

– მასაც ეშველება-მეთქი, იმიტომ, რომ მართალია, ბიუჯეტიდან მის თანხებს ვერ გამოვყოფთ, მაგრამ არიან საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებსაც ჩვენ, ალბათ, დავუსაბუთებთ, რომ ეს ხიდიც აუცილებლადაა საჭირო და, ბუნებრივია, სათანადო თანხებიც გამოიძებნება.

– ბატონო ბონდო, ჩვენი საუბარი, ფაქტობრივად, დამაგვირგვინებელი ფაზაა „საქართველოს უკვდავების ფორმულისა“, ჰოდა, სრული ოქტავით ამისთვისაც ვეხები ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს სინამდვილეს. ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით ბოლო დროს განხორციელებულ რამდენიმე შთამბეჭდავ ნაბიჯს, იგივე ხობში, ყულევში, ტერმინალის მშენებლობას, რომლის პროცესი წელიწადზე მეტია მიმდინარეობს და თქვენთან საუბრამდეც გვარიანი დოზით წარმოჩენილა. მაგრამ ამას ხომ წინ სუფსის ტერმინალი უსწრებდა? ამ ჩანაფიქრის გაშიფრვა თქვენგან უფრო მეუპრიანება, იმიტომ, რომ თავადაც ანგარიშგასაწევი შეხედულება მაქვს: ამაში არის, ალბათ, იმ ფადაასის, ფადაასობის მუხტი ჩადებული, რომ ჩვენ აი, ამ ზღვისპირა ზოლს გეგმაზომიერად მივუყვებით ხიდებით, ტერმინალებით, ნავსადგურებით, რომლის სრულფასოვანი განხორციელების შემდეგ, როცა ჯანსაღად, ლამაზად იცხოვრებ, ვინ, რომელი არ ინდომებს შენს გვერდით ყოფნას?!

– ძალიან საინტერესო შეკითხვაა, ბატონო გური. აი, მაგალითისთვის ყულევის ტერმინალი ჯდება აბრეშუმის გზის კონტექსტში...

– უფრო ხელშესახები დეტალებით, ბატონო ბონდო...

– შეიძლება დეტალებზე ახლა იმდენი ვერ ვილაპარაკოთ, მაგრამ ზოგადად გეტყვით, რომ პრეზიდენტის სამომავლო გეგმები ამ თვალსაზრისით გაცილებით ფართეა... არა მარტო ყულევის ტერმინალზეა საუბარი, საუბარია ანაკლიის პორტის მშენებლობაზეც. ღმერთმა ინებოს და მალე გადაწყდეს აფხაზეთის კონფლიქტის ნორმალიზაციის საკითხი, აფხაზეთის შემობრუნება ჩვენკენ, ხვალ შეიძლება საუბარი წამოიწყოს ოჩამჩირის პორტზე, და ასე შემდეგ. ეს საზღვაო აკვატორია საქართველომ უნდა აითვისოს საერთაშორისო სტანდარტების დონეზე და სწორედ ეს დღეს, აი, იმ აბრეშუმის გზის მომავალ გეგმაში და პრეზიდენტი ამას ძალიან იმედიანად უყურებს. და მისი ძალისხმევაც აქეთკენ რომ არის არსებითად მიმართული, ესეც დაგისახელეთ. მეტი რაღა ექნა? – ხელებს ფართოდ გამშლის მხარის გუბერნატორი, – ეს ობიექტები, ცხადია, ერთბაშად ვერ აღმოცენდება, თანდათან, დროთა ვითარებაში ბევრი სიახლეა მოსალოდნელი, თქვენ ბრძანეთ სუფსის ტერმინალზე, ახლა მიდის ყულევის ტერმინალის მშენებლობა. ფოთშიც შეიძლება ახალი ნავსადგური გაკეთდეს კიდევ და ა. შ. რა არის ამაში მთავარი ფაქტორი? მთავარი გახლავთ ის, რომ გეოგრაფიული მდებარეობა ჩვენი ქვეყნისა, რომელიც ხელსაყრელია საქართველოსთვის, მაქსიმალურად გამოვიყენოთ.

– ყველაფერი კეთილი, ბატონო ბონდო, აგვიშენებია ტერმინალი, გნებავთ ორი, გნებავთ ხუთი, მაგრამ ტერმინალებს არ აშენებენ ღია ცის ქვეშ, ე. წ. რეკვიზიტის დონეზე. თუკი ტერმინალს არ მოეპოვება მკვებავი არტერია, არ გააჩნია ნედლეული, წყალში გადაყრილი მილიონებია. რამდენადაც ვიცი, ჯერ კიდევ არა გვაქვს საბოლოოდ გარკვეული თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის პრობლემა. კიდევ რა? კიდევ რითი?!

– ახლა ვხედავ, თუ რისი გაგება გინდათ ჩემგან, – მოჭუტული თვალებით მიღიმის, – ბაქო-ჯეიჰანთან დაკავშირებით ყველაფერი ნათელია. რამდენჯერ იყო ამის თაობაზე საუბარი. ეს ყველამ იცის, ნედლეული საიდან იქნება. თქვენ უფრო გაინტერესებთ, ალბათ, ყულევის ტერმინალის ბედი. ყულევის ტერმინალის დამფინანსებელნი არიან დიდი ფირმის წარმომადგენლები, სადაც რამდენიმე ქართველიცაა, და მათ, წარმოიდგინეთ, ნედლეული შუა აზიაში აქვთ, ანუ აქვთ თავიანთი ნავთობის მოპოვების წყაროები. აი, იქიდან ეს ყველაფერი კასპიის ზღვით შემოვა ბაქომდე და ბაქოდან რკინიგზით – ყულევამდე.

– სუფსამდე და...

– არა, არა, სუფსამდე არა. ყულევამდე. სუფსა ცალკეა. ყულევი არ ეხება სუფსის ნავთობს, რომლის შესახებ საუბარია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით, საიდანაც ისინი ღებულობენ ნავთობს და მიაქვთ ამ გზით, სუფსამდე.

– ბარემ ახლა ვიტყვი იმის თაობაზე, ბატონო ბონდო, რომ მე წელან შემთხვევით არ მითქვამს „არა მხოლოდ რეკვიზიტის დონეზე“. კი, ბატონო, შუააზიიდან შემოზიდული ნავთობით დაიტვირთა ყულევის ტერმინალი, სხვანიც, მაგრამ მე, საქართველოს გეოლოგიაში რამდენადმე ჩახედულმა დილეტანტმა, ხომ ვიცი, ნავთობი კახეთში რისთვის მოიპოვება. ან აგერ, ფოთის მისადგომებთან, ჭალადიდში, უკვე გერმანული ფირმაა დაინტერესებული ნავთობმოპოვების სამუშაოებით. როგორ შეიძლება კასპიის ზღვაში ნავთობი იყოს და საქართველოში – არა! აქ მოპოვების სიიაფეზეა საუბარი და არა ნავთობის ყოფნა-არყოფნაზე.

– მარტო სიძვირე ან სიიაფე აქ არაფერ შუაშია. თქვენ იცით, რომ ინტენსიური მუშაობა მიდის ახლა ამ მიმართულებით კახეთში. სხვათა შორის, ჩვენთანაც, აი, ხობის ტერიტორიაზე დაზვერვითი სამუშაოებია გაჩაღებული შავი ზღვის აკვატორიაში და ა. შ. ღმერთმა ქნას, რომ ჩვენ ჩვენი ნავთობი იმდენი რაოდენობით მოვიპოვოთ, საქართველოსაც ჰყოფნიდეს და გვქონდეს გასაყიდიც, მაშინ გარკვეულწილად ეს ტერმინალებიც დაიტვირთებოდა. იქნებ ამისთვისაც...

– იქნებ ეს უფრო მეტ ინფორმაციულ ცნობებსაა დაფუძნებული, ბატონო ბონდო, შემთხვევით არაფერი ხდება, მით უმეტეს ენერგეტიკაში. შეიძლება ღიად ყველაფერი არ ითქმის და მაინც მე რატომღაც დარწმუნებული ვარ, საქართველო ზის ნავთობის ტბაზე...

– რომ არ ყოფილიყო ნავთობი, მაშინ დაინტერესებაც არ იქნებოდა, ალბათ, უცხოური ფირმებისაგან...

– თავს იკავებთ...

– მუშაობენ, რა თქმა უნდა. ვერ გეტყვით, რა დოზით არის, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ნავთობის საბადოები ჩვენთან რომ არის, ცხადია, და ამიტომაც არიან დაინტერესებულნი, კიდევ ვიმეორებ, ის ადამიანები, რომლებმაც დაიწყეს სამუშაოები, დაზვერვითი სამუშაოები, მაგალითად, შავი ზღვის აკვატორიასა და ჭალადიდში.

– „ტერმინალის მეპატრონენი ხომ არ იბევებენ ჩვენთან არსებულ ნავთობს სამომავლოდ“ – გამიელვებს გონებაში, მაგრამ ისედაც გადაღლილი გუბერნატორისთვის ამ კითხვის მიცემისგან რატომღაც თავს შევიკავებ და სრულიად გასაგები მიზეზის წყალობით შევეცდები საუბარს მიმართულება შევუცვალო.

– თქვენი ხელშეწყობით, იმედია, ბატონო ბონდო, იმ ხალხთანაც მექნება შეხების წერტილები, – ვეუბნები. უკეთ მოგეხსენებათ, დღეს ყველაფერი საკმაოდ კონფიდენციალურია. ინფორმაციის მოპოვება საკმაოდ ძნელია, იმიტომ, რომ როდესაც საკითხი ეხება ამა თუ იმ ფირმის, ანუ იურიდიული პირის მუშაობას, იქ ტრადიციული გულგახსნილობანი და მისთანანი ჩაილურის წყალს გაჰყოლია.

– ნებისმიერ დროს მზად ვარ, ბატონო გური, თქვენთან ერთად ვეწვიო ყულევს, ჭალადიდსაც... არავითარი სირთულეები არ იქნება იქ ინფორმაციის მოპოვების თვალსაზრისით.



**გური ოტობაია.**
(დასასრული იქნება).

იბეჭდება შემოკლებით.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ №111.

გვწერენ

# სახელმწიფოს მეთაურის ლანძღვა ყველაზე იაფი და მომგებიანი ბიზნესია

## დაარღვია თუ არა კონსტიტუცია ედუარდ შევარდნაძემ?

(პირველი გვერდიდან)

მკითხველის გასაგონად მინდა ვთქვა, რომ არ ვეკუთვნი საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც რაიმე პრივილეგიას იღებს პრეზიდენტის ან მისი გარემოცვისაგან.

არც იმ ნაწილს, ყველაფერს რომ უწონებს პრეზიდენტს, აღმასრულებელ ხელისუფლებას.

არც იმ ნაწილს, ყველაფერში დამნაშავედ რომ აცხადებენ ერთ ადამიანს – ედუარდ შევარდნაძეს.

ვარ ჩვეულებრივი მოქალაქე და რეალისტურად ვუყურებ საქართველოში მიმდინარე პროცესებს. „აღმოაჩინე“, რომ ყველაზე დიდი უბედურება დღევანდელ საქართველოში არის დაპირისპირება, ერთმანეთის განადგურებისა და პირადი ქონების მოხვეჭის სურვილი.

საქართველოში კონსტიტუციაც მაშინ ახსენდებათ, როცა მათ პირად პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პრობლემებს რაღაც საფრთხე დაემუქრება.

ისმის კითხვა – უნდა იყოს თუ არა პრეზიდენტი მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარე? მე, რომელიც არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი არა ვარ, მომგებიანად ვიტყვი, რომ არ უნდა იყოს. ჩემს აზრს დაეთანხმება, ვინც არ არის მოქალაქეთა კავშირის წევრი, მაგრამ თუ უფრო მაღალ რანგში განვიხილავთ, პრეზიდენტი ძლიერი პოლიტიკური საყრდენის გარეშე დაუცველი აღმოჩნდება.

საზოგადოების გარკვეულ ნაწილს აქვს არგუმენტები, რადგანაც ედუარდ შევარდნაძე მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარეა, „მათი პრეზიდენტია“ და არა „ყველას პრეზიდენტიო“.

მიმაჩნია, რომ ეს არასწორი არგუმენტაციაა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ორი ძლიერი პოლიტიკური ძალა იბრძოდა პრეზიდენტის სკამისათვის. გაიმარჯვა რესპუბლიკელმა ბუშმა და მის უკან სწორედ ეს ძალა დგას, მაგრამ, ამის მიუხედავად, ვერავინ იტყვის, რომ ის მთელი ამერიკის პრეზიდენტი არ არის. გამართლება არ იქნება კონტრარგუმენტი, რომ უმცროსი ჯორჯ ბუში პარტიის თავმჯდომარე არ არის.

საქართველო, თავისი მცირერიცხოვნობის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძნელად სამართავი ქვეყანაა (დალაგებულიც რომ იყოს), სახელმწიფოებრივი მშენებლობის პერიოდში მით უფრო.

მარტივი ლოგიკაა, ედუარდ შევარდნაძე „ყველას პრეზიდენტი“ იყოს, მაგრამ ყველა დაიცავს თუ არა ედუარდ შევარდნაძეს ათასპროცენტიანი მართალიც რომ იყოს?

ძნელია თქმა, მაგრამ მაინც ვიტყვი – არ დაიცავს!

### ეჭვიანობის არგუმენტები

სარჩელი შევიდა... პირადად მე ეჭვი გამიჩნდა. ეს არის მორიგი მცდელობა... ედუარდ შევარდნაძემ არ დატოვოს მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარეობა.

პარადოქსულია, არა? სარჩელი შევიდა, ითხოვენ, რომ მას არ უნდა ეკავოს ეს პოსტი. მე კი ვამბობ, რომ სარჩელი პირიქით ამაგრებს პრეზიდენტს ამ პოსტზე.

რა მაძლევს ასეთი ფიქრის საფუძველს? შეიძლება ვცდები (ვინ არ ცდება), მაგრამ უკანასკნელ პერიოდში თვით მოქალაქეთა კავშირში იგრძნეს, ახლოვდება საშიშროება, რომ შეიძლება ედუარდ შევარდნაძემ დატოვოს მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარეობა. ამ ეტაპზე ეს მომაკვდინებელი იქნება იმ ხალხისათვის, ვინც პრეზიდენტის ფრთისქვეშ შეყუჟულებმა, პრეზიდენტის ძალის და ავტორიტეტის გზით მიიღეს პოლიტიკური (გნებავთ, ეკონომიკური!) დივიდენდები.

იციან, რომ უპრეზიდენტოდ ისინი არაფერს არ წარმოადგენენ, მით უმეტეს, ადგილობრივი არჩევნების წინ, რომლის შედეგები ბევრად განსაზღვრავს მომავალი საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევანის შედეგებს.

ამიტომ დღეს ედუარდ შევარდნაძე ისეა საჭირო მათთვის, როგორც სულთმობრძავი ადამიანისათვის ჟანგბადი. ხვალ შეიძლება ასე არ იყოს, ამიტომ წამოწყებული კამპანია, რომ პრეზიდენტი არ უნდა იყოს მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარე, პირიქით, ბუმერანგია, რომელიც სხვაგვარად ბრუნდება. რომც უნდოდეს, ედუარდ შევარდნაძე დღეს ვერ დატოვებს მოქალაქეთა კავშირს, რადგან ამით, ნებსით თუ უნებლიეთ, დაადასტურებს, რომ მას სარჩელის „შეეშინდა“ და თავმჯდომარეობიდან გადადგა.

თუ გადადგება? მაშინ ის „დაადასტურებს“, რომ დაარღვია კონსტიტუცია და წინასწარ გამოუტანს განაჩენს საკუთარ თავს, ანუ გაამართლებს სარჩელის არგუმენტებს.

გარკვეული ჯგუფის მიზანი (!) მიღწეულია: სანამ საკონსტიტუციო სასამართლო არ გამოიტანს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, დაარღვია თუ არა პრეზიდენტმა კონსტიტუცია, მანამდე ის ვერ გადადგება მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარის პოსტიდან.

ეს პროცესი კი რამდენიმე თვეს მოიცავს, ანუ რამდენიმე თვით გახანგრძლივებულია მოქალაქეთა კავშირის სიძლიერე და მათი მხრიდან პრეზიდენტზე ზემოქმედების ბერკეტები.

### რიგითი მოქალაქე – კონსტიტუციის „რევიზორი“...

მუხლი 69 (!) – „საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური“.

ჩემი აზრით, პრეზიდენტი „სახელმწიფოს მეთაურობასთან“ ერთად არის „მთავრობის მეთაურიც“...

მუხლი 72 – „საქართველოს პრეზიდენტს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, იღებდეს ხელფასს ან სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურებას რაიმე სხვა საქმიანობისათვის“.

მოვაწყოთ „რევიზია“. პრეზიდენტი არ ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, არ იღებს აქედან ხელფასს, ან სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურებას რაიმე სხვა საქმიანობისათვის.

კითხვის ნიშნის ქვეშ დარჩა ერთი. ეს არის ის, რომ პრეზიდენტს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა. ამ თანამდებობაში მოიაზრება მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარეობა და ამას თელიან კონსტიტუციურ დარღვევად.

პასუხი თვით ამ მუხლშია. ამ „თანამდებობისათვის“ ის არ იღებს ხელფასს ან სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურებას. ერთი გამორიცხავს მეორეს და პირიქით.

უფრო „შორს წავიდეთ“.

მუხლი 73 (4) – „პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. იგი ნიშნავს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს, თავმჯდომარეობს მის სხდომებს, ნიშნავს და გადააყენებს მხედართმთავრებს“.

რას ნიშნავს ეს? პრეზიდენტს უკავია სხვა თანამდებობაც – არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, მაგრამ არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას (მუხლი 72), რადგან იგი ამისათვის არ იღებს ხელფასს.

პრეზიდენტს „სხვა თანამდებობაც“ აქვს: ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს. არც ამისათვის იღებს დამატებით ხელფასს.

მუხლი 80 – „მთავრობის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, გარდა პარტიულისა, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, იღებდეს ხელფასს ან სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურებას რაიმე სხვა საქმიანობიდან“.

ეს სერიოზული მუხლი შეტანილია მეოთხე თავში – „საქართველოს პრეზიდენტი“. ეს ბევრი რამის გამხსნელია და დაკონკრეტება აღარ ესაჭიროება.

მიმაჩნია, რომ პრეზიდენტი [მუხლი 69(1)], არის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურიც, ანუ მთავრობის მეთაური და, შესაბამისად, ამ მთავრობის წევრიც!

მე ვერ ვნახე კონსტიტუციაში მუხლი, სადაც ეწერებოდა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური არ არის მთავრობის წევრი, რადგან არ არის, გამოდის რომ ჯერ წევრია და მერე მეთაური.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტს, მთავრობის წევრს და, რა თქმა უნდა, მეთაურს, უფლება აქვს (მუხლი 80) დაიკავოს პარტიული თანამდებობა, მით უმეტეს მაშინ, როცა ამისათვის ის მუდმივ ანაზღაურებას, ხელფასს, ან სხვაგვარი საქმიანობის ეკონომიკურ შემოსავლებს არ იღებს.

მიმაჩნია, რომ ეს სარჩელი და ხმაური შეგნებულად არის ატეხილი და არავითარი საფუძველი არ არსებობს, მაგრამ მიზანს აღწევს – საზოგადოების ყურადღება პრეზიდენტისაკენ არის კონცენტრირებული.

არ გამოვა? რას კარგავენ სარჩელის ორგანიზატორები? არაფერს. 3 თვის მანძილზე მასმედია მათით არის დაინტერესებული, არ ჩამოდიან პრესის ფურცლებიდან, ტელევიზიის ეკრანიდან... ეს კი მილიონობით ლარის ეკონომიაა, რომელსაც რეკლამისათვის არ იხდიან.

ადგილობრივი არჩევნების წინ ეს გარკვეული „ფორსაა“. ძალა, რომელიც „ებრძვის“ პრეზიდენტს და მოქალაქეთა კავშირს, არის „კარგი“, „გაბედული“ და „ხალხისათვის მისაღები“.

ასეა თუ ისე, შეიძლება მე, ერთი რიგითი მოქალაქე, ბევრ რამეში ვცდებოდე საქართველოს „დიდ“ თუ „მცირე“ პოლიტიკოსებთან შედარებით, მაგრამ ფაქტია, რომ ყველას აქვს უფლება, გამოთქვას თავისი მოსაზრება უმნიშვნელოვანეს საკითხზე, – არღვევს თუ არა კონსტიტუციას საქართველოს პრეზიდენტი.

**მაყვალა ბერიანიძე.**

უპასუხებენ

## რატომ განაწყენდა ცნობილი რეჟისორი?

გაზეთ „ალიას“ მიმდინარე წლის 28-29 აპრილის №54-ში გამოქვეყნებულია ინტერვიუ ცნობილ ქართველ რეჟისორ გიორგი შენგელაიასთან, რომელიც ამავდროულად არის „ვაზის პარტია-რუსეთთან ერთად“ თავმჯდომარე. ინტერვიუში რამდენჯერმე ნახსენებია ჩემი სახელი.

მე ღრმად მწამს, ბატონ გიორგის ან არ უთქვამს, ან საბოლოო რედაქციაში არ წაუკითხავს თავისი ინტერვიუ. თუნდაც იმიტომ, რომ შეუძლებელია ვინმეს, მე ვიქნები თუ სხვა ბიზნესმენი, უმტკიცო, რომ მას ნახევარი საქართველო აქვს გაფორმებული, თუნდაც გადატანითი მნიშვნელობით. ნებისმიერი ადამიანისათვის, რომელიც ეკონომიკაში ოდნავ მაინც ჩახედულია, ცნობილია, რომ კერძო პირს, ან კერძო ფირმას შეუძლებელია ჰქონდეს აქციები მადნეულის სამთო გამამდიდრებელი, კომბინატში ან ფოთის პორტში იმ უბრალო მიზეზით, რომ ეს საწარმოები 100 პროცენტით სახელმწიფოს ეკუთვნის.

რაც შეეხება ავიაკომპანია „აირზენას“, როგორც რესპონდენტს, ისე ჟურნალისტს, შეეძლოთ ეკითხათ ამ ფირმის პრეზიდენტისათვის, ბატონ თამაზ გაიაშვილისთვის ჩემი აქტივების შესახებ. არც „აირზენაში“ არანაირად არ ვმონაწილეობ. „ყველამ კარგად იცის პრეზიდენტის მძახალს გურამ ახვლედიანს რა ქონებაც აქვს“, გვმოძღვრავს ბატონი გიორგი. ამაში მთლიანად ვეთანხმები. ეს ყველამ კარგად იცის. თუნდაც იმიტომ, რომ ბევრჯერ დეკლარირებული მაქვს, მათ შორის, სამჯერ გაზეთ „ალიაში“, ჩემი ბიზნესის შესახებ. საოცარია პოლიტიკოსის მხრიდან ყოველგვარ საფუძველს და ფაქტობრივ მასალას მოკლებული მტკიცებები. სხვათა შორის, „მე ვამბობ იმას, რასაც ხალხი ლაპარაკობს“ – ეს არც მტკიცებაა და არც არგუმენტი. ხალხმა შეიძლება ჩემი პასუხი არ წაიკითხოს, ხოლო ბატონ გიორგის ინტერვიუ წაიკითხოს და დაიჯეროს კიდეც.

მე შორს ვდგავარ პოლიტიკური პარტიებისა და მიმდინარეობებისაგან. წესიერად არც კი ვიცი, რას წარმოადგენს „ვაზის პარტია-რუსეთთან ერთად“. ვაზთან და ბატონ გიორგი შენგელაიასთან დაკავშირებით მხოლოდ ერთი ეპიზოდი მახსენდება, როდესაც ბატონი გიორგი მესტუმრა და მთხოვა, ვენახის გასაშენებლად კრედიტი გამიხერხეო. გულით მინდოდა დახმარება, მაგრამ შესაბამისი გარანტიების გარეშე ამის გაკეთება არამც თუ მე, არავის არ ძალუძს.

ამის შემდეგ არ ვიცი, გააშენა თუ არა ბატონმა გიორგიმ ვენახი, მაგრამ, როგორც ჩანს, გაუშენებია პარტია. და როგორც ყველა ახალბედა პოლიტიკოსს, მას სურს სახელის დამკვიდრება და წინა პლანზე წარმოჩენა, ოღონდ, ჩემდა სამწუხაროდ, არც ისე სუფთა გზა აურჩევია: ლაფი დაასხას თავის ძველ კეთილმოსურნეს და თაყვანისმცემელს. უკანასკნელი მის რეჟისორულ ტალანტს ეხება, და არა მის პოლიტიკურ-ეკონომიკურ სიბრიყვეს.

**გურამ ახვლედიანი.**

**P. S. რა თქმა უნდა, მე გავუგზავნე ეს პასუხი გაზეთ „ალიას“, მაგრამ იგი გამოქვეყნდა გაზეთის იმ გვერდზე, სადაც კროსვორდები და სხვადასხვა განცხადებაა მოთავსებული. გამოდის, რომ ბატონ გიორგი შენგელაიას ინსინუაციებს გაზეთი „ალია“ თვალსაჩინო ადგილს უთმობს, ხოლო ჭეშმარიტების დასადგენ მასალას მალავს ყრუ ადგილას. კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ ზოგიერთ გაზეთს სურს არა სიმართლის გამოაშკარავება, არამედ ის, რომ ვინმე ერთმა სხვა ლაფში ამოსვაროს.**

**გ. ა.**

### ევროპანკს ათი წელი შეუსრულდა

1991 წელს შექმნილი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს ამჟამად 20 მილიარდი ევროს ოდენობის კაპიტალი აქვს. ამას წინათ ამ ბანკმა აღნიშნა თავისი 10 წლისთავის იუბილე, რომელსაც მიეძღვნა ამ ფინანსური ინსტიტუტის მმართველთა საბჭოს სესია. მასზე მიიწვიეს უდიდესი ბანკების, ფინანსური ორგანიზაციების წარმომადგენლები. საიუბილეო სესიაში მონაწილეობდა „საქართველოს ბანკიც“, რომელსაც მისი პრეზიდენტი ვლადიმერ პატეიშვილი წარმოადგენდა.

### ევროპელი ბანკირები დაინტერესებული არიან

როგორც ცნობილია, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, რომელიც შარშან „საქართველოს ბანკის“ აქციონერი გახდა, დაინტერესებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების საკითხებით. ამ ბანკების წარმომადგენელთა ამასწინანდელ შეხვედრაზე შეეხნენ საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობსადენებისა და ტერმინალების მშენებლობას, ტრასეკას პროექტის განხორციელებას, ფინანსური სფეროს მდგომარეობას, ბანკების სტაბილურობას. ფართოდ განიხილეს ტელეკომუნიკაციების ობიექტების პრივატიზაციის საკითხები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „საქართველოს ბანკისათვის“, ვინაიდან იგი კომერციული ბანკის საპრივატიზაციო კონსორციუმის წევრია და უშუალოდაა დაინტერესებული პრივატიზაციის პროცესის წარმატებაში.

ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.

გვეხმაურებიან

## მადლობა ჩვენი შრომის გახსენებისთვის

„საქართველოს რესპუბლიკის“ ა. წ. 29 აპრილის ნომერში დაიბეჭდა საჩხერელი პედაგოგის უშანგ გოგოლაძის წერილი „კახელებო, არ დაგივიწყებთ“. ამავე გაზეთის მეშვეობით გვსურს დედოფლისწყაროელი მშენებლების სახელით მადლობა გადავცეთ წერილის ავტორს და სოფელ კორბოულის მოსახლეობას ჩვენი შრომის გახსენებისა და გულთბილი სიტყვებისთვის, აგრეთვე, იმ გულისხმიერებისთვის, რასაც საჩხერის რაიონის მთელი მოსახლეობა იჩენდა ჩვენს მიმართ მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციაზე მუშაობის პერიოდში.

**ვაჟა პაპუაშვილი,**
დედოფლისწყაროს რაიონის გამგებლის მრჩეველი,
რაიონის საკრებულოს წევრი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

განხილვა

# საქართველოს თაიგული – ლაბირინთში

**აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით მოეწყო ავტორთა კოლექტივის (ვახტანგ ყოლბაია – ხელმძღვანელი, რაფიელ გელანტია, დავით ლაცუზბაია, თეიმურაზ ჭახრაკია) მიერ მომზადებული და ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოცემული მონოგრაფიის „აფხაზეთის ლაბირინთის“ ფართო განხილვა.**

ნაშრომი შედგება შესავლის, 9 თავისა და 17 პარაგრაფისაგან. დართული აქვს დასკვნა და ავტორების მიერ გამოყენებული ლიტერატურისა და დოკუმენტური მასალების ვრცელი სია.

ნაშრომის თავებსა და პარაგრაფებში თითქმის ან თითქმის თანაბარ დონეზეა მეცნიერულად დამუშავებული მონოგრაფიის ძირითადი პრობლემის ყველა ასპექტი. ამიტომ გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ნაშრომი ფუნდამენტური გამოკვლევაა, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვან, განმაზოგადებელ დებულებებსა და მეცნიერულ დასკვნებს შეიცავს. ნაშრომის ამ მთავარ მხარეს აღიარებდა ყველა გამომსვლელი, რომელთა შორის იყვნენ ცნობილი მეცნიერები და პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი. ზოგიერთმა გამომსვლელმა მონოგრაფიის აფხაზურ ენაზე გამოცემის სურვილი გამოთქვა, მეც მხარს ვუჭერ ამ მოსაზრებას, მით უმეტეს, რომ ნაშრომში არ არის ისეთი დებულებები, რომლებსაც აფხაზი მკითხველის მძაფრი უკმაყოფილების გამოწვევა შეუძლია.

ჩემი აზრით, ნაშრომის უდავოდ მნიშვნელოვანი მხარეა ისიც, რომ იგი დაწერილია აფხაზი ხალხის გულწრფელი პატივისცემის სულისკვეთებით.

ცხადია, ასეც უნდა ყოფილიყო. დიმიტრი გულიამ აფხაზეთს საქართველოს თაიგული უწოდა. ამიტომ მას ისე უნდა ვექცეოდეთ, როგორც თაიგულს. მართალია, აფხაზეთი დროებით დავკარგეთ, მაგრამ არ შეიძლება, საქართველო და მისი თაიგული დიდი ხნით არსებობდნენ ცალ-ცალკე.

ნაშრომის ავტორები ის ადამიანები არიან, რომელთაც ცხოვრება და მოღვაწეობა აფხაზეთში უხდებოდათ, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ აფხაზ მოსახლეობასთან, მის ინტელიგენციასთან. ცხადია, ყველაფერმა ამან თავისი ასახვა ჰპოვა ნაშრომის შინაარსში, ყოველ მის სტრიქონში.

მაგრამ, სამწუხაროდ, საიდუმლო არ არის, რომ მონოგრაფიის ავტორებისაგან განსხვავებით, საკმაოდ სცოდავს ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი და ზოგიერთი „მსუბუქი ჟანრის“ ქართველი პოლიტიკანი, რაც აფხაზი მეცნიერებისა და აფხაზი ინტელიგენტების მხრივ სამართლიან საწინააღმდეგო რეაქციას იწვევს.

გულწრფელი მადლობა ავტორებს ამ ნაშრომისათვის. ასევე კრებულების: „აფხაზეთის საკითხი საქართველოს პარლამენტში“, „აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში“, „საინფორმაციო-ანალიტიკური მასალების“ მომზადებისა და გამოცემისათვის.

ავტორთა ჯგუფის სახელით, ბატონ ვახტანგ ყოლბაიამ მადლობა მოახსენა სხდომის მრავალრიცხოვან მონაწილეს.

**გრიგოლ ჟვანია.**

თვალსაზრისი

# კანონპროექტი საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება

დღეისათვის საადვოკატო საქმიანობის მოწესრიგებას და მისთვის სამართლებრივი ბაზის შექმნას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ კანონპროექტი „ადვოკატურის შესახებ“ შესაძლებლობას გვაძლევს მივიღოთ კანონი, რომელიც ადვოკატს დამოუკიდებლობას მიანიჭებს, იგი დაემორჩილება მხოლოდ კანონს, პროფესიული ეთიკის ნორმებს და შევა საქართველოს ადვოკატთა ერთიან სიაში.

კანონში ჩამოყალიბდება სხვადასხვა საკითხი, კერძოდ, კლიენტისათვის იურიდიული რჩევის მიცემა – კონსულტაციების გაწევა, კლიენტის დაცვა და წარმომადგენლობა საკონსტიტუციო და საერთო იურისდიქციის სასამართლოებში, არბიტრაჟში, მოკვლევისა და გამოძიების ორგანოებში.

კანონპროექტით საადვოკატო საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებად მიჩნეულია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, კანონი ადვოკატურის შესახებ, საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, ადვოკატთა პალატის წესდება.

სახელმწიფო აღიარებს და უზრუნველყოფს საადვოკატო საქმიანობის დამოუკიდებლობას და ამ საქმიანობას საკანონმდებლო წესით აწესრიგებს.

კანონპროექტში საუბარია ადვოკატის მოვალეობებზე, კლიენტის ინტერესების დაცვაზე, პროფესიულ საიდუმლოებაზე, ინტერესთა შეუთავსებლობაზე, ყოველივე ეს მოაწესრიგებს იმ შესაძლო გართულებებს, რომელიც შეიძლება ადვოკატსა და კლიენტს შორის წარმოიშვას.

ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა დადებითად მიგვაჩნია,ვინაიდან პროცესში მონაწილე ადვოკატს სათანადო ცოდნა უნდა ჰქონდეს.

აღნიშნული კანონპროექტი საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება და მისაღებია იურიდიული საზოგადოებისათვის.

**გოჩა უტიაშვილი,**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.**

სიცოცხლე არდავიწყებაა

# სიტყვა მეგობარზე

**ამ დღეებში საქართველოს მწერალთა კავშირში გაიმართა გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ჯანსუღ ღვინჯილიას ხსოვნის საღამო, რომელზეც ბევრი გულითადი სიტყვა ითქვა განსვენებულის შესახებ. ქვემოთ გთავაზობთ ერთ-ერთი გამომსვლელის, ცნობილი ქართველი არქიტექტორის ბატონ ვახტანგ დავითაიას სიტყვას.**

აქ უკვე ილაპარაკეს ჯანსუღის პუბლიცისტურ, საზოგადოებრივ და მწერლურ მოღვაწეობაზე. კიდევ ბევრი ითქმება, მე სხვა ასპექტებზე მსურს საუბარი.

მარკესმა გენიალურად თქვა, სიკვდილი სიბერეს კი არა, დავიწყებას მოაქვსო. ამის პერიფრაზი მინდა გავაკეთო – სიკვდილი სიკვდილს კი არ მოაქვს, არამედ დავიწყებას, არდავიწყებას კი ადამიანი სიცოცხლეშივე მოიპოვებს თავად, რა თქმა უნდა, გამონაკლისები. ჯანსუღმა არდავიწყება თავადვე განაპირობა თავისი მოღვაწეობით, ამ არდავიწყების ხასიათი უნივერსალურია და არა ოჯახის, შვილების და ნათესავების მიერ განპირობებული.

ჯერ კიდევ რთულია მდგომარეობა საქართველოში, ჯერ კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი ჩვენი რეალური დამოუკიდებლობისათვის. შორსა ვართ იმისგან, რომ თითოეულმა ადამიანმა შეიგნოს, რომ ეს მისი გასაკეთებელია, მხოლოდ მისი და სხვა ამას არ გააკეთებს.

ჯანსუღი ამისთვის იბრძოდა, იბრძოდა სიტყვით, იბრძოდა გულწრფელად. ის იყო კაცი, რომელსაც ჰქონდა ცხოვრების საკუთარი მანიფესტი. ის ებრძოდა გადაგვარებულ, გადაჯიშებულ, გაღორებულ ფსიქოლოგიას, ებრძოდა შემოქმედებით და პირადი მაგალითით. მისი სიტყვა მიზანს აღწევდა, ხალხს მისი სჯეროდა, ვინაიდან ის იყო მართალი და გულწრფელი.

ჯანსუღი სწორად ცხოვრობდა. ეს კი არ არის იოლად და ლაღად ცხოვრება. სწორად ცხოვრება ძნელია, ვინაიდან ის პირადულზე ამაღლებას ნიშნავს.

დღეს წერე და იკითხეს დროა, „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის“ – დროა. ასე მიაჩნია ყველას. ამაში არის სიმართლე, მაგრამ, როგორც ჩანს, დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ წერს და ვინ ყეფს. და ეს ნათლად დაგვანახა ჯანსუღის გარდაცვალებამ, თუ როგორ მიაგო პატივი მის ღვაწლს მთელმა ინტელექტუალურმა საქართველომ. მისი ხსოვნის საღამოს აღნიშვნა, გარდაცვალებიდან ასე მცირე დროში, არათუ თანაგრძნობაა ოჯახისადმი, არამედ საზოგადოებრივად აუცილებელია, რადგანაც დღეს გაცხარებული შეტევაა ქართულ მწერლობაზე, ეროვნულ ცნობიერებაზე. დიდიხნის მეგობრობა და სიახლოვე ყველა თაობის ქართველ მწერლებთან მაძლევს უფლებას, ვთქვა: ქართველმა მწერლებმა უნდა გადადონ პირადული უკმაყოფილებები და დაპირისპირება. ახლა ერთიანი ფრონტია საჭირო, რადგანაც ქართული მწერლობის მნიშვნელობის დაკნინება ნიშნავს ქართული თეატრის, ქართული კინოს, ქართული მხატვრობის, საერთოდ ქართული ცნობიერების დაკნინებას, ქართველების მანქურთიზაციას. ყველა ამჩნევს, რომ ადამიანის ტანს ცუდად ესადაგება მტაცებელი ცხოველის თავი, მაგრამ თუ ამ მახინჯ თავს არ ვუმკურნალეთ, ცოტა ხანში ტანიც შესაბამისობაში მოვა ამ თავთან და მივიღებთ ადამიანის ახალ ტიპს – მტაცებელ ადამიანს. ამ საკითხებზე, სწორედ რომ უპრიანია საუბარი ჯანსუღის ხსოვნის დღეზე.

**ვახტანგ დავითაია.**
29. IV. 2001 წ.

გვწერენ

# მესაზღვრე ვეტერანების პატივგება

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტმა განსაკუთრებული, შთამბეჭდავი საჩუქარი უძღვნა დიდი სამამულო ომის ვეტერანებს და 9 მაისს მათ გულთბილი შეხვედრა მოუწყო. დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ, ფულადი ჯილდოს სახით, 100-100 ლარიც გადასცა სამამულო ომის 35 მონაწილეს.

*– „დიდი მადლობა იმისთვის, რომ გვაფასებთ; დიდი მადლობა ყურადღებისთვის. ეს დღე არასოდეს დაგვავიწყდება“, – ამბობდნენ ვეტერანები.*

*დიდი მადლობა მათ, რომ თავიანთი გმირული წარსულით ცხოვრების სტიმულს გვაძლევენ, სიამაყის და მომავლის რწმენას გვინერგავენ.*

**ვახტანგ თულაშვილი,**
**საქართველოს სასაზღვრო ძალების ვეტერანთა ორგანიზაციის საბჭოს თავმჯდომარე.**

# განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) მიერ წარმოებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის შესაბამისად, ტენდერს აცხადებს:

**თბილისი, დიდუბის რაიონი,** ომის ვეტერანთა ჰოსპიტალის რემონტის მიკროპროექტის კომიტეტი;

**საბურთალოს რაიონი,** ლისი-საბურთალოს გეოთერმული წყალსადენის რეკონსტრუქციის მიკროპროექტის კომიტეტი;

**ქედა,** სოფ. გეგელიძეების სკოლის მშენებლობის მიკროპროექტის კომიტეტი.

**ტენდერში მონაწილეობა შეუძლიათ შესაბამისი ლიცენზიის მქონე კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს.**

საკონკურსო დოკუმენტაციის გაცემა მოხდება შესაბამისად:

- ომის ვეტერანთა ჰოსპიტალი — 14 მაისიდან 14 ივნისის 14 სთ-მდე — თბილისი, შ. იამანიძის ქ. № 3;
(კონსულტაცია პროექტზე ჩატარდება — 28 მაისს 14 სთ-ზე, საკონკურსო წინადადებები გაიხსნება — 14 ივნისს 14 სთ-ზე, იმავე მისამართზე);
- ლისი-საბურთალოს გეოთერმული წყალსადენი — 14 მაისიდან 14 ივნისის 15 სთ-მდე — თბილისი, დელისის 3, ქუჩა 22 ა, (კონსულტაცია პროექტზე ჩატარდება — 28 მაისს, 15 სთ-ზე, საკონკურსო წინადადებები გაიხსნება — 14 ივნისს 15 სთ-ზე, იმავე მისამართზე);
- სოფ. გეგელიძეების სკოლა — 14 მაისიდან 14 ივნისის 16 სთ-მდე, — სოფ. გეგელიძეების გამგეობა;
(კონსულტაცია პროექტზე ჩატარდება 1 ივნისს, 15 სთ-ზე, საკონკურსო წინადადებები გაიხსნება — 14 ივნისს, 16 სთ-ზე, იმავე მისამართზე);

**კონსულტაციებზე დასწრება სავალდებულოა.**

საკონკურსო დოკუმენტების ღირებულებაა 20 ლარი.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს საკონკურსო გარანტია 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

# კონგრესმა გაერო დოლარით დასაჯა

ამ ერთი კვირის წინათ აშშ ამოაგდეს გაეროს ერთბაშად ორი კომიტეტიდან, რომელთა შექმნასა და მუშაობაში წამყვან მონაწილეობას იღებდა. და მთელი შემდგომი დღეების მანძილზე ვაშინგტონში აყენებდნენ ნაირ-ნაირ ვერსიებს ამ დიპლომატიური მარცხის ასახსნელად. თუმცა ამერიკელთა უმრავლესობა მომხდარს ერთობ გულგრილად შეხვდა, ვინაიდან მასას წარმოდგენაც არა აქვს, რა საჭიროა გაერო და, საერთოდ, რას აკეთებს ასეის. პოლიტიკური წრეები განსაკუთრებით გაამწარა ადგილის დაკარგვამ ადამიანის უფლებათა კომიტეტში, სადაც ამერიკა ხშირად გამოსულა თაოსნად.



კაპიტოლიუმის ბორცვზე მწვავედ გამოეხმაურნენ გაეროს კომიტეტებში ადგილების დაკარგვას.

ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჰენრი კისინჯერმა შენიშნა, რომ ჯერ ერთი, იმათ უმრავლესობას, ვინც ამერიკის წინააღმდეგ მისცა ხმა, მისი ძველი ავისმდომნი შეადგენენ, მეორეც, ევროპელები ახლა ბლოკად აძლევენ ხმას თავისიანებს, და, მესამე, ამერიკელთა ლობირების გზები გაართულა იმან, რომ შეერთებულ შტატებს ჯერ არა ჰყავს მუდმივი წარმომადგენელი გაეროში, რომელიც კარგა ხანია დანიშნა თეთრმა სახლმა, მაგრამ ჯერაც არ წარუდგენია სენატში დასამტკიცებლად.

ამერიკის ახალი ადმინისტრაციის კრიტიკოსები ამბობდნენ, რომ შეერთებულ შტატებზე შური იძიეს მისი მთელი რიგი გახმაურებული გადაწყვეტილებების გამო, რომლებმაც მწვავე კრიტიკა გამოიწვიეს. მაგალითად, თეთრმა სახლმა უარი თქვა, მოქმედების სახელმძღვანელოდ მიეჩნია კიოტოს ოქმი, რომლის მიზანია სათბურისმიერი აირების მკვეთრი შემცირება, და გამოაცხადა, რომ უნდა განალაგოს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ეროვნული სისტემა.

ვაშინგტონის კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ მსოფლიო გაერთიანებასთან უთანხმოებანი აშშ-ს დაეწყო ჯერ კიდევ ბუშამდე, კლინტონის დროს, როდესაც უარი თქვა, ხელი მოეწერა საერთაშორისო ხელშეკრულებისათვის ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის შესახებ, ხოლო აშშ სენატმა არ მოინდომა ბირთვული გამოცდის სრული აკრძალვის ხელშეკრულების რატიფიცირება.

უკვე ერთი კვირის წინათ ცნობილი გახდა, რომ კონგრესმენები ამ საქმეს ასე არ დატოვებენ, თუმცა თეთრი სახლიცა და სახელმწიფო დეპარტამენტიც ფილოსოფიურად მოეკიდნენ მომხდარს და განაცხადეს, რომ ჟენევის მარცხი სულაც არ ნიშნავს, რომ აშშ აღარ იბრძოლებს ადამიანის უფლებების დასაცავად.

ადმინისტრაციის რჩევებისა და გაეროს თაყვანისმცემლების მოწოდებების მიუხედავად, წარმომადგენელთა პალატამ ხუთშაბათს უარი თქვა 224 მილიონი დოლარის ასიგნებაზე, რომელიც ვაშინგტონს გაისად უნდა გადაეხადა გაეროსათვის. მაგრამ, ამავე დროს, დათანხმდა, მისცენ 582 მილიონი დოლარი წლეულს და გამოუყონ 67 მილიონი იუნესკოში აშშ დასაბრუნებლად.



კისინჯერი: ამერიკის წინააღმდეგ ხმა მისცეს მისმა ძველმა ავისმდომებმა.

თუ გაისად აშშ კვლავ დაიკავებს ადგილს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტში, მაშინ მიიღებს იმ 224 მილიონს, რომელზეც ახლა კონგრესმენებმა უარი თქვეს.

რეზოლუციას ხმა მისცა 252-მა კაცმა 165-ის წინააღმდეგ. მას მხარი დაუჭირეს არა მარტო გაეროს პირწავარდნილმა კრიტიკოსებმა, არამედ მისი მხურვალე თაყვანისმცემლების ნაწილმაც, რომლებსაც ეშინოდათ კიდევ უფრო უარესი ვარიანტისა.

რეზოლუცია წარმოადგენდა იმ კანონპროექტის შესწორებას, რომელმაც 8,2 მილიარდი დოლარი გამოჰყო საგარეო-პოლიტიკური საქმიანობისათვის. შესწორება, აგრეთვე, შეიცავს მოთხოვნას, გაუქმდეს გაეროს კომიტეტებში ისეთი ფარული კენჭისყრები, რომელთაგან ერთ-ერთმა ამერიკელები მშრალზე დატოვა.

ამერიკელები ძალზე გაანაწყენა იმან, რომ ბევრმა ქვეყანამ კენჭისყრამდე აღუთქვა მხარდაჭერა, მერე კი სიტყვა გატეხა. ასეთი რამ გაეროში წინათაც მომხდარა, მაგრამ კონგრესს სურს იცოდეს, სახელდობრ, ვინ გააშავა აშშ კომიტეტების არჩევნებში.

გაეროს მომხრეები ამტკიცებენ, რომ რეზოლუცია ამერიკის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა დარღვევაა, და მხოლოდ გააღრმავებს ანტიამერიკულ განწყობილებებს მსოფლიოში.

„მე არა მგონია, რომ სხვა ქვეყნების მხარდაჭერის შანტაჟის გზით მოპოვება მაინცდამაინც პროდუქტიული იყოს“, – შენიშნა დემოკრატმა კონგრესმენმა ელიოტ ენგელმა.

# ისრაელმა ღაზას დაარტყა

პალესტინელი ხელისუფალნი ჯერაც ვერ მოსულან გონს მას შემდეგ, რაც ისრაელმა რაკეტები დაუშინა ღაზის პოლიციის სამმართველოს.

ხუთშაბათ საღამოს შენობას, სადაც პალესტინელთა უშიშროების და სადაზვერვო სამსახურის ძალების შტაბბინებია განლაგებული, სამი რაკეტა მოხვდა. კიდევ ორი რაკეტა აფეთქდა ღაზაში, სადაც იასირ არაფატის „ფათჰ“ მოძრაობის შტაბბინა მდებარეობს.

პალესტინელები აცხადებენ, რომ ცეცხლის შედეგად დაიჭრა სულ ცოტა 12 კაცი. ავტონომიის ხელმძღვანელობამ მკაცრად დაგმო ეს აქტი, მაგრამ ისრაელის მხარემ განაცხადა, რომ ეს იყო საპასუხო აქცია პალესტინელების მიერ იმ ორი რუმინელის მკვლელობაზე, რომლებიც სამუშაოდ ჩავიდნენ ისრაელში.

რაკეტები, რომლებმაც ღაზის პოლიციის სამმართველო დაანგრია, გახდა მკაცრი გაფრთხილება არაფატისათვის: ბოლო მოუღოს ისრაელებზე თავდასხმებს, თორემ პასუხი სასტიკი და დაუნდობელი იქნება. ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა პირდაპირ განაცხადა, რომ რაკეტების დაშენა გაგრძელდება, სანამ არ შეწყდება პალესტინელების მხრივ ძალადობის აქტები.



ღაზაზე სარაკეტო იერიშის მიტანის შემდეგ გვიანობამდე გრძელდებოდა შეტაკებანი ისრაელ ჯარისკაცებსა და პალესტინელებს შორის ქალაქ რაფაჰთან.

იმის შიშით, რომ პალესტინელთა რეაქციამ კიდევ უფრო მეტად არ გაამწვავოს ისედაც დაძაბული ვითარება იერუსალიმში, ისრაელის პოლიციამ გამოაცხადა, რომ პარასკევს ასაკობრივი ცენზი დაუწესდებათ მლოცველებს ტაძრის მთაზე, სალოცავზე, რომელსაც მაჰმადიანები ხარამ ალ-შარიფს უწოდებენ.

გასული წლის შემოდგომაზე ინტიფადის ახლანდელი ტალღა აგორდა სწორედ მას შემდეგ, რაც ტაძრის მთას ეწვია მაშინდელი მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერი, აწ კი ისრაელის პრემიერი არიელ შარონი.

ამჟამად საერთაშორისო ასპარეზზე განიხილავენ ახლო აღმოსავლეთში ცეცხლის შეწყვეტის წინადადებათა ორ პაკეტს. ორივე ითვალისწინებს მოშუღლე მხარეების დაბრუნებას მოლაპარაკების მაგიდასთან, როგორც კი შეწყდება ძალადობის აქტები.

მაგრამ ორივე გეგმა აყენებს მკაცრ მოთხოვნებს: ისრაელმა უნდა გაყინოს ყველა ებრაული დასახლების ზრდა, ხოლო პალესტინელებმა – მთლიანად შეწყვიტონ არეულობანი და ისრაელებზე თავდასხმები.

როგორც **ბი-ბი-სის** ახლოაღმოსავლელი კორესპონდენტი **ფრენკ გარდნერი** იუწყება, ამ წინადადებების მთლიანად მიღებისა და მათი შესრულების უზრუნველყოფისათვის ჯერჯერობით მზად არ არიან არც ისრაელის ხელისუფალნი და არც პალესტინელთა ავტონომიის ხელმძღვანელობა. რეგიონს, სადაც ძალადობის ნებისმიერი აქტი დაუყოვნებლივ იწვევს საპასუხო რეაქციას, ალბათ, კიდევ კარგა ხანს მოუწევს მშვიდობის ლოდინი.

# კრემლის ჯაშუში ფინელი ლეიტენანტი ყოფილა

ფინეთის სპეცსამსახურებმა იგორ ივანოვის ვიზიტის წინ ამხილეს რუსეთის მორიგი ჯაშუში. ამჯერად ეს აღმოჩნდა სუომის თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი ქვეგანყოფილების თანამშრომელი, რომლის დასაპატიმრებლადაც ფინელები გაზაფხულის დამდეგიდან ემზადებოდნენ.



როგორც ფინეთის „იულე“ სახელმწიფო ტელერადიოკომპანია იუწყება, თავდაცვის ძალების მთავარი შტაბის საკვლევი ცენტრის თანამშრომელი, ფინეთის არმიის ლეიტენანტი საიდუმლო ინფორმაციას გადასცემდა რუსეთის მხარეს. ინფორმაციის გაჟონვა მთავარ შტაბში ჯერ კიდევ გაზაფხულის დამდეგს აღმოაჩინეს, და ეს ამბავი პოლიციას შეატყობინეს, მაგრამ აგენტის კვალზე მხოლოდ ახლახან მოახერხეს გასვლა. რუსეთის ჯაშუშის დაჭერა დაემთხვა საგარეო საქმეთა მინისტრის იგორ ივანოვის ვიზიტს, რომელიც სწორედ 11 მაისს ჩავიდა ორდღიან ოფიციალურ ვიზიტად ჩინეთში, სადაც აწარმოებს მოლაპარაკებას ფართო წრის აქტუალურ ორმხრივ და საერთაშორისო საკითხებზე, აგრეთვე, განიხილავს პრეზიდენტ პუტინის მომავალი ვიზიტის დეტალებს.

საჯაშუშო სკანდალი ასეთი ვიზიტის წინ აშკარად არამეგობრული ნაბიჯია, მაგრამ როგორც რუსეთის საგარეო-პოლიტიკურ უწყებაში განაცხადეს, სამინისტრო „უგულებელყოფს ამ ფაქტს. ეჭვმიტანილს არავითარი კავშირი არა აქვს საგარეო დაზვერვასთან. შესაძლოა, იგი რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მთავარ სადაზვერვო სამმართველოსთან – ГРУ-სთან იყოს დაკავშირებული.

# კოშტუნიცა ჰააგასთან ითანამშრომლებს

იუგოსლავიის პრეზიდენტმა ვოისლავ კოშტუნიცამ განაცხადა, რომ განზრახული აქვს, მიაღწიოს იმას, რომ უკვე მაისის ბოლოს მიიღონ კანონმდებლობა, რომელიც ბელგრადს საშუალებას მისცემს ითანამშრომლოს გაეროს ომის დანაშაულობათა ტრიბუნალთან.

იუგოსლავიას სურს, შეიპიროს შეერთებული შტატების მხარდაჭერა სპონსორთა ივნისის კონფერენციაზე, რომლის საფინანსო უკუგებაც, როგორც ბელგრადში იმედოვნებენ, დაახლოებით მილიარდ დოლარს შეადგენს. მაგრამ, კოშტუნიცას თქმით, მარტოოდენ ექსტრადიციის კანონის მიღება, შეიძლება, ვერ გამოდგეს საკმარისი იმისათვის, რომ მოიპოვონ ვაშინგტონის მხარდაჭერა.

– მე ყოველნაირად შევეცდები, რომ მთავრობამ დაასრულოს მუშაობა ტრიბუნალთან თანამშრომლობის კანონის მოსამზადებლად, თუმცა შეერთებული შტატების მონაწილეობა სპონსორთა კონფერენციაში ჯერ კიდევ ეჭვქვეშ არის, – თქვა მან.



როგორც აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა განაცხადა, არ არსებობს ისეთი საგანი, რომელიც ბელგრადს ამერიკის მხარდაჭერის გარანტიას მისცემდა, მაგრამ ვაშინგტონს სურს, იუგოსლავიის ხელისუფლებამ საბოლოოდ გაარკვიოს მილოშევიჩის გადაცემის თარიღი. აშშ სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა ჯერ კიდევ მილოშევიჩის დაპატიმრებისას მოიწონა იუგოსლავიისათვის 100 მილიონი დოლარის გამოყოფა დახმარების სახით, მაგრამ შემდგომ მხარდაჭერაზე არაფერი უთქვამს.

# კლოშმერლიდან — ლონდონამდე

ლონდონის ხელისუფალთ განზრახული აქვთ, უახლოეს ხანს ქალაქის ქუჩებში პისუარები დაბყენონ. მათ სურთ, როგორმე მიაღწიონ იმას, რომ ღამით გამვლელებმა ქუჩაში არ მოისაქმონ და არ გააფუჭონ ისტორიული ძეგლები.





როგორც როიტერი იუწყება, სწორედ ეს პრობლემა აგდებს საგონებელში მოხელეებს, რომლებიც პასუხს აგებენ ქალაქის ცენტრალური რაიონისათვის, სადაც თავმოყრილია არქიტექტურული ხელოვნების მრავალი შედევრი. მაგალითად, ღამის ხულიგნები ბილწავენ ეროვნულ გალერეას, რომელიც ტრაფალგარის მოედანზე მდებარეობს. ამ შენობასთან არის ავტობუსის გაჩერება, რომელსაც ღამღამობით ეფარებიან შარდის ბუშტის დაცლის მსურველები. ამის გამო, თანდათან ძირი ეთხრება გალერეის შენობის საძირკველს, ამბობენ ადგილობრივ ხელისუფალთა წარმომადგენლები.

გარდა ამისა, ქუჩის პისუარების დაყენებას აპირებენ ვესტ-ენდის რაიონში, სადაც დღეს ღამის ცხოვრება. რაიონის მცხოვრებნი გამუდმებით უჩივიან არა მარტო ქუჩების ანტისანიტარიულ მდგომარეობას, არამედ აგრეთვე, კლუბებისა და დისკოთეკების სტუმრების აღვირახსნილ ქცევას, რომლებიც ყოვლად ურცხვად ისაქმებენ ხალხის დასანახად.

როიტერის მონაცემებით, ამ პროექტის შემუშავებისას ლონდონის ხელისუფალნი მოეთათბირნენ თავიანთ ჰოლანდიელ კოლეგებს, რომლებმაც ასეთი ქუჩის საპირფარეშოები უკვე დააყენეს მთელ ამსტერდამში.

# დაიწყო საარჩევნო კამპანია

დიდი ბრიტანეთის ძირითადმა ოპოზიციურმა გაერთიანებამ – კონსერვატიულმა პარტიამ პირველმა გამოაქვეყნა თავისი წინასაარჩევნო მანიფესტი. კონსერვატორები ამომრჩევლებს აღუთქვამენ, რომ სერიოზულად შეამცირებენ გადასახადს და გააუმჯობესებენ საზოგადოებრივი სექტორის ისეთი დარგების მუშაობას, როგორიც არის განათლება და ჯანდაცვა. პარტიის ლიდერს უილიამ ჰეიგს განზრახული აქვს, შეაჩეროს, როგორც მან თქვა, „ევროკავშირში ბრიტანეთის დამოუკიდებლობის ეროზია“. მან დაადასტურა, რომ 7 ივნისის არჩევნებზე გამარჯვების შემთხვევაში ბრიტანეთი არ შეუერთდება ერთიან ევროპულ ვალუტას სულ ცოტა მომდევნო პარლამენტის უფლებამოსილებათა ვადის გასვლამდე. ამავე დროს, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მონაცემების თანახმად, კონსერვატორები პოპულარობის მხრივ არსებითად ჩამორჩებიან ხელისუფლების სათავეში მყოფ ლეიბორისტებს.





საინფორმაციო
BBC, CNN, საქინფორმი.
მოზაიკა

## მოლაპარაკება მოსკოვში

ამერიკელ შეიარაღების ექსპერტთა დელეგაცია შეხვდა რუსეთის ოფიციალურ პირებს ვაშინგტონის დიპლომატიური შეტევის ფარგლებში, რომლის მიზანია, განმარტოს ამერიკის ინიციატივა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნის თაობაზე. ითვალისწინებენ რა რუსეთის უაღრესად ეჭვიან დამოკიდებულებას შეერთებული შტატების გეგმების მიმართ, ამერიკელები ვარაუდობენ, რომ მოსკოვის მოლაპარაკება ყველაზე რთული იქნება. ახლანდელი შეხვედრა პირველი პირდაპირი მოლაპარაკებაა რუსეთსა და ამერიკას შორის ბუშის გაპრეზიდენტების შემდეგ.



ამერიკის დელეგაცია ცდილობს, ახსნას, რატომ მიაჩნია ვაშინგტონს, რომ 1972 წლის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულება მოძველდა და უნდა გადაისინჯოს.

## ევროპარლამენტის დელეგაციამ ვიზიტი შეწყვიტა

ევროპის პარლამენტის დეპუტატთა დელეგაციამ შეწყვიტა ვიზიტი შეერთებულ შტატებში მას შემდეგ, რაც ამერიკის ოფიციალურმა პირებმა და სპეცსამსახურების წარმომადგენლებმა უარი თქვეს მათთან შეხვედრაზე. ევროპელი პარლამენტარები ჩასული იყვნენ იმ ცნობების გამოსაძიებლად, რომლებიც ეხება „ეშელონ“ ელექტრონული მიყურადების სისტემას, რომლის მეშვეობითაც ამერიკელები ვითომდა იგებენ ევროპის ქვეყნების ეკონომიკურ და სამრეწველო საიდუმლოებებს. ოფიციალური ვაშინგტონი უარყოფს „ეშელონის“ არსებობას. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ამ სისტემას შეუძლია, დაიჭიროს მილიარდობით სატელეფონო ზარი, ფაქსიმილური და ელექტრონული ცნობა მთელ მსოფლიოში.

## კომპენსაცია – 4,5 მილიარდი დოლარი

ნიუ-იორკის საოლქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ხელს შეუწყობს კომპენსაციის გადახდას იმ ხალხისათვის, ვინც იძულებით სამუშაოებზე გარეკეს ნაცისტურ გერმანიაში. რამდენიმე დიდმა გერმანულმა კომპანიამ ამ მიზნით შექმნა ფონდი 4,5 მილიარდი დოლარის ოდენობით, მაგრამ ისინი უარს ამბობდნენ, დაეწყოთ კომპენსაციის გაცემა, სანამ ამერიკის სასამართლოები არ შეწყვეტდნენ იმ სარჩელების განხილვას, რომლებშიც აღნიშნულ კომპანიებს ბრალად ედებოდათ ებრაელთა გენოციდი. ახლა ნიუ-იორკის საოლქო სასამართლომ უკვე უკან დააბრუნა ათი ასეთი სარჩელი.



## რუსეთში, შესაძლოა, ბელგიელებს ვიზები აღარ მისცენ

რუსეთს განზრახული აქვს შეუწყვიტოს ვიზების მიცემა ბელგიელებს. ეს არის საპასუხო ნაბიჯი ბრიუსელის გადაწყვეტილებაზე, რომელმაც შეუზღუდა ვიზების მიცემა რუსეთის ყველა მოქალაქეს იმათ გარდა, ვინც სამსახურებრივი ან დიპლომატიური პასპორტებით ჩადის.

ბელგიის ხელისუფალნი თავიანთ გადაწყვეტილებას იმით ასაბუთებენ, რომ სამეფოში ძალზე ბევრია რუსეთიდან ჩასული არალეგალი მიგრანტი. მაგრამ რუსეთის მხარის მონაცემებით, ამ ცნობების შემოწმებამ ცხადყო, რომ აღნიშნული კონტინგენტის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია საკუთრივ რუსეთის მოქალაქე.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით გვერდს უძღვება *არჩილ მანჯგალაძე.*

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

GCF

ლოდ ზიური

5 (51)

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისა და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ერთობლივი ყოველთვიური გამოცემა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ულოცავენ

# ძეგლი თუ არა, ბიუსტი მაინც სიცოცხლეშივე დავუდგათ

თავმოყვარე ერს მსოფლიო სახელი და მისი სულიერების აღიარება ისევე ესაჭიროება, როგორც ჰაერი და წყალი, როგორც ფიზიკური არსებობისა და შემდგომი განვითარების პირობა, აღარას ვამბობ სულიერ თვითმყოფადობასა და სხვათა კულტურებზე გაელენის უმნიშვნელოვანეს ფაქტორზე. ამ საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტების მოყვანა იმისთვის დამჭირდა, რომ დავსვა კითხვა:

მეოცე საუკუნეში რომელმა ქართველმა კულტურის მოღვაწემ წარმოაჩინა ქართველი ერი საერთაშორისო ასპარეზზე მეტის ბრწყინვალებით ვიდრე ქალბატონმა ნონა გაფრინდაშვილმა?! დამისახელებენ მწერლებს, მხატვრებს, მსახიობებს, მომღერლებს, სხვათა და სხვათ, მაგრამ დავიდოთ გულზე ხელი და ვთქვათ: ვერც გახმაურებული სახელით, ვერც თავისი ერისთვის სიხარულის, სიამაყის მონიჭებით, ვერც მომავალი თაობებისთვის წამახალისებელი, გზაზე დაყენების ღვაწლით, ვერც ხუთგზის გვირგვინოსნის პატივის თავმდაბალი ფლობით ვერავინ შეეტოლება ქალბატონ ნონას.

ჩვენ ქართველები ვართ და ამა თუ იმ ადამიანის ნაღვაწის აღნიშვნა მისი გარდაცვალების შემდგომლა გვჩვევია და არც მისი სახელის მივიწყებაში ვართ უკანასკნელნი.

ერთხელ მაინც აგვიტაცოს სამართლიანობამა და მადლიერების გრძნობამ – ჭადრაკის სასახლის მისადგომებთან, ძეგლი თუ არა, ბიუსტი მაინც სიცოცხლეშივე დავუდგათ დიდი დამსახურების მქონე, პიროვნულად ბრწყინვალე ქალბატონს, ნონა გაფრინდაშვილს, როგორც ასეთი პატივვების უდავოდ ღირსსა და მაგალითის მიცემადაც ყველა დღევანდელ და მომავალ ქართველთათვის.

**დიდხანს ჯანმრთელ სიცოცხლეს გისურვებთ თქვენი ტალანტის თაყვანისმცემელი –**

## ქართველი ქალის ნიჭიერების სიმბოლო

საქართველოს უზენაესი სასამართლო გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს, ქალბატონო ნონა!

ეს დღეები თქვენი დღეებია...

თუმცა, ჩვენ ისეთი დღეებიც უამრავი გვახსოვს ამ 40 წლის განმავლობაში, როცა ტელევიზიის ეკრანს მიჯაჭვული მთელი საქართველო მხოლოდ თქვენი გამარჯვებებით სუნთქავდა, როცა არამარტო ქალთა, მამაკაცთა ტურნირებშიც კი თქვენი ყაიმი გვეთაკილებოდა.

თქვენი საერთაშორისო აღიარება და შთამბეჭდავი გამარჯვებები სჭირდებოდა საქართველოს, რადგან წმინდა სპორტული მიღწევების გარდა, ეს იყო პატარა ერის თვითგამოვლენის, თვითდამკვიდრების წარმატებული მცდელობა მსოფლიო ასპარეზზე.

მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულთა ხვედრია, რომ თქვენ მიეკუთვნებით იმ თითზე ჩამოსათვლელ პიროვნებათა რიცხვს, ვისაც ჩვენი ერი მიაგებს უდიდეს პატივს და მხოლოდ სახელით მოიხსენიებს.

ნონა – ეს ქართველი ქალის ნიჭიერების სიმბოლოა.

გილოცავთ და გლოცავთ.

**საქართველოს უზენაესი სასამართლო.**

ფაქსი

ტუნისიდან

## „არასოდეს დამავიწყდება თქვენი გულისხმიერება“

**ნონას საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით ტუნისიდან მსოფლიო მოგზაურმა ჯუმბერ ლეჟავამ გამოგზავნა ფაქსი, რომელშიც ნათქვამია:**

... „არასდროს დამავიწყდება ატლანტის ოლიმპიური ასპარეზობის დღეებში თქვენი გულისხმიერება და სოლიდური მატერიალური დახმარება, რომელმაც სამხრეთ ამერიკის ქვეყნები შემომატარა. 177 ქვეყანაში დედამიწის ირგვლივ მოგზაურობის 7 წელსა და 9 თვეში რომ გავიარე, ყველგან თქვენი და ქართული საჭადრაკო სკოლის სადიდებელი სიტყვები მესმოდა.

ღმერთმა გადღეგრძელოთ თქვენ, ქართული საჭადრაკო სკოლა, სრულიად საქართველო“.



## ბავშვების მეგობარი

1964 წელს მოსწავლეთა გაზეთ „ნერგის“ (ყოფილი „ნორჩი ლენინელი“) ფურცლებზე გაიხსნა საჭადრაკო კლუბი „64“, რომელსაც ნონა გაფრინდაშვილი უძღვებოდა. მან ბევრი სიკეთე მოუტანა ნორჩებს ამ გაზეთის ფურცლებიდან. მარტო ის რად ღირდა, რომ ნორჩები ხვდებოდნენ თვით ნონა გაფრინდაშვილს!

ერთ-ერთი ასეთი დაუვიწყარი შეხვედრა 1964 წელს ფირზე აღბეჭდა ფოტოკორესპონდენტმა კოტე ყუფუნიამ. აქ თქვენ ხედავთ ზუგდიდელი მოსწავლეებით გარშემორტყმულ ნონას.

**ნათელა ფაილოძე.**

კიდევაც დაიზრდებიან...

## საჭადრაკო ფესტივალი

ამ საიუბილეო დღეებში ნამდვილ საჭადრაკო პოლიგონად იქცა ვერის ბაღი და მისი ეპიცენტრი – ჭადრაკის სასახლე: უკვე 15 აპრილიდან აქ მიმდინარეობს მასობრივი საჭადრაკო ფესტივალი „ნონა-60“. პროგრამა მრავალმხრივ საინტერესო ტურნირებისგან შედგებოდა: ტურნირი „ლეკვი ლომისა სწორია“ (15.04. 20.04), რეიტინგ-ტურნირი კონკურსი საჭადრაკი ეტიუდების შედგენაში (30.IV-5.V), მოყვარულთა ასპარეზობა (6-8.V), მწერლების, რეჟისორების, მსახიობების, მხატვრების, ჟურნალისტების და სხვა შემოქმედებითი მუშაკების ტურნირი (8.V), მატჩი თსუ-სა და ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ მასწავლებლებს შორის (9.V), ქართული ჭადრაკის ვარსკვლავების ბლიც-ტურნირი (9.V), ბიზნესმენთა ტურნირი (10.V), ერთდროული თამაშის სეანსები ცნობილი ქართველი დიდოსტატების მონაწილეობით (9-11.V), საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთა, მინისტრთა ტურნირები (11.V), ასპარეზობა სახელწოდებით „საუკუნის ნოსტალგია“ ჩვენი და საზღვარგარეთელი ცნობილი მოჭადრაკეების მონაწილეობით (11.V).

ფესტივალი საზეიმოდ დაიხურა. მან მრავალ ასეულ ჭადრაკის მოყვარულს გაუღვიძა სურვილი იმისა, რომ კვლავაც იცხოვრონ და ილვაწონ „ბრძენთა თამაშის“ სიყვარულით, კვლავაც აღზარდონ მომავალი დიდი ჩემპიონები. ჩვენი ნონას სახელოვანი გზის გამგრძელებელნი.

**თამარ კაციტაძე.**



სურათზე: მინისტრების ასპარეზობისას. ჯავარ ლომაძის ფოტო.

დიდი ილია ბრძანებდა: საქმე კაი დედაკაცობააო... კაი დედაკაცობის ღირსებებით შემკულია ნონა გაფრინდაშვილი.

ანა კალანდაძე.

ნონა 60 სპეციალური გამოშვება

კაკალ გულში

> ჩემი მთავარი მონაგარი ხალხის სიყვარული იყო და ამით ბედნიერი ადამიანი ვარ.
>
> ნონა გაფრინდაშვილი.

# მწვერვალი

ჩვენი ჭადრაკის მესიტორიეს, ჟურნალისტს თენგიზ გიორგაძეს არაერთხელ დაუწერია და უთქვამს, რომ ქართველ ქალს, ტრადიციულად, „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად ჭადრაკს ატანდნენო მზითვად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენს ხალხს ოდითგანვე უყვარდა ბრძენთა თამაში, პატივს მიაგებდა მათ, ვინც ასევე ადიდებდა ჭადრაკს. ახლა ძნელი სათქმელია, გვყავდნენ თუ არა შორეულ წარსულში ძლიერი მოჭადრაკე ქალები, მაგრამ ლოგიკურად შეიძლება დავასკვნათ: იქნებოდნენ! თუნდაც ის, რომ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში გაჩნდა ქალთა ჭადრაკის საოცარი სკოლა, რომ სწორედ აქ იშვა და აღიზარდა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ორი ქალი, მრავალი ოლიმპიადის არაერთგზის გამარჯვებულნი, დასტურად უნდა ჩავთვალოთ ვარაუდისა.

და მაინც, პირველი გზამკვლევი, პირველი მებაირახტრე, პირველი გვირგვინოსანი გახლავთ ნონა გაფრინდაშვილი და ეს გათავისებული აქვს ხალხს – მათ, ვისი წინაპრებიც თავიანთ ქალიშვილებს „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად ჭადრაკს ატანდნენ მზითვად. ეს ხიდი, საუკუნეთა შორის გადებული, აერთიანებს თამარისდროინდელ და მეოცე საუკუნის ქართველს. ამიტომაც არის ასე გულწრფელი, უკიდეგანო, ალალი სიყვარული ნონას მიმართ და იგი არ ნელდება, არ ფერმკრთალდება დრო-ჟამის გაელის კვალობაზე.

დიდი, უშუალო, გულწრფელი სიყვარულის გამოხატვა სურს ქართველობას ქვეყნის ყველა კუთხე-კუნჭულიდან და როდესაც ყველამ გაიგო, რომ ნონას საიუბილეო დღეები დადგაო, იჩქარიან სიტყვით, მოგონებით, უკვე შეყვითლებული ფოტოებით გაგვიზიარონ თავიანთი წრფელი გრძნობა.

...რუსთავის მახლობელი სავარგულებიდან, რეზინის მოთხვრილი ჩექმებით გვეწვია ბატონი ელგუჯა სულთანიშვილი. საოჯახო არქივში ოთხი ფოტო მოუხელთებია და ყველა მოგვიტანა. ამ ფოტოების უკანა მხარეზე აღწერილია ნონასთან შეხვედრათა მომენტები, არის სხვა მგრძნობიარე სიტყვებიც. მაგალითად, ასეთი: „1964 წლის მარტში ნონა რუსთავში მოვიწვიეთ. მე მისი № 1 მეხოტბე, გულშემატკივარი ვარ. ვუძღვენი ლექსი. მანდილოსნებიდან № 1 ქალი გულშემატკივარი კი უბერებელი მარო ტყავაძეა – პირველი ქართველი ინჟინერი და მთამსვლელი“.

სხვა ფოტოებზე (მეორე მხარეს) აღწერილია შეხვედრათა ყველა ნიუანსი, თვით საჭადრაკო სელებიც არის მოყვანილი. ერთ-ერთზე კი ასე მთავრდება ინფორმაცია 1971 წელს ნონას სტუმრობის თაობაზე: ... „მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა აღარ ისურვა ბანკეტზე დარჩენა. მას თავისი საყვარელი პირმშო დათოსკენ მიუწევდა დედური გული“. 70-ედ დანომრილი ერთ-ერთი ფოტოს წარწერიდან ვიგებთ, რომ ნონას „დღეს გადასცეს ლასკერის ნაქონი ჭადრაკი, მე „კომუნისტში“ მოვათავსე სტატია ამ ამბავზე 24. III. 1964 წ.“ ბოლოს კი მოვიყვანთ ნაწყვეტს იმ ჩვენი სტუმრის ბატონი ელგუჯას ლექსიდან, რომელიც კვლავ მოგვახედებს სახელოვანი წარსულის ოქროს ხანისკენ:

„მსოფლიოს ყველა დროშები
მუხლმოსადრეკად მოდის აქ,
შეჭფერის ოქროს ქოშები
დიდი თამარის მოდგმისას.
ის შოთას უნდა შეექო
თორემ ვინ მე და მწერალი,
განა მთა აკლდა ჩვენს მამულს
მაგრამ ჰა, კიდევ მწვერვალი!“

შოთა, თამარი და ნონა – ეს მწვერვალებია, თვალშეუდგამი მწვერვალები და გეახარებს, რომ ერთ-ერთი ამ მწვერვალის თანამედროვენი ვართ. ისტორია კი გაგრძელდება.

საქართველოში უყვართ მწვერვალები!

ანზორ ბასილაია.





# ნონა – ქართული ფენომენი

ჭადრაკის ისტორიაში XX საუკუნის მეორე ნახევარი დარჩება ქართველ ქალთა ფენომენის „ოქროს ხანად“.

50-იან წლებში საჭადრაკო სარბიელზე ნონა გაფრინდაშვილი რომ გამოჩნდა, ყველამ იგრძნო დიდი ნიჭისა და შემართების მოჭადრაკის მოსვლა. როცა 1962 წელს ნონამ დამაჯერებლად (ანგარიშით 9:2) დაამარცხა სამგზის მსოფლიო ჩემპიონი ელისაბედ ბიკოვა, უკვე ყველასთვის ნათელი შეიქნა, რომ ქალთა ჭადრაკმა ახალი ნაბიჯი გადადგა სრულყოფისაკენ.

სწორედ მაშინ დავფიქრდი ჩემთვის: ნონას ფენომენი არ უნდა იყოს ეპიზოდური, შემთხვევითი მოვლენა. მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს საფუძველი, ნოყიერი ნიადაგი. ამიტომ შევუდექი ქართული ჭადრაკის წარსულის კვლევა-ძიებას.

აღმოჩნდა, რომ ქართველმა კაცმა ჭადრაკი გაიცნო VII-VIII საუკუნეებში. უმალ იგრძნო მისი სიბრძნე და იგი მეფურ თამაშად აღიარა. შეიყვარა და თავისი ყოფის, კულტურული ცხოვრების საგნად გაიხადა. მერე ჭადრაკის სიბრძნეს უმღეროდნენ პოეტები. შეიქმნა ქართული, ეროვნული გამოსახულების ფიგურები და, რაც მთავარია, აღინიშნებოდა ამ თამაშის აღმზრდელობითი მნიშვნელობა (დღეს ეს საყოველთაოდაა აღიარებული)...

ჭადრაკისადმი ქართველების სიყვარული უკვე თითქმის ცამეტი საუკუნე გრძელდება. XVII-XVIII საუკუნეებში მხოლოდ საქართველოში (ამას ხაზს ვუსვამ) არსებობდა ტრადიციად ასულისთვის მზითევში გენიალურ „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად ჭადრაკის გატანა, როგორც ქართველი ქალის ნიჭიერებისა და გონიერების სამკაული.



ეს ყველაფერი რომ დავალაგინე, მივხვდი, რომ ნონას მოსვლა დიდ ჭადრაკში ბუნებრივი მოვლენა იყო. „იფეთქა“ ქართულმა ფენომენმა.

16 წელი (1962-1978 წწ.) იმეფა ნონამ ქალთა ჭადრაკში, ამიტომ 60-70-იანი წლები ჭადრაკის მსოფლიო ისტორიაში „ნონას ეპოქად“ დარჩა.

ნონამ აამაღლა ქალთა ჭადრაკის ავტორიტეტი და, რაც მთავარია, დაუახლოვა იგი ვაჟთა ჭადრაკს. მან დააჯერა კოლეგა-ქალები, რომ მათაც შესწევთ ძალა სერიოზულად დაუპირისპირდნენ დიდოსტატ ვაჟებს და ამის მაგალითიც მისცა. 1978 წელს **ფიდემ** პირველად მას მიანიჭა ვაჟთა შორის საერთაშორისო დიდოსტატის წოდება.

მაგრამ მხოლოდ ამით როდი დამთავრდა ქართული ფენომენის გამოვლენა. იგი კიდევ ერთხელ „აფეთქდა“ 70-იან წლებში, როცა ნონას გაკვალულ გზაზე გამოვიდნენ ნანა ალექსანდრია, მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი და ნინო გურიელი. მათმა მიღწევებმა აალაპარაკეს მსოფლიო.

ის, რომ 17 წლის მაიამ შეცვალა ტახტზე ნონა, მოულოდნელი და ისტორიული მოვლენა გახლდათ. მანამდე მრავალსაუკუნოვან ჭადრაკის ისტორიას არ ახსოვს მსგავსი წარმატება. ნამდვილად, 80-იანი წლები „მაიას ეპოქად“ იქცა. მაშინ ქართველმა დიდოსტატებმა „შინაურ საქმედ“ გაიხადეს მსოფლიო ჩემპიონის წოდების გათამაშება.

სამწუხაროდ, მაია ჩიბურდანიძეს არ ეყო ნებისყოფა, ხასიათი, რომ უფრო დიდხანს შეენარჩუნებინა ტიტული. მან მხოლოდ 13 წელი იდედოფლა (1978-1991 წწ.). კვლავ პირველი რომ ყოფილიყო, თავგადაკლული შრომა-გარჯა სჭირდებოდა, თორემ მაიამ, როგორც ნონამ, ხუთჯერ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა.

რაღაც სიმბოლურია, რომ მაიამ ჩემპიონობა „გადასცა“ ჩინელ სე ცზიუნს, რომლის ქვეყანაში ამ დროს „ჩინურმა ფენომენმა“ იფეთქა. დღეს ეს საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ ჩინელი ქალები მძლავრობენ ქალთა ჭადრაკის ელიტაში. მათი წინსვლა სულ უფრო მძლავრობს.

საქართველო კვლავ რჩება ჭადრაკის ქვეყნად. გვეზრდებიან ნიჭიერი ახალგაზრდა დიდოსტატები. ძნელია იმის განსაზღვრა, იქნებიან თუ არა ისინი მსოფლიო ჩემპიონები, მაგრამ გვჯერა, რომ მათ ნათელი მომავალი აქვთ. ამ იმედს სათავე დაუდო სწორუპოვარმა ნონამ, რასაც დღეს უდიდესი მადლიერების გრძნობით აღვნიშნავთ.

თენგიზ გიორგაძე.

> მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებს, ათი ათასიც რომ გვყავდეს, ათი ათასივეს უნდა დავუდგათ ძეგლი. ალალიც იქნება!
>
> მერაბ ბერძენიშვილი.

ქველმოქმედება

# გულუხვი ქართველი მოსკოვიდან

სწორუპოვარი მოჭადრაკის, სეოკის პირველი პრეზიდენტის, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის, XX საუკუნის № 1 სპორტსმენი ქალის საიუბილეო დღეები გრანდიოზულობით, სადღესასწაულო განწყობით, ვფიქრობთ, წარუშლელი დარჩება ეროვნულ მეხსიერებაში. ყველა ფიქრობს, რომ ღირსეული პატივი მიაგოს განუმეორებელ ნონას. ამასვე ფიქრობენ ადამიანები, რომლებსაც ევალებათ და ხელეწიფებათ კიდეც ასეთი მასშტაბის ღონისძიების ორგანიზება. ესენი გახლავან: საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, საქართველოს სპორტის დეპარტამენტი, თბილისის მერია და საქველმოქმედო ფონდი „გამარჯვება“. სწორედ ამ, ჯერაც ჩვენთვის უცნობი, ფონდით დავინტერესდით და „საქმის გასარკვევად“ **სეოკ-ის პრეზიდენტს ჯანო ბაგრატიონს** ვესტუმრეთ.

***– ვინ არის ის პიროვნება, რომელიც საკმაოდ გულუხვად გასცემს საჭირო თანხებს ასეთი დიდი მასშტაბის ღონისძიების გასამართად?***

– ამ ფონდს ხელმძღვანელობს ჩვენი თანამემამულე, მოსკოველი ბიზნესმენი და მეცენატი ბატონი **ბადრი პატარკაციშვილი.** ჩვენი ამასწინანდელი შეხვედრისას, როდესაც მას წარვუდგინეთ ოლიმპიურ სახეობათა დახმარების პროგრამა, მასში კი ქალბატონი ნონას საიუბილეო თარიღიც იყო მოყვანილი, ბადრი პატარკაციშვილმა თითი დაადო ამ პუნქტს და განაცხადა, რომ იგი პირველ რიგში დააფინანსებდა სწორედ ქალბატონი ნონას იუბილეს.

***– ეს ღვთისნიერი ადამიანი, გავიგია, მოსკოვში ცხოვრობს, გარუსებული ქართველია?***

– რას ამბობთ, ძირძველი თბილისელი გახლავთ, მისი ახლობლებიც თბილისში ცხოვრობენ, თავად კი ქართულად საუცხოოდ საუბრობს.

***– მაინტერესებდა მასთან შეხვედრა...***

– დღეს შეუძლებელია, რადგან ბატონი ბადრი სწორედ ამ დილით გადაფრინდა მოსკოვში საკუთარი თვითმფრინავით... საერთოდ, მინდა დავძინო, რომ ბატონმა ბადრიმ დიდი ენთუზიაზმი გამოავლინა, ნამდვილი ერისკაცობა. თავად განსაჯეთ: როგორც ცნობილია, ბელგიასა და გერმანიაში ისტორიკოს თამილა მგალობლიშვილის მეცადინეობით ნაპოვნია ორი დაკარგული ქართული ფრესკა ჯვრის მონასტრიდან. ერთ-ერთი ამ ისტორიული ფრესკის გამოსყიდვაში დიდი როლი ითამაშა ბატონმა სოსო ორჯონიკიძემ – მოსკოვის ვიცე-მერმა, მეორე ფრესკა სწორედ ბადრი პატარკაციშვილის მიერ გახლავთ გამოსყიდული.

საკმაოდ მნიშვნელოვანია მისი როლი სიდნეის ოლიმპიადიდან დაბრუნებული ჩვენი 6 პრიზიორის წარმატების ღირსეულად აღნიშვნაშიც.

მე მტკიცედ მწამს, რომ ეს ღვთისნიერი ადამიანი კვლავაც დაეხმარება ქართულ სპორტს, დაინტერესდება სხვა ეროვნული საქმეებითაც და ამ ორი სფეროს აღორძინებაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს...

ესაუბრა
ანდრო ბარქაია.

გატაცება

# ნონა და ბილიარდი



**თავისი სიტყვის თქმა ამ საიუბილეო დღეებში აუცილებლად ჩათვალა ცნობილმა სპორტსმენმა, ბილიარდში 1952 წლიდან 1990 წლამდე საქართველოს უცვლელმა ჩემპიონმა, 60-იანი წლებიდან მოყოლებული მთელი 20 წლის მანძილზე საბჭოეთის სივრცეში დაუმარცხებელმა ზიკო კობოსნიძემ, რომელსაც ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა.**

***– როდის შეხვდით პირველად ნონას, როგორც ბილიარდის მოყვარულს?***

– 1964 წელი იქნებოდა. თბილისის ოფიცერთა სახლის საბილიარდო კლუბში მოვიდა ქალბატონი ნონა და ცნობილ მოთამაშეს, „მაესტროდ“ წოდებულ მუსიკოსს ივანიძეს ეთამაშა ე. წ. „ამერიკანკა“. ყველას გასაოცრად, გაიმარჯვა ნონამ. ალბათ, იფიქრა, ხომ არ დამითმო პარტნიორმაო და მეორე ხელიც ითამაშა. მანამდე ივანიძეს ვუთხარი, მთელი ძალით ებრძოლა, რადგან გაგონილი მქონდა ნონას შეუპოვრობის და თავმოყვარეობის შესახებ. ის მეორე პარტიაც ნონას გამარჯვებით დამთავრდა. ივანიძემ ჰქვა, ღმერთმანი, ძალიან მოვინდომე, მაგრამ არაფერი გამომივიდაო.

***– ამის შემდეგ როგორ გაგრძელდა თქვენი და ნონას „საბილიარდო“ შეხვედრები?***

– 1964 წელს გაიმართა I ოფიციალური ჩემპიონატი საქართველოში. იგი გახსნა ქალბატონმა ნონამ და შემდეგ მანვე მომილოცა ჩემპიონობა. ოთხიოდე წელიწადში კვლავ გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი, სადაც გავიმარჯვე კიდეც და ასოციაციის პირველმა პრეზიდენტმა ვანო ჭელიძემ მომანიჭა „სპორტის ოსტატის“ წოდება, ნონამ კი მშვენიერი თასი გადმომცა (იხ. სურათზე).



***– თქვენი და ნონას ურთიერთობა, ალბათ, მხოლოდ ბილიარდით არ შემოფარგლულა...***

– დიახაც. გეტყვით, რომ ჩემი ბავშვობის მეგობარი იყო ჟურნალისტი ეთერ ჭიჭინაძე, მისი ძმა ლერი კი, მოგეხსენებათ, ნონას მეუღლე გახდა...

***– უნდა ვიფიქროთ, რომ ქალბატონი ნონა ნამდვილად არ არის გულგრილი თქვენი სპორტის სახეობის მიმართ...***

– ამის დასტურად მრავალი ფაქტის მოყვანა შეიძლება, გავიხსენებ თუნდაც იმას, რომ ნონამ ახალი, მშვენიერი კლუბის – „იმპერიალის“ გახსნაზე განაცხადა: მე რომ ახალგაზრდა ვიყო, ბილიარდს დიდ დროს დავუთმობდიო. როცა შევეკითხენ, განა ეს ჭადრაკს ხელს არ შეუშლიდაო, მან დამაჯერებლად აგვიხსნა, რომ ერთი მეორეს ხელს კი არ უშლის, პირიქით, ეხმარება კიდეც ერთმანეთს...

***– საბილიარდო შეჯიბრებებში ხომ არ გაგითამაშიათ „ნონას თასი?“***

– ძალიან მომეწონა ეს შეკითხვა და იდეაც. გპირდებით, რომ ამ საკითხს მალე დავსვამ ჩვენი ფედერაციის პრეზიდიუმის წინაშე და, ვფიქრობ, აუცილებლად დავაწესებთ ამ საპატიო თასის გათამაშებას...

ესაუბრა
ამირან ბაქრაძე.

ახალი ისტორია

# დაუვიწყარი დღეები: მოსკოვიდან ბიჭვინთამდე

**ჟურნალისტი, ისტორიკოსი და მოჭადრაკე გივი გამრეკელი ქართული რედაქციების დავალებით ესწრებოდა ნონა გაფრინდაშვილის ყველა მატჩს მსოფლიო პირველობაზე. მისი იმდროინდელი ჩანაწერებიც ამ მეტად ამაღელვებელ ორთაბრძოლებს ეხება.**



**ბიკოვა – გაფრინდაშვილი. მოსკოვი. 1962 წლის 18 სექტემბერი – 17 ოქტომბერი.**

– სანამ მატჩი დაიწყება, ბიკოვას მწვრთნელი, ოდესელი ოსტატი ეფიმ კოგანი მოვინახულე. იგი ფიქრობს, რომ ნონასათვის, თუმცა მისი ნიჭი საყოველთაოდაა აღიარებული, ჯერ ადრეა მსოფლიო ჩემპიონობა.

– რატომ? მან ხომ მოიგო პრეტენდენტთა ტურნირი ვრნიაჩკა-ბანიაში? იქ თამაშობდნენ ვალენტინა ბორისენკო, კირა ზვორიკინა, ვერა ნედელკოვიჩი, მილუნკა ლაზარევიჩი, ტატიანა ზატულოვსკაია, ლარისა ვოლპერტი...

ნონამ ამ შეჯიბრებაში იუგოსლავიის საკურორტო ქალაქში მეორე პრიზიორ ბორისენკოს ორი ქულით გაასწრო, 16 შესაძლებლიდან 13 ქულა მოაგროვა, ისე, რომ ერთი პარტიაც არ წაუგია.

– მართალი ხართ, მაგრამ ვრნიაჩკა-ბანიაში ხომ ბიკოვას არ უთამაშია?

რა უნდა ვუპასუხო! ბიკოვა მართლაც ძალიან ძლიერია. იგი ხომ ამარცხებდა ადრინდელ მსოფლიო ჩემპიონებს ლიუდმილა რუდენკოსა და ოლგა რუბცოვას, ასევე თავისზე უფრო ახალგაზრდა (ბიკოვა ახლა 49 წლისაა) კირა ზვორიკინას. თუმცა მე ერთი რამეც მახსენდება: ვესწრებოდი ბიკოვა-ზვორიკინას მატჩს (1959-60 წწ) ერთ-ერთ პარტიას. დარბაზში ძალიან ცოტა მაყურებელი იყო. მოდი, დავთვლი მეთქი და აი, რა აღმოჩნდა: სცენაზე მეტი ადამიანი იყო, (თვით მოჭადრაკეები, სეკუნდანტები, მსაჯები, დემონსტრატორები), ვიდრე სატურნირო დარბაზში. ახლა კი მაყურებლებს რა დაიტევს, რამდენი გულშემატკივარი ჩამოდის საქართველოდან, ამასთან ორთაბრძოლა ხომ მრავალ სხვასაც აინტერესებს.

კოგანს ვერც შეხედავ, ნონა იგებს და იგებს. მე მახსენდება ერთი ჟურნალისტის ხუმრობა ლასკერ-იანოვსკის მატჩის მიმდინარეობისას: „ხან ლასკერი იგებს, ხან იანოვსკი აგებს". ირგვლივ გაბადრული სახეებია. ყველას თამაშზე დასწრება სურს. ძალიან ხშირად მოდიან დავით გამრეკელი და ზურაბ ანჯაფარიძე. დავითი ძალიან მხიარულ ხასიათზეა, მას საერთოდ უყვარს ხუმრობა:

– ტერენტის (ნონას მამას) ბავშვობიდანვე, ჭიათურიდან ვიცნობ. მე ყოველთვის ვუწინასწარმეტყველებდი მას... დიდ მომავალს (აკი, გამართლდა კიდეც). ისე კი, არ მინდა ეს მატჩი მალე დამთავრდეს.

რაც ბრძოლა მიმდინარეობს, დავით გამრეკელი, როგორც თვითონ ამბობს, ერთხელაც არ ყოფილა ცუდ ხასიათზე, ისე კი მღელვარება არ აკლია.

ძალიან ღელავენ თბილისში. ისინი, რა თქმა უნდა, კითხულობენ ყველაფერს, რაც პრესაში ქვეყნდება, მაგრამ მეტის გაგება სურთ. ჩემი ტელეფონი არ „დუმდება". პარტიის შემდეგ ვცდილობ, მალე დავბრუნდე სასტუმრო „უკრაინაში". აქ, როგორც წესი, მიცდიან ქალბატონი ნანი ბრეგვაძე და „რეროს" სხვა სოლისტები, კონცერტიდან დაბრუნდნენ და ახლა პარტიის შედეგს მოუთმენლად ელოდებიან.

– 9:2 – ასეთია ამ მატჩის შედეგი, რომელიც ეფიქრობ, დიდ ახსნა-განმარტებას არ საჭიროებს. დიდოსტატმა სალო ფლორმა, რომელიც ჩვენი გულშემატკივარი იყო, მომიწყო შეხვედრა მიხეილ ბოტვინიკთან, რომელიც მაინცდამაინც არ სწყალობს ჟურნალისტებს. ბოტვინიკი ფრუნზეს სანაპიროზე ბიკოვას მეზობელია და, უნდა ვიფიქროთ, მას თანაუგრძნობდა, თუმცა ამას აშკარად არ ამბობს:

– ნონა გაფრინდაშვილის გამარჯვება სრულიად დამსახურებულია, და, ვფიქრობ, იგი დიდხანს შეინარჩუნებს მსოფლიო ჩემპიონობას.

ქართული დელეგაცია თბილისში ბრუნდება, მე, სამწუხაროდ, მოსკოვში უნდა დავრჩე. წარმომიდგენია, როგორი ზეიმი იქნება, როგორ შეხვედრას მოუწყობენ ნონას...

**გაფრინდაშვილი – კუშნირი. რიგა. 1965 წლის 18 სექტემბერი – 23 ოქტომბერი.**

– მატჩი ისევ 18 სექტემბერს იწყება. ეს კარგის მომასწავებელი უნდა იყოს. ისე კი, მაინცდამაინც არა ვღელავ, უკვე შევეჩვიე ნონას გამარჯვებებს.

რატომ მაინცდამაინც კუშნირი? მან ხომ სოხუმში, პრეტენდენტების ტურნირში პირველი-მესამე ადგილები გაიყო მილუნკა ლაზარევიჩსა და ტატიანა ზატულოვსკაიასთან. თითქოს იქაც, და შემდეგ მოსკოვშიც იუგოსლაველ „ვარსკვლავს" უნდა გაემარჯვა, მაგრამ უკანასკნელ მომენტში თავბრუ დაეხვა.

– რიგელები, მას შემდეგ, რაც მათმა საყვარელმა მიხეილ ტალმა მსოფლიო ჩემპიონობა დაკარგა, მეგონა, ჭადრაკით აღარ დაინტერესდებოდნენ. პირიქით კი მოხდა. ისინი ყოველთვის ავსებენ სატურნირო დარბაზს და ნონას გულშემატკიერობენ. ვინ აღარ ჩამოდის თბილისიდან. სრულიად მოულოდნელად განთქმული მოკრივე გაბრიელ ხანუკაშვილი გამომეხმაურა: იგი ნონას მატჩის „ნოკაუტით" დამთავრებას უსურვებს. დასაწყისს „ნოკაუტისა" რა ეტყობოდა: მართალია, ნონამ მოიგო პირველი პარტია, მაგრამ მეორეში უკვე პრეტენდენტმა გაიმარჯვა. შემდეგში ყველაფერი მაინც „ცალ კარში" თამაშს დაემსგავსა.

– მატჩს ხშირად ესწრებიან მიხეილ ტალი და აივარ გიპსლისი. ტალი ამბობს:

– უკვე სავსებით ცხადია, ნონას ქალებში ღირსეული მეტოქე არ ჰყავს. აი, ნახავთ, ამ მატჩს მოიგებს და მალე ვაჟებსაც დაერევა.

რა თქმა უნდა, დაერევა. ჯერჯერობით კი კუშნირს „დაერია". მოიგო მეოთხე, მეხუთე, მეშვიდე, მერვე პარტიები. მატჩის ბედი გადაწყვეტილია. თბილისში მაინც ღელავენ. როგორც მამაჩემი მატყობინებს, არავინ იძინებს, სანამ შეხვედრის შედეგს არ შეიტყობს:

ნონას მწვრთნელმა მიხეილ შიშოვმა მას ტალზე გაცილებით ადრე უთხრა:

– ნონა, შენ მამაკაცივით უნდა ითამაშო.

მამაკაცივით თამაშიც სწორედ ეს არის: დიდი თანმიმდევრობა, კონცენტრაცია, მიზანსწრაფულობა, სიმტკიცე. თუ რაიმე ცალკეულ მარცხს გადაეყრები, ყურადღება არ მიაქ-



ციო. ქართველმა ქალიშვილმა კუშნირთან სამი პარტია წააგო. ვითომც არაფერი! მოიგო შვიდი! ოთხი ქულის უპირატესობით მოგება მსოფლიო პირველობის მატჩში და თანაც ესოდენ ძლიერ და ძალღონით სავსე მეტოქესთან (კუშნირი ნონაზე 5 თვით უმცროსია), ცხადია, დიდი მიღწევა გახლავთ.

ნონა მატჩის შემდეგ ისე გამოიყურება, თითქოს ერთ ამნაირ ორთაბრძოლას ახლავე დაიწყებდა, და, რასაკვირველია, იქაც გაიმარჯვებდა. მთელი საქართველო გახარებული და გამხნევებულია.

**გაფრინდაშვილი – კუშნირი. თბილისი-მოსკოვი. 1969 წლის 8 აპრილი – 18 მაისი.**

– მატჩი მსოფლიო პირველობაზე სამ წელიწადში ერთხელ ეწყობა. მაშ რატომ დაიგვიანა მთელი წლით მისმა დაწყებამ? ყველამ იცის, რომ ალა კუშნირი (ისევ კუშნირი!) ნონას ვერ მოუგებს, ამიტომ სხვადასხვა პირებმა, რომ იტყვიან, „არევა" დაიწყეს.

კანონით მსოფლიო ჩემპიონმა მატჩი საკუთარ ქალაქში უნდა ითამაშოს. მაგრამ თუ ეს კანონი მიხეილ ტალის ჩემპიონობის დროს არ კანონობდა, ახლა რატომ იკანონებს? რომელ ქალაქს არ სთავაზობდნენ ნონას. ულიანოვსკსაც კი, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის პატივსაცემად, მას ხომ ჭადრაკი ძალიან უყვარდა. მაგრამ განა ჩვენს წინაპრებს ნაკლებად უყვარდათ ჭადრაკი?!

თბილისი – მოსკოვი. ეს კომპრომისული გადაწყვეტილებაა. კუშნირს კვლავ ძველი სეკუნდანტი ჰყავს – მოსკოველი ოსტატი ვლადიმერ იურკოვი (ისე კი, იცოცხლეთ, კონსულტაციას ბევრი ვინმე უწევდა). ნონას ახალი მწვრთნელი, აივარ გიპსლისი ეხმარება.

– თბილისი თითქოს მხოლოდ ჭადრაკით ცხოვრობს. სად რუსთაველის თეატრი და სად ცხენოსანი მილიცია! მაგრამ მატჩზე დასწრება რომ ყველას უნდა?! ბილეთები რამდენიმე წუთში ქრება, მრავალრიცხოვან გულშემატკივრებს შორიდანვე ულობავენ გზას. პრესცენტრში ტელეფონს რა „დაადუმებს".



როგორია მეტოქეთა ძალების შეფარდება? ეტყობა დაახლოებით იგივე, რაც 4 წლის წინათ, რიგაში. მაგრამ თუ ლატვიის დედაქალაქში ნონა სრულიად დამშვიდებული იყო, ახლა საყოველთაო მღელვარება, როგორც ჩანს, მასაც გადაედო. აბა, როგორ ავხსნათ თანაბარი ანგარიში 5 პარტიის შემდეგ (მეტოქეებმა მოიგეს ორ-ორი პარტია)? კუშნირის სეკუნდანტებს უხარიათ: რაც უნდა მოხდეს, მატჩი ყველა შემთხვევაში მათთვის საპატიო ანგარიშით დასრულდება: ორნახევარი ქულა უკვე აქვთ.

– ნონამ მოიგო მეექვსე პარტია. ამიერიდან იგი, უნდა ვიფიქროთ, კიდევ უფრო გაზრდის ანგარიშს. მოსკოველი ჟურნალისტები შინ გასამგზავრებლად ემზადებიან: თბილისურმა რედაქციებმა მათ უხვი ჰონორარი გადაუხადეს. ჩვენ კი მოსკოვში არავინ არაფერს მოგვცემს: არა უშავს, წამოღებული ქულებითაც დავკმაყოფილდებით...

– ისევ მოსკოვში ვართ. ნონას იმდენი გულშემატკივარი ჰყავს, რომ მეტოქის „მოედანი" საკუთრად აქცია. ანგარიში იზრდება: ნონას უკვე არცერთი პარტია აღარ წაუგია. თამაშობს ლაღად, თავისუფლად უტევს, საკმაოდ სწრაფად ფიქრობს. ცაიტნოტი არასოდეს ყოფილა მისი „მეგობარი".

– მატჩი, რა თქმა უნდა, წაგებულია – ამბობს სეკუნდანტი იურკოვი – ერთი რამე კი გვინდა, იგი უკეთესი ანგარიშით დავასრულოთ, ვიდრე ეს წინა ორთაბრძოლაში იყო.

უკეთესი ანგარიშით ვერ დაასრულეს, აი ზუსტად იგივე კი აღინუსხა: 8,5:4,5 რაზე მეტყველებს ის, რომ მსოფლიოში სიძლიერით უდავოდ მეორე მოჭადრაკე ქულათა ასეთი განსხვავებით აგებს და თანაც ზედიზედ მეორედ?

**გაფრინდაშვილი – კუშნირი. რიგა. 1972 წლის 10 მაისი – 26 ივნისი.**

– ნურავის გაუკვირდება, რომ მატჩს ზედიზედ მესამედ კვლავ კუშნირი თამაშობს. რას იზამ, ძალა აღმართსა ხნავსო, ნათქვამია, იგი დამაჯერებლად იგებს პრეტენდენტთა ყველა შეჯიბრებას.



სასტუმრო „რიგა" კვლავ თბილისელებითაა სავსე. მხარდაჭერა არც პრეტენდენტს აკლია. ჩვენ ძალიან კარგ ხასიათზე ვართ: ნონამ მოიგო პირველი და მეორე პარტიები. უნდა ვიფიქროთ, რომ მატჩი ვადამდე ადრე დამთავრდება: მოსკოვსა და თბილისში ხომ სწორედ ასე მოხდა.

– აი, ესეც უსიამოვნო ამბავი: ნონა თავს შეუძლოდ გრძნობს. ეს ჩვენთვის არის ცნობილი, თორემ კუშნირის მხარეს ვინ გააგებინებს. თბილისიდან ისეთი მომღერლები ჩამოვიდნენ, სასტუმრო „რიგაში" ისე იმხიარულეს, რომ უამრავი მსმენელიც შემოიკრიბეს (იქვე, პატარა სკვერის იქით რიგის საოპერო თეატრია). მოჭადრაკეს ყოველგვარ პირობებში უნდა შეეძლოს თამაში. მართალია, მას, საჭიროების შემთხვევაში, პარტიის გამოტოვების უფლება აქვს, მაგრამ ბევრ დასასვენებელ დღეს არავინ მისცემს...

– ჩვენ, ცხადია, ვიცოდით, რომ ამ მატჩსაც, ისევე, როგორც ყველა ადრინდელს, ნონა მოიგებდა. ახლანდელი ანგარიში: 8,5:7,5 მაინც უჩვეულოა. ჩვენ, „ბლიც-კრიგს" შეჩვეული ქართველები, ახლა იმის მოწმე გავხდით, რომ პირველად ნონას მატჩებში ყველა, დებულებით გათვალისწინებული თექვსმეტივე პარტია გათამაშდა. კუშნირი გაძლიერდა? შეიძლება ასეც იყო. მაგრამ, ჩემი აზრით, მთავარი ისაა, რომ ნონა თავს ხანგრძლივი დროის განმაელობაში თავს შეუძლოდ გრძნობდა. როცა რამე გაწუხებს, ძალიან ძნელია 5 საათის განმაელობაში რაიმე არ გამოგრჩეს.

ასეა თუ ისე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ კუშნირი უკვე სამუდამოდ „გასტუმრებულია". ერთი მატჩი ითამაშა, მეორე, მესამე... დიახ, თავისი ძალა დაგვიმტკიცა, მაგრამ „დისტანცია" მასა და მსოფლიო ჩემპიონს შორის, როგორიც იყო, ისეთივე დარჩა...

**გაფრინდაშვილი – ალექსანდრია. თბილისი – ბიჭვინთა. 1975 წლის 20 ოქტომბერი – 1 დეკემბერი.**

• თუ სადმე არსებობს ქვეყნად სამოთხე, ეს სწორედ ბიჭვინთას ეთქმის – ამბობს მატჩის მთავარი მსაჯი, ჟურნალ „ჩესკოსლოვენსკი შახის" მთავარი რედაქტორი, ცნობილი დიდოსტატი მიროსლავ ფილიპი – როგორ გინდა ასეთ ამინდში ადამიანი სატურნირო დარბაზში შემოიყვანო.

მაგრამ რომ შემოდიან და თანაც როგორ! ადგილიც კი აღარ რჩება. ნონას უამრავ გულშემატკივარს ახლა ნანას არანაკლებ მრავალრიცხოვანი ქომაგებიც დაემატნენ.

– თქვენ ვის მხარეზე ხართ, – გვეკითხება საკავშირო სატელეგრაფო სააგენტოს კორესპონდენტი.

– საქართველოს მხარეზე – უპასუხებს სოხუმელი ჟურნალისტი თენგიზ ჯიბუტი.

– თქვენ ახლა ერთდროული თამაშის სეანსს უნდა ატარებდეთ. დილიდან ხომ გაგაფრთხილეთ – მეუბნება საკავშირო სპორტკომიტეტის წარმომადგენელი, ოსტატი ლევ აბრამოვი.

– გასაგებია, მაგრამ ჩემთან თამაში ვის უნდა! ხომ ხედავთ, დარბაზში რა ამბები ხდება.

– უნდა ნახოთ, რა სახე აქვს თამაშის დროს ნანას სეკუნდანტ ბუხუტი გურგენიძეს. შეხედავთ და, დიდი გამოცნობა არ უნდა, როგორი პოზიციაა ამ დროს დაფაზე. ძირითადად ბუხუტი, რა თქმა უნდა, მოღუშულია (ე. ი. ჩემპიონს უკეთესი პოზიცია აქვს), მაგრამ ზოგჯერ აშკარად მხიარულდება (პრეტენდენტი ინიციატივას დაეუფლა).

– დაე, საქართველოს მეორე მსოფლიო ჩემპიონი ჰყავდეს – ამტკიცებენ ნანა ალექსანდრიას ქომაგები.

– არა, ჩემპიონი ყოველთვის ერთი უნდა იყოს.

– ბიჭვინთაში მთელი 8 პარტია გათამაშდა და დიდი მღელვარებაც განგვაცლევინა. ნონამ მოიგო 5, 2 წააგო, 1 ყაიმით დასრულდა. პრეტენდენტი ცალკეულ პარტიებში (როგორც საერთოდ იმ წლებში) მართლაც რომ ბრწყინვალედ თამაშობდა, მაგრამ უძლეველთან რას გახდები...

– თბილისში მატჩი ცოტა ხანს გაგრძელდა. ახალგაზრდა პრეტენდენტის წინააღმდეგობამ თანდათან იკლო. 12 პარტიიდან 11 ერთ-ერთი მხარის გამარჯვებით დასრულდა – აი, უკომპრომისო ბრძოლაც ამას ჰქვია. 8,5:3,5 სრულიადაც არ ასახავს იმ სიმწვავეს, რომელიც ამ მატჩს ახლდა. ბრძოლის წყურვილი, ნაირ-ნაირი კომბინაციები, ოსტატურად წარმართული ენდშპილები. ამას რა სჯობს: აიღებ ამ პარტიებს და მრავალ მოჭადრაკეს ასწავლი...

– მაშ ასე, ნონამ უკვე მეხუთე მატჩი მოიგო ზედიზედ: მოიგო დამაჯერებლად, დიდი უპირატესობით, მაგრამ ნუ ვიჩქარებთ, ნანა ალექსანდრიას ასპარეზი არ დაუტოვებია, და, უნდა ვიფიქროთ, დიდხანს არც დასტოვებს.

**გაფრინდაშვილი – ჩიბურდანიძე, ბიჭვინთა. 1978 წლის 18 აგვისტო – 5 ოქტომბერი.**

– ისევ ბიჭვინთა. ნონას კვლავ გიპსლისი ეხმარება, მაიას – თამაზ გიორგაძე. პირველი პარტიები ყაიმით მთავრდება. ეს უკვე უჩვეულოა. უჩვეულოა პრეტენდენტის ასაკიც – 17 წელი. იგი ეს-ეს არის დაბრუნდა ვილნიუსიდან, სადაც ვაჟთა დიდ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა, ტიგრან პეტროსიანსა და სემუელ რეშევსკის შეხვდა და სათანადო გამოცდილებაც მიიღო.

ეს ასპარეზობა ბევრი რამით ბიჭვინთის წინა მატჩს დაემსგავსა: უამრავი გულშემატკივარი, ნონას ქომაგების მღელვარება, ბევრის მხრივ კი იმის სურვილი, რომ სჯობს საქართველოს მეორე მსოფლიო ჩემპიონიც ჰყავდეს.



– როგორც კი მატჩი დამთავრდა, ორივე მხარე მოვინახულეთ. ახალი მსოფლიო ჩემპიონი ამბობს, რომ ნონა ნონად რჩება (რა სწორი სიტყვებია!) ნონა, რა თქმა უნდა, აქებს გამარჯვებულს, აღიარებს მის ტალანტს და საბრძოლო თვისებებს, მაგრამ ბოლოს ამბობს:

– მე მაინც არ უნდა წამეგო ეს მატჩი.

გაივლის სულ ცოტა ხანი და ნონა პირველი ქალი ხდება, ვისაც ვაჟთა შორის დიდოსტატის წოდება მიენიჭა. გაივლის კიდევ ხანი და იგი თბილისში პირველ ადგილს იკავებს ჭადრაკის ისტორიაში პირველ (და ჯერჯერობით უკანასკნელ!) ქალთა სუპერტურნირში, მსოფლიოს ყველა უძლიერესი დიდოსტატის მონაწილეობით...

**გივი გამრეკელი.**

# ნონა 60 სპეციალური გამოშვება

**კონკურსი**

## ულოცავენ საჭადრაკო კომპოზიტორები

**საჭადრაკო ეტიუდების შედგენის კონკურსში „ნონა-60“ მონაწილეობა მიიღო ჩვენი ქვეყნის 13 საჭადრაკო კომპოზიტორის 42 ნაწარმოებმა. შთამბეჭდავია კონკურსის გეოგრაფია – თბილისი, ზესტაფონი, დუშეთი, თერჯოლა, ჩხოროწყუ, ბაღდათი.**

**კონკურსი გაიმართა ორ განყოფილებაში: ეტიუდები მოგებაზე და ეტიუდები ყაიმზე.**

**ეტიუდები მოგებაზე**

I პრიზი – ჯემალ მახათაძე (ზესტაფონი).

ეფექტური შამათი დაფის ცენტრში სამი აქტიური ბლოკირებით.

II-III პრიზი – ვაჟა ნეიძე (თბილისი).

ეტიუდი ორი თემატური განშტოებით. სამი საშამათო სურათი შავი ლაზიერის a4, b4 და b5-ზე ბლოკირებით.

II-III პრიზი – შაქრო და რომანოზ წურწუმიები (ჩხოროწყუს რ-ნი, სოფ. ლეწურწუმე).

ავტორებისთვის დამახასიათებელი პაიკების სუსტ ფიგურებად გაყვანის თემა.

IV პრიზი – ველიმირ კალანდაძე (თბილისი).

ეტიუდში განხორციელებულია ლოგიკური მანევრი გეომეტრიული მოძრაობის ფონზე.

I საპატიო შეფასება – ემზარ ჭუმბურიძე (თერჯოლის რ-ნი, სოფ. სიმონეთი).

II საპატიო შეფასება – გურამ მჟავანაძე (ბაღდათის რ-ნი, სოფ. როხი).

I წაქები შეფასება – რუზველტ მარცვალაშვილი (დუშეთის რ-ნი, სოფ. ჩარგალი).

II საქები შეფასება – ლადო ქართველიშვილი (თბილისი).

**ეტიუდები ყაიმზე**

I პრიზი – ველიმირ კალანდაძე (თბილისი).

ეს კლასიკური ეტიუდი მსოფლიოს ნებისმიერ დიდ კონკურსს დაამშვენებდა.

II პრიზი – მერაბ გოგბერაშვილი (თბილისი).

რამდენიმე საეტიუდო თემის საინტერესო სინთეზი.

III პრიზი – იური აკობია (თბილისი).

„შავ-თეთრი“ პატის ახალი ნაირსახეობა.

IV პრიზი – ვაჟა ნეიძე (თბილისი).

მუდმივი ქიშის ორიგინალური მექანიზმი.

I საპატიო შეფასება – ველიმირ კალანდაძე.

II საპატიო შეფასება – გურამ მჟავანაძე.

I საქები შეფასება – ლადო ქართველიშვილი.

II საქები შეფასება – ნიკოლოზ გაგაშელაშვილი (ზესტაფონი).

სპეციალური პრიზი – კობა მესტიაშვილი (თბილისი), ხუთფიგურიანი ეტიუდისთვის.

სპეციალური პრიზი – ჯემალ მახათაძე (ზესტაფონი), მატისონის და სააველრას იდეათა სინთეზისთვის.

მკითხველებს ამოსახსნელად ვთავაზობთ პირველი პრიზით აღნიშნულ ეტიუდებს.

კონკურსის შემოქმედებითი დონე ადასტურებს ქართული საეტიუდო სკოლის მაღალ ავტორიტეტს.

**დავით გურგენიძე,**
**მთავარი მსაჯი,**
**საერთაშორისო არბიტრი.**

**ველიმირ კალანდაძე**



**ყაიმი**

**ჯემალ მახათაძე**



**თეთრები იგებენ.**

**ისტორია**

## ნონა და ყველა გაფრინდაშვილები

ქართული მანგანუმის ქალაქში, სპორტის სხვა სახეობებთან ერთად, გამორჩეული ადგილი ეკავა ჭადრაკს, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-30-იან წლებში გახსნილ მუშათა ცენტრალური კლუბში ჩამოყალიბდა ჭადრაკის შემსწავლელი წრე. სწორედ აქ ეზიარა ამ თამაშის საიდუმლოებას შემდეგში საქვეყნოდ ცნობილი ვახტანგ ქარსელაძე. იმ ქალაქში მოღვაწეობდა ცნობილი ოფთალმოლოგი და მოჭადრაკე მიხეილ ტარსაიძე...



1964 წელს ჭიათურას ეწვია მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი. ღონისძიება მოაწყო გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ საჭადრაკო კლუბმა „64“-მა.

ნონას სტუმრობის აპოგეა იყო მამის მშობლიური სოფლის – შუქრუთის მონახულება. ბევრმა შეიძლება არც იცის, რომ ნონას მამა სწორედ ამ სოფელში დაიბადა, ალიზარდა და შემდეგ ზუგდიდში გადასახლდა საცხოვრებლად. სისხლით ნათესავებთან გულთბილი შეხვედრაც ერთდროული თამაშის სეანსით დამთავრდა. ამჯერად ნონას ყველა მოწინააღმდეგე გაფრინდაშვილები იყვნენ.

ამ ფოტოზე სწორედ ეს შეხვედრაა აღბეჭდილი. დღეს მთელი ჭიათურა მიესალმება სახელოვან, იუბილარ მოჭადრაკეს, რადგან მას თავის ღვიძლ შვილად მიიჩნევს.

კიდევ დიდხანს იცოცხლე და გაგვახარე, ჩვენო ნონა!

**თემურ შეყილაძე.**

## დიდი ივანესა და ექვთიმეს გვერდით...

ჭადრაკის დიდი ტრფიალი, აკადემიკოსი აკაკი შანიძე ნონას ნიჭის უსაზღვრო თაყვანისმცემელი იყო. 60-იან წლებში იგი მარტო ცხოვრობდა და თითქმის ყოველდღე ვსტუმრობდი. ბატონი აკაკი ხშირად არჩევდა მსოფლიოს ჩემპიონის პარტიებს და განსაკუთრებით მოსწონდა პრეტენდენტთა ტურნირზე ლაზარევიჩთან მოგებული შეხვედრა.

ერთ დღესაც, მოკრძალებით შევთავაზე: მოვიწვიოთ-მეთქი, ქალბატონი ნონა.

– იკადრებს? – ბავშვური მიამიტობით შემეკითხა მეცნიერების პატრიარქი.

... დათქმულ დროს ბატონ აკაკის ვესტუმრეთ – ნონა, გურამ მაჭავარიანი, ლიანა ნაჭყებია და მე.

მასპინძელი საგულდაგულოდ მომზადებულიყო, 900-იანი წლების დასაწყისში პეტერბურგში ნაყიდი რომელიღაც სახელმძღვანელოს სადებიუტო სისტემით...



პაექრობა ლამაზი და სამახსოვრო გამოდგა. მსოფლიოს ჩემპიონმა აღიარა მხცოვანი მასპინძლის ძალა და პარტია საყაიმო ენდშპილისაკენ წარმართა.

...ამ დღის შემდეგ აკაკი შანიძის სამუშაო ოთახის კედელზე დიდი ივანე ჯავახიშვილის და ექვთიმე თაყაიშვილის პორტრეტების გვერდით ეს სურათიც გამოჩნდა.

**გივი შეყილაძე.**

**ნონას თასი**



„ნონა გაფრინდაშვილის სახელობის საერთაშორისო თასი“ 1997 წელს დაარსდა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტ ვაჟა შუბლაძის იდეითა და ძალისხმევით. იგი გადაეცემა საჭადრაკო ოლიმპიადაზე ქალთა და ვაჟთა გუნდების ქულათა საერთო ჯამით გამარჯვებული ქვეყნის ნაკრებს. პრიზის (სიმაღლე – 54 სმ; წონა 3,1 კგ.) ავტორია მოქანდაკე ირაკლი მეგრელიშვილი. თასი გაწყობილია ოქროს ფრაგმენტებითა და ვიტრაჟული მინანქარით. აქვს ნონას ოქროს ბარელიეფური პორტრეტი.

**ორი მოგონება**

### მიხვდნენ?

1961 წლის ზაფხულში საქართველოს ნაკრები თავის პირველ საერთაშორისო მატჩს რუმინეთში ატარებდა. 20 წლის ნონას მოჭადრაკეების თავშეყრაზე უყვარდა ხუმრობა, სიცილი, მაგრამ მისთვის დამახასიათებელი თავშეკავებით.

ქალაქ პლოეშტში უნდა შევხვედროდით კლუბ „პეტროლიუმის“ გუნდს. ორგანიზატორები დაგვპირდნენ, რომ სადილად თავიანთი ეროვნული კერძით გაგვიმასპინძლდებოდნენ. ეს ამბავი ნონას არ გაუგია.

სადილად ვსხედვართ მაგიდასთან ნონა, მანანა ტოგონიძე და მე. ნონა დარბაზისკენ ზურგით იჯდა, ამიტომ ვერ ხედავდა, რა კერძი მიართვა ოფიციანტმა მის თანაგუნდელებს. ჩვენთან ერთი თეფში მოიტანა და ნონას დაუდგა, როგორც უმცროსს. ნონამ კერძს დახედა, მერე გაკვირვებული სახით შემოგვხედა და წაიჩურჩულა:

– საიდან მიხვდნენ, რომ სამეგრელოდან ვარ!

ისე, როგორც ჩვენ, მან მხოლოდ მაშინ გაიგო, რომ თურმე რუმინელებსაც უყვართ ღომი და შემწვარი ხორცი ტომატის საწებლით.

### არ იცნობდა...

ვიქტორ გოგლიძის II მემორიალის (1971 წ.) დასკვნით ტურში ნონას აუცილებლად უნდა მოეგო შეხვედრა ბულგარელ ოსტატ ნიკოლა რადევისთვის, ვაჟთა შორის სპორტის ოსტატის ნორმატივი რომ შეესრულებინა. ტურზე ნონა სიცხიანი გამოცხადდა, როგორც მთავარ მსაჯს, იგი არ უნდა დამეშვა თამაშზე, მაგრამ „დავხუჭე თვალები“. ეს არ გამოპარვია ექიმ ნიკოლა რადევს. მან ღიმილით „დამამშვიდა“. არა უჭირს, თამაშში გამოჯანმრთელდებაო. მართლაც, გამოკეთდა ნონა და დაფაზე ისეთი სიცხე და ხვატი დააყენა, რომ ბოლოს მას თვით რადევი შეეწირა. მერე გულუბრყვილო ნიკოლა გამოტყდა: მეგონა, ადვილად მოვიგებდი, ქალთან თამაშს რა უნდა-მეთქი. თურმე არ ვიცნობდი ნონას.

ნონას ორიოდე პარტიას რომ გასცნობოდა, ნიკოლა, ალბათ, დაინახავდა მის მებრძოლ სულს, ხასიათს და ფრთხილად იქნებოდა.

**თენგიზ გიორგაძე.**



არ იქნებოდა ნონა, არ ვიქნებოდით ჩვენც, ქართველი ქალი მოჭადრაკეები.

მაია ჩიბურდანიძე.

GCF
სარედაქციო კოლეგია: დავით გურგენიძე (რედაქტორი), ზურაბ აზმაიფარაშვილი, ნანა ალექსანდრია, ანზორ ბასილაია, გივი გამრეკელი, ნონა გაფრინდაშვილი, თენგიზ გიორგაძე, ბუხუტი გურგენიძე, ველიმირ კალანდაძე, გიორგი მახარაძე, კახა ჩიგოგიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოცხალი ისტორია

**ცოტანიღა შემოგვრჩნენ XX საუკუნის კბილა ადამიანები, რომლებმაც თავიანთი მხრებით ატარეს ეპოქის სიდიადეცა და მანკიერებაც, რომელთა ბიოგრაფიაც ზუსტი ასლია იმ პარადოქსული, მღელვარე, საშიში და მაინც მძლავრი ხანისა.**

**დღეს, ჩვენს თანამედროვეთა შორის, არ მეგულება მისი მსგავსი ბიოგრაფიის მქონე სხვა კაცი.**

**ლაპარაკია ალიოშა მირცხულავაზე.**

**ის დღეს, 12 მაისს, 90 წლისა გახდა.**

# საუკუნე მომაქვს მხრებით



ადამიანის მოღვაწეობა ყოველთვის იმ დროის ჭრილში უნდა განიხილო, რომელშიც იგი მოღვაწეობდა, რადგან ადამიანი, უპირველესად, თავისი დროის, თავისი ეპოქის შვილი და პროდუქტია.

მას წითელმა ქარიშხალმა უნანავა, უმაღლეს მწვერვალზე ააფრინა, იმდროინდელ ისტორიულ მოვლენათა შუაგულში ატრიალა და ალვაწა.

მისი ბიოგრაფია სწორხაზოვნად ამაღლებული იყო.

დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორგაში. დაამთავრა ზუგდიდის პედაგოგიური ტექნიკუმი და მცირე ხანს მასწავლებლობდა. მერე კომკავშირელთა შორის გამოარჩიეს: 1932-1937 წლებში იყო კომკავშირის ხობის, მცხეთის, თელავისა და წულუკიძის რაიკომების მდივანი, საქ. ალკკ ცკ-ის მეორე მდივანი; 1937 წლის სექტემბერში უკვე პირველ მდივნად დააწინაურეს. 1941 წლის ივნისში პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად გადაჰყავთ, 1943-1947 წლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეა.

ომის დროს ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს რწმუნებული იყო კავკასიის მთავარი ქედის ტერიტორიაზე განლაგებული ჯარების ჯგუფში. 1942 წლის ზაფხულში 46-ე არმიის სარდალ კონსტანტინე ლესელიძის მეთაურობით მონაწილეობდა ქლუხორთან შემოჭრილი მტრის განადგურებაში, სოფელ ფსხუსა და სანჭაროს გადასასვლელთან საბრძოლო მოქმედებაში, ნოვოროსიისკის განთავისუფლებაში.

1950 წელს, მოსკოვის უმაღლესი პარტიული სკოლის დამთავრების შემდეგ, სკპ(ბ) ცკ-ის ინსპექტორად დანიშნეს.

სტალინი... „შიშისმგვრელი, დიადი და გენიალური" (მწერალი ალექსანდრე ბუშკოვი), რომლის რკინის ნებას მინდობილმა რუსეთმა ორ ათეულ წელიწადში გაირბინა გზა, რომელიც მშვიდობიანმა, კეთილმა დასავლეთმა ორ ასეულ წელიწადში განვლო.

ტოტალიტარიზმი ვერ იტანს დამოუკიდებელ აზროვნებასა და ქმედებას, უნდა აკეთო ის, რასაც გიბრძანებენ. და პარტიის ერთგული ჯარისკაცი (პირდაპირი და არაპათეტური მნიშვნელობით) ალიოშა მირცხულავაც აკეთებდა იმას, რასაც ავალებდნენ. და აკეთებდა უხმაუროდ, უყოყმანოდ, კარგად.

დიდი სიამაყით, შინაგანი მღელვარებით იხსენებს სტალინთან შეხვედრებს.

„– 1939 წლის ივლისში მოსკოვში ფიზკულტურელთა საკავშირო პარადი გაიმართა. 20 ივლისს მონაწილეთა საზეიმო მიღება მოეწყო კრემლში. მაშინ საქართველოს კომკავშირის ცეკას პირველი მდივანი ვიყავი და ჩვენი სპორტსმენების დელეგაციას ვხელმძღვანელობდი. ზეიმის დროს შევნიშნე, რომ სტალინმა რაღაც გადაულაპარაკა ბერიას, მერე იხმო ერთი პოლკოვნიკი და იმ ადგილისკენ ანიშნა, სადაც ჩვენ ვისხედით (როგორც შემდეგ გავიგეთ, სტალინმა ნაცნობი სახე შენიშნა და მისი ვინაობით დაინტერესდა. ეს იყო მისი სიყრმის მეგობრის პავლე საყვარელიძის ქალიშვილი მარინე).

პოლკოვნიკი ჩემთან მოვიდა და ჩამჩურჩულა, სტალინი გიხმობსო. მღელვარება დავიოკე და ვეახელი. სტალინმა დინჯად ჩამომართვა ხელი და ხმადაბლა ქართულად მკითხა, თქვენს დელეგაციაში ვინმე საყვარელიძე ხომ არ არისო და თითით მანიშნა ის ადგილი, სადაც მარინე იჯდა. დავუდასტურე. სტალინმა მთხოვა, ისე, სხვათა შორის, გამეგო მისი მამის სახელი. გოგონა მართლაც პავლე საყვარელიძის ქალიშვილი აღმოჩნდა. მას გულმა უგრძნო, რა დავალებაც მომცა სტალინმა და გახარებულმა მითხრა, სტალინი მამაჩემს დიდ პაველს ეძახდაო. მოვახსენე სტალინს. მან მადლობა გადამიხადა, ღვინით სავსე სასმისი გამომიწოდა და გვერდით მსხდომი მოლოტოვისა და ვოროშილოვის სადღეგრძელოს შესმა შემომთავაზა. ვადღეგრძელე. სამივემ ხელი ჩამომართვა და დამემშვიდობა. სტალინმა მარინე საყვარელიძე მეორე დღეს შინ მიიპატიჟა. არასოდეს ენახა, მაგრამ მასში შორიდანვე, ერთი შეხედვით შეიცნო მამასთან მსგავსება.

1946 წლის შემოდგომაზე, როცა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ვმუშაობდი, სტალინი გაგრაში ისვენებდა. 27 ნოემბერს ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელები მეუღლეებითურთ თავის აგარაკზე მიგვიპატიჟა. დაწვრილებით გამოგვკითხა ჩვენთან არსებული მდგომარეობა, განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ჩაისა და ციტრუსების კულტურის გავრცელებაზე, კურორტების კეთილმოწყობაზე. შემთხვევით ვისარგებლე და მოვახსენე, აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები ომის დროს ჰოსპიტლებად გადაკეთდა, ახლა თითქმის ხელახლა კეთილმოწყობას საჭიროებენ და საკავშირო მთავრობის დახმარება გვჭირდება-მეთქი. დახმარებას დაგვპირდა და სულ მალე ვიგრძენით კიდევ ეს.

1950 წლის დეკემბერში, როგორც სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ინსპექტორს, ირკუტსკში მივლინებით წასვლა მომიწია. ვიცოდი, რომ მეფის ხელისუფლების დროს სტალინი იქ იყო გადასახლებული და მის მუზეუმში შევიარე. არ მომეწონა, მუზეუმს სულაც არ ჰგავდა.. მოსკოვში დაბრუნებისას მივლინების შედეგებზე მოხსენებითი ბარათის პარალელურად, ამაზე ცალკე ცნობა დავწერე და სამდივნოს აპარატს გადავეცი.

რამდენიმე დღის შემდეგ კრემლში, სტალინთან გამომიძახეს. გამესაუბრა, შემდეგ უჯრიდან ჩემი მოხსენებითი ბარათი ამოიღო და სრულიად უბრალოდ, რჩევა-დარიგების სახით მითხრა, ეს მუზეუმი სრულებითაც არ არის საჭირო, გასაუქმებელია, მე გადასახლებაში ვიყავი, რა არის იქ სამუზეუმო, არ ღირს ამაზე სახელმწიფო ფულის ხარჯვაო.

მიჩვია, როცა მივლინებებში წავხვალთ, ყოველთვის დაინტერესდით, თუ რა კეთდება ადგილებზე ადამიანების საკეთილდღეოდ, როგორ ზრუნავენ საბჭოებისა და პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები სახალხო დოვლათის დაგროვების, დაცვისა და გონიერული გამოყენებისთვისო.

მისი საუბრითა და თბილი მიღებით გათამამებულმა გავუბედე დი წინა ორი შეხვედრა შევახსენე. სტალინი ჩაფიქრდა, გაიარ-გამოიარა, მერე მხარზე ხელი დამადო და ღიმილით მითხრა, შენ ის არა ხარ, ჩემი სიყრმის მეგობრის პავლე საყვარელიძის ქალიშვილი რომ გამაცანიო? მერე დაუმატა, აფხაზეთში კურორტები კარგად მოგიწყვიათო, წარმატება მისურვა, ხელი ჩამომართვა და გამომემშვიდობა.

იგონებს და თვალებში შუქი უდგება...

სტალინი, ბერია, მალენკოვი... მისთვის ქარიშმატული ბელადები კი არ იყვნენ, არამედ ცოცხალი, ხელმძღვანელობითაც მუშაობდა, ვისაც ესაუბრებოდა, ანგარიშს აბარებდა.

შრომა ურეგლამენტოდ, როგორც პოეტი ამბობდა, „არ გააჩნდა კვირაუქმე" (საერთოდ ასეთი რეჟიმით ცხოვრობდა მაშინ ქვეყანა)...

მერე აფეთქებასავით ზეასვლა მწვერვალზე – საქართველოს სათავეში.

ეს იყო დაძაბული, რთული პერიოდი. სტალინიდან – ხრუშჩოვამდე. ბერიას ფაქტობრივი მმართველობისა და დაცემის ხანა.

– 1953 წლის 9 აპრილს მიხმეს მალენკოვმა და ხრუშჩოვმა და საქართველოში პირველ მდივნად წასვლა შემომთავაზეს. გულწრფელად განვუცხადე უარი: მაშინ საქართველოში ერთობ რთული მდგომარეობა იყო, იმ ყოვლად აფსურდული „მეგრელთა საქმის" შემდეგ. ხვალ ცეკას პრეზიდიუმის სხდომაზე მოხვალ და იქ გადავწყვიტოთო.

მალენკოვიდან ბერიასთან შევედი (მისი კაბინეტი იქვე ახლოს იყო), მასაც ვთხოვე, ნუ გამიშვებთ-მეთქი საქართველოში. არც ბერიამ მიიღო ჩემი უარი, უკვე შეთანხმებული ვართო. მითხრა, საქართველოში „მეგრელთა საქმით" შელახული სამართლიანობა უნდა აღდგესო.

მეორე დღეს შედგა სკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა, რომელიც მალენკოვს მიჰყავდა. მას ხელში ეკავა სტალინის ხელმოწერილი დადგენილება „მექრთამეობისა და მ. ბარამიას ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ საქართველოში" – ე. წ. „მეგრელი ნაციონალისტთა საქმე". პირდაპირ თქვა, – ამ დადგენილებით ქართველი ხალხი შეურაცხყოფილია, რესპუბლიკის თვალსაჩინო მუშაკები უდანაშაულოდ დაისაჯნენ. ეს დოკუმენტი არასოდეს არსად განხილულა, არ არხებობს ბრალდებათა მტკიცებაო. სტალინი შეცდომაში მგელაძემ და რუსაძემ შეიყვანესო.

გამოცხადდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნობიდან აკაკი მგელაძის განთავისუფლება და ჩემი დანიშვნა.

პრეზიდიუმის შემდეგ ხანგრძლივად მესაუბრნენ ბერია და მალენკოვი. მომცეს დადგენილებები უდანაშაულოდ რეპრესირებულთა რეაბილიტაციის, გადასახლებულთა სამშობლოში დაბრუნების, თბილისისა და ქუთაისის ოლქების გაუქმების შესახებ. მთხოვეს, გონიერება გამოიჩინეთ და ანგარიშსწორება არ დაიწყოთო. მეც ასე ვიყავი განწყობილი.

რეპრესირებულთა და გადასახლებულთა სამშობლოში დაბრუნება სასწაულებრივი სანახაობა იყო. მოსახლეობა აღტაცებით ხვდებოდა მათ რკინიგზის სადგურებზე. ხალხს იმედი მიეცა, რომ რაღაც უნდა შეცვლილიყო. მაგრამ ივლისში ბერია მოკლეს...

სექტემბერში თანამდებობიდან გამათავისუფლეს. შემდეგ სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციაში ვმრომობდი. სულ რამდენიმე თვეა, თავი დავანებე მუშაობას მრეწველობის სამინისტროში, თორემ ამ ხნის კაცი, აი უკვე ოთხმოცდაათი შემისრულდა, ერთი დღე არ ვყოფილვარ უსაქმოდ. მიღებული მაქვს ლენინის, შრომის წითელი დროშის, სამამულო ომის პირველი და მეორე ხარისხის, წითელი ვარსკვლავისა და „საპატიო ნიშნის" ორდენები, 9 სამხედრო მედალი. მყავს სამი კარგი შვილი, შვილიშვილები და შვილთაშვილები. მე არ მრცხვენია ჩემი ბიოგრაფიისა. ჩემი რწმენით ვიცხოვრე. ოღონდ, აი, სიმდიდრე ვერ დავაგროვე. ერთადერთ სიმდიდრედ გარდასულ დღეთა მოგონებები შემომრჩა...

გასახსენებელი და საამბობი მართლაც ბევრი აქვს ბატონ ალიოშას.

თუნდაც ის, თუ როგორ შეესწრო შემთხვევით 1937 წლის შემოდგომაზე ბერიას კაბინეტში, დაპატიმრებული ყოფილი საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის გერმანე მგალობლიშვილის დაკითხვას...

მოსკოვში საქმეზე ჩასულმა როგორ გაუზიარა თავისი უკმაყოფილება ბერიას 1949 წლის ზამთარში საქართველოში გაშლილი ვაჟა-ფშაველას უმართებულო კრიტიკის გამო, როგორ გაიზიარა მისი აღშფოთება ლავრენტიმ, როგორ მოახსენა ეს ამბავი სტალინს, რომელმაც მკაცრად უსაყვედურა ამის გამო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს კანდიდ ჩარკვიანს, პირადად შეადგინა საკავშირო მთავრობის დადგენილების ტექსტი მწერლის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემის შესახებ, შემდეგ კი იუნესკომ აღნიშნა მისი იუბილე...

როგორ დაემუქრა ხრუშჩოვი სკპ ცკ-ის 1953 წლის ივლისის ცნობილი პლენუმის წინ, რომელზეც ბერიას საკითხი განიხილეს, არაფრის თქმა არ გაებედა...

როგორ გაუმხილა რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრებაზე მოსკოვიდან ჩამოსულმა გენერალმა ბატოვმა, რომ იგი ხრუშჩოვმა და ბულგანინმა სპეციალურად მიავლინეს საქართველოში, მოსალოდნელ გამოსვლათა ჩასახშობად...

როგორ მოათავსეს ბერიას ბრძანებით 1945 წლის აპრილში გერმანიიდან ოჯახებითა და საკვლევი მოწყობილობებით ჩამოყვანილი ტყვე მეატომე მეცნიერები სოხუმში, სინოპის სანატორიუმის ტერიტორიაზე. მაშინ ეს სანატორიუმი, ისევე, როგორც აფხაზეთის სხვა სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები, ევაკოჰოსპიტლებად იყო გადაკეთებული და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. მირცხულავამ, ბერიას მითითებით, სასწრაფოდ დაცალა გერმანელებისათვის და მეცნიერული კვლევის გაგრძელების საშუალება შეუქმნა მათ (სწორედ იქ ამოიზარდა შემდეგ სოხუმის ცნობილი ატომური ფიზიკის ინსტიტუტი)...

გიამბობთ თითქმის დაუჯერებელ ამბავს, თუ როგორ გამოაპარა კანადიდან მცირე რაოდენობის პირველი „საბჭოთა" ურანი იქ ბერიას დავალებით გაგზავნილმა ცნობილმა ბახჩო ქობულოვმა ბრმა ნაწლავის ოპერაციის შემდეგ მუცელში ჩაკერებული კონტეინერით...

ზოგ ამბავს სიამოვნებით იხსენებს, ზოგზე, როგორც უნდა სცადოთ, სიტყვასაც ვერ დააცდენინებთ. ძველი წრთობა ახლაც მოქმედებს: არის საიდუმლოებანი, რომლებიც მასთან ერთად მოკვდება.

...დიდის თბილისის ქუჩებში კაცი-ცოცხალი ისტორია – ახოვანი, წელში გამართული, მტკიცე და დინჯი ნაბიჯით მოსიარულე, ყოველთვის აკურატულად და გემოვნებით ჩაცმული. გაუტეხელი, თავაზიანი და კეთილმოუბარი. ცინცხალი გონება, შესანიშნავი მეხსიერება, მახვილი თვალი და ყური...

დადის თბილისის ქუჩებში იმ მკაცრი, მძიმე, მაგრამ ახლობელი ეპოქის ცოცხალი ძეგლი და სიმბოლო, მისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი. მას შეუძლია თამამად თქვას ისე, როგორც ლექსშია – საუკუნე მომაქვს მხრებით!..

**ალეკო ასლანიშვილი.**



**სურათებზე: ა. მირცხულავა; კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები სკპ(ბ) XVIII ყრილობის მონაწილე კომკავშირულ მუშაკებთან (1939 წ.), პირველ რიგში, მარცხნიდან: საქ. ალკკ ცკ-ის პირველი მდივანი ალ. მირცხულავა, საკავშირო ალკკ ცკ-ის მეორე მდივანი ზახაროვი, ა. ანდრეევი, მ. კალინინი, კ. ვოროშილოვი, ი. სტალინი, ვ. მოლოტოვი, ა. ჟდანოვი, ლ. კაგანოვიჩი, ნ. ხრუშჩოვი, გ. მალენკოვი, საკავშირო ალკკ პირველი მდივანი მიხაილოვი.**

დიუსელდორფი – 1981

# თასი შამპანურით აგვივსეს

## კარდიფიდან – მადრიდამდე



დიუსელდორფში გამგზავრებამდე ერთი საინტერესო ამბავი მოხდა, ცნობილი გახდა, რომ ფინალს იმსაჯებდა იტალიელ მსაჯთა ბრიგადა, ლატანცის ხელმძღვანელობით (უეფას მსაჯთა კოლეგიას იტალიის წარმომადგენელი ხელმძღვანელობდა). იმ დღეებში იტალიაში გასტროლებზე მიემგზავრებოდა რუსთაველის სახელობის თეატრი, რომელმაც ფურორი მოახდინა ევროპის კულტურულ ცხოვრებაში. ნოდარ ახალკაცმა დელეგაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელს სთხოვა, რომ პირველსავე სპექტაკლზე პერსონალურად მიეწვიათ კოლეგიის ხელმძღვანელი, რათა მას მისცემოდა საშუალება, ქართული ფეხბურთის გარდა, ქართულ კულტურასაც, ასე ვთქვათ, „შეხებოდა". ნოდარმა, როგორც ყოველთვის, აქაც დიდი დიპლომატიური ნიჭის წყალობით გათვალა, როგორ შეიძლებოდა ადამიანს რუსთაველის სპექტაკლი ეხილა და მერე იტალიელი მსაჯისათვის ორიოდე სიტყვით მაინც არ ეკარნახა, რომ დიუსელდორფში ქართველები „არ გაეჭყლიტა". ზუსტად არ ვიცი მიიღო თუ არა მიწვევა კოლეგიის თავმჯდომარემ, მაგრამ ფაქტია, რომ ფინალში მსაჯობა ზედმიწევნით ობიექტური იყო.

ქართულმა გუნდმა კიდევ ერთხელ გაიბრწყინა, თბილისის „დინამომ" მოიპოვა ევროპის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული, თასის მფლობელთა თასი. დელეგაციის ყველა წევრი ბედნიერებისაგან გაბრუებულები ვიყავით, ვჯდებით ავტობუსში და... თასს ვერ ვხედავ, გადავხედეთ ერთმანეთს და გიჟივით დავბრუნდი გასახდელში, კიდევ კარგი, თასი ადგილზე დამხვდა (ეს ეპიზოდი ერთმა ჭეშმარიტად დიდმა პიროვნებამ ტელევიზიაში თავისად გააერცელა, მაგრამ ეს ასე არ იყო). პატარა, მაგრამ პრესტიჟულ სასტუმროში, დიუსელდორფის გარეუბანში, სასტუმროს პატრონმა, ლამაზმა და საოცრად მომხიბლავმა ქალბატონმა, ჩვენი გამარჯვების აღსანიშნავად, დიდი პლაკატი გამოაკრა შენობის ფასადზე, გაშალა დიდი სუფრა და უკვე ჩვენი თასი, რომელიც საკმაოდ დიდი იყო, შამპანურით აგვივსო, ეს დიუსელდორფში საკმაოდ დიდ პატივისცემად ითვლებოდა. მაშინვე დავუკავშირდა თბილისი და ფეხბურთელები დილამდე უფასოდ ალაპარაკეს თავიანთ მეგობრებთან, რომლებიც გვიყვებოდნენ, თუ რა ხდებოდა თბილისში და საქართველოში.

აგვისტოში მადრიდში კომერციულ ტურნირზე მიგვიწვიეს. მადრიდში ჩასვლისას, სარეკლამო კამპანიას რომ დავაკვირდი, მივხვდი, რომ მასპინძლები ტურნირს მარტო კომერციულ დატვირთვას არ ანიჭებდნენ – რაღაც უნდა დამჯდარიყო, ტურნირში „რეალს" უნდა გაემარჯვა და დაემტკიცებინა, რომ ევროპაში „სუპერკლუბი" იყო. პირველი თამაში დაინიშნა ჩვენსა და „ბაიერნს" შორის. თამაშის დაწყებამდე ტურისტული ჯგუფის ხელმძღვანელებთან, ფეხბურთის დიდ გულშემატკივართან, საერთოდ დიდებულ პიროვნებასთან ომარ სიამაშვილთან საუბარში განვაცხადე, რომ თამაშის დაწყების წინ ავტობუსში ვგრძნობ გუნდის ფსიქოლოგიურ განწყობას და ვიცი, თამაშს მოვიგებდით თუ არა-მეთქი. ომარმა სკეპტიკურად აღიქვა ჩემი ნათქვამი და პირველი მატჩის წინ, სტადიონზე რომ მივედით, ჩამოვიდა ტრიბუნიდან და მკითხა, რას იტყვი, ვიგებთ თუ არა თამაშსო? ჩემი პასუხი ასეთი იყო, „გინდა მომკალი, მაგრამ გუნდში ისეთი სიტუაციაა, რომ, მე მგონი, ვიგებთ". კვლავ სკეპტიციზმი შევამჩნიე. დაიწყო თამაში და ის, რაც მოედანზე ხდებოდა, სიტყვებით გადმოცემას არ ექვემდებარება, თავი განსაკუთრებით ვოვა გუცაევმა გამოიჩინა. რასაც ის აკეთებდა, არც მანამდე (ფეხბურთის გულშემატკივარი ვარ 1956 წლიდან) და არც შემდეგ, დღემდე არ მინახავს. ყიფიანი ხომ ყოველთვის ყიფიანი იყო და ა. შ. მთავრდება პირველი ტაიმი და ვიგებთ 2:1. ამ დროს რუმენიგეს გია თავაძემ „პატკატი" გაუკეთა, წააქცია და მსაჯმა დანიშნა საჯარიმო, ვინაიდან ილეთი ცოტა გვერდიდან იყო შესრულებული. რუმენიგემ მოითხოვა გიას მოედნიდან გაძევება და ამ კამათში მსაჯისაგან დაიმსახურა ჯერ ყვითელი, ხოლო შემდეგ წითელი ბარათი, რუმენიგე გავიდა მოედნიდან, და ერთი ხელის დაქნევით მთელი გუნდიც გაიყოლია. აქ მსაჯმა დაუშვა შეცდომა, აღმართა ორივე ხელი და მატჩი დამთავრებულად გამოაცხადა. წესით, მსაჯს ყველა ზომა უნდა მიეღო, რომ (თუ მეხსიერება არ მღალატობს) 15 წუთის განმავლობაში თამაში განახლებულიყო. ნოდარ ახალკაცმა (არ ვიცი, წინასწარ განზრახულად გამოიყენა მსაჯის შეცდომა თუ მწვრთნელის ინსტინქტით იმოქმედა) გასცა განკარგულება და გუნდი შევიდა სამხაპეში. დაახლოებით 15-20 წუთის შემდეგ მასპინძლებმა გერმანელები მოლაპარაკების შედეგად დაითანხმეს გაეგრძელებინათ თამაში და მიმართეს ნოდარ ახალკაცს, რაზედაც მან აუხსნა, რომ მსაჯმა თამაში დამთავრებულად გამოაცხადა და ფეხბურთელები სამხაპედან სათამაშოდ როგორ გამოვიყვანოთო, პასუხი იურიდიულადაც და ლოგიკურადაც უზადო იყო. ყველას, განსაკუთრებით ნოდარს, გვინდოდა ტურნირის ფინალში მადრიდის „რეალთან" გვეთამაშა.

ფინალამდე ერთი საინტერესო ფაქტი მოხდა, სასტუმროს ჰოლში კახი ასათიანი და მე ვსაუბრობდით, მოვიდა „რეალის" პრეზიდენტი, კახის გაესაუბრა და აბსოლუტურად სერიოზულად განაცხადა, აი თქვენ საბანკო ჩეკი, თანხა თქვენი ხელით ჩაწერეთ და ვლადიმერ გუცაევი დაგვიტოვეთო. სამწუხაროდ, ეს მაშინ არ შეიძლებოდა, თორემ ვოვა იმ მომენტში, ალბათ, უმდიდრესი კაცი გახდებოდა.

ფინალში, თამაშის დაწყებისთანავე დაიწყეს დაცვით ყიფიანზე ნადირობა, განსაკუთრებით გამოირჩეოდა მცველი ანხელი, მან ორჯერ უკანიდან პაერში გაუკეთა ყიფიანს „პატკატი". წესების თანახმად პირველსავე შემთხვევაში ის ექვემდებარებოდა მოედნიდან გაძევებას, ვინაიდან ამაზე უხეში დარღვევა ფეხბურთში არ არსებობს. პირველ ორ შემთხვევაში დათო სასწაულით გადარჩა, ხოლო მესამეზე ფეხი მოტყდა (დამნაშავე კი არც გაუფრთხილებიათ, დაინიშნა ჩვეულებრივი ჯარიმა) და სასწრაფოდ წაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც ფეხი თაბაშირში ჩაუსვეს. თამაში 3:1 წავაგეთ (2 ბურთი აშკარა თამაშგარე მდგომარეობიდან იქნა გატანილი, ერთი 100-პროცენტიანი გოლი არ ჩაუთვალეს). თამაშის შემდეგ „რეალის" პრეზიდენტი პატარა ბავშვივით გვეხვეწებოდა, რომ მიგვეღო მისი სინანული და ბოდიში ანხელის დანაშაულის გამო.

რამდენიმე სურათი დამრჩა თბილისის „დინამოსთან" მივლინებების დროს გადაღებული, ხშირად ნაღვლიანად ვათვალიერებ მათ და მაწუხებს ერთი კითხვა, ნეტავ კიდევ გაჩნდებიან საქართველოში ახალკაცები, დარასელიები, ჩივაძეები, გუცაევები, ყიფიანები, სულაქველიძეები, შენგელიები, გაბელიები, ხიზანიშვილები და ა. შ. და ა. შ., რომლებიც გაიმეორებენ იმ სასწაულს, რაც 20 წლის წინათ 13 მაისს დიუსელდორფში მოხდა.

**ტარიელ ვარდანაშვილი.**

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 111.

P. S. ამას წინათ, საქართველოს ნაკრებმა რუმინეთის ნაკრებთან გულდასაწყვეტი მარცხი განიცადა. მიზეზები მწვრთნელებმა და ფეხბურთელებმა გაარჩიონ, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული ვარ, ნოდარ ახალკაცი ესოდენ საპასუხისმგებლო თამაშის წინ გუნდს საზღვარგარეთ შეკრებაზე თუ წაიყვანდა, თამაშის დღის წინა ღამეს თვითმფრინავში და აეროპორტში არ გაატარებინებდა, ჩამოიყვანდა 5-6 დღით ადრე, რათა ფეხბურთელებს ნორმალურად დაესვენათ და პრაქტიკულად სტუმრის რეჟიმში არ აღმოჩენილიყვნენ.

**ტ. ვ.**

**13 მაისს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართება 20 წლის წინანდელი ფინალისტების — „კარლ ცაისის" (იენა) და „დინამოს" (თბილისი) ამხანაგური მატჩი.**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, შემდგომში შემსყიდველად წოდებული, აცხადებს ღია ტენდერს საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი

2. დასაშვებია სატენდერო წინადადებების წარმოდგენა ერთი ან რამდენიმე პოზიციის მიხედვით. ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენა არ დაიშვება. ტენდერის საფუძველზე შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა. ტენდერში გამარჯვებულმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი საქონლის მოწოდება ყოველი თვის 5 რიცხვამდე 2001 წლის განმავლობაში, საქართველოში განლაგებულ თავდაცვის სამინისტროს ბაზებსა და საწყობებში.

| № | საქონლის დასახელება | ხარისხი | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1. | ავიასაწვავი | ტს-1 | 180 ათ.ლიტრი |
| 2. | დიზელის საწვავი | ლ-40 | 120 ათ.ლიტრი |
| 3. | ბენზინი | აი-91 | 90 ათ.ლიტრი |
| 4. | პურის ფქვილი | I დაII ხარ. | 1320 ტონა |
| 5. | ბურღული | სტანდარტების შესაბამისი | 216 ტონა |
| 6. | ბრინჯი | სტანდარტების შესაბამისი | 84 ტონა |
| 7. | ხორცი | I და II ხარ. | 120 ტონა |
| 8. | თევზი გაყინული | სტანდარტების შესაბამისი | 120 ტონა |
| 9. | ზეთი მზესუმზირის | სტანდარტების შესაბამისი | 48 ათ. ლიტრი |
| 10. | კარაქი | სტანდარტების შესაბამისი | 30 ტონა |
| 11. | შაქრის ფხვნილი | სტანდარტების შესაბამისი | 120 ტონა |
| 12. | კარტოფილი | სტანდარტების შესაბამისი | 1200 ტონა |
| 13. | კომბოსტო | სტანდარტების შესაბამისი | 300 ტონა |
| 14. | კომუფლირებული ფორმის შეკერვა (დამკვეთის მასალით) | სტანდარტების შესაბამისი | 6 000 ცალი |
| 15. | ფეხსაცმელი მაღალყელიანი | სტანდარტების შესაბამისი | 6 000 ცალი |
| 16. | თეთრეულის კომპლექტი ვაფლის პირსახოცით | სტანდარტების შესაბამისი | 12 000 ცალი |

3. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შევსებული საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ 25 მაისიდან 30 მაისამდე, შემდეგ მისამართზე: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2. თავდაცვის სამინისტროს მთავარი სამეურნეო სამმართველო, ოთახი №613.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციას:

**4.1. იურიდიული პირისთვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელ 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე.

გ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა, რომ ის ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე;

**4.3. როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირისთვის:**

ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა ან სანაციის საქმე;

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზევით დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ, მიიღონ შემდეგი პირებისაგან:

თავდაცვის სამინისტროს მთავარი სამეურნეო სამმართველოს შესყიდვების სამმართველოს უფროსი ნუგზარ ღონიაშვილი. ოთახი №610.

მთავარი სამეურნეო სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური განყოფილების უფროსი ამირან ლეაბერიძე. ოთახი №615.

7. სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა ქართულ ენაზე 2001 წლის 15 ივნისიდან 20 ივნისამდე, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, ქვემოთ მითითებულ მისამართზე:

**ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა, №2, თავდაცვის სამინისტროს მთავარი სამეურნეო სამმართველო, ოთახი №613.**

სატენდერო მოსაკრებლის გადახდა ხდება ნაღდ ანგარიშზე, საქართველოს ეროვნულ ბანკში. საბანკო რეკვიზიტები: ანგარიში №115141209, კოდი №220101107.

მიმღები: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი. თავდაცვის სამინისტროს მთავარი საფინანსო სამმართველო.

განცხადება

# „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს თიანეთის რაიონული სასამართლოს აპარატის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე:

წამყვანი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 80 ლარი).

კონკურსის პირობები:

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ – კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია ქალებისათვის 21-დან 60 წლამდე, მამაკაცებისათვის 21-დან 65 წლამდე.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- *წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე:*
- – უმაღლესი იურიდიული განათლება;
- – კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

კონკურსს ატარებს თიანეთის რაიონული სასამართლოს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა თიანეთის რაიონულ სასამართლოში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია;
2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა;
3. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი.

საბუთები მიიღება ორი კვირის ვადაში განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან სამი კვირის შემდეგ.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები („საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიას შემდეგ მისამართზე: დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ. თიანეთის რაიონული სასამართლო, ტელ: 9-17-43.

**საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო.**

განცხადება

საქართველოს ეკონომიკური აღორძინების კავშირი ლიკვიდირებულია.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 112. შაბათი, 12 მაისი, 2001 წელი

ბიბლიოთეკა

## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ბალელი პედაგოგი მიშა აფხაზავა ჩეხეთის ტერიტორიაზე ფაშისტთა „ნარჩენების“ წმენდაში მონაწილეობდა.
1945 წელი, მაისი.
ფოტო მოგვაწოდა მისმა შვილმა – შუქრი აფხაზავამ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

*რედაქცია გთხოვთ, მობრძანდეთ დაბეჭდილი სურათების ორიგინალებისათვის. დაკარგვის შემთხვევაში ჩვენ პასუხს აღარ ვაგებთ.*

## ღიმილის დოზა



– მოწყენილობაა თქვენთან, კლოუნები მაინც მოგეწვიათ...
– მოვიწვიეთ, გუშინ იყვნენ!
– მერე?
– მოვიდნენ, ისხდნენ კარგა ხანს. მოწყენილობააო თქვენთან, თქვეს, ადგნენ და წავიდნენ.

* * *

9 მაისთან დაკავშირებით ბრიანსკში გაიმართა ყოფილი პარტიზანების ტრადიციული შეხვედრა. ატმოსფერო თბილი და მეგობრული იყო. შეხვედრა ტრადიციული კონცერტით, ვახშმით და ხიდის ტრადიციული აფეთქებით დამთავრდა.

* * *

– ექიმო, მგონი შარავანდი გამიჩნდა თავზე.
– არა, გენაცვალე, რქები გადაგეხლართა.

* * *

განცხადება: „დამეკარგა ბულდოგი. ვინც იპოვნა, ღმერთმა აცხონოს“.

## ახალი ნომერი

### ჟურნალ „მნათობს“ თავისი ერთგული მკითხველი ჰყავს

**მართალია, საქართველოს მწერალთა კავშირის ჟურნალი, აწ უკვე 77-ე წელიწადში გადამდგარი, ჩვენი მუდმივი თანამგზავრი „მნათობი“ (მთავარი რედაქტორი თამაზ ჭილაძე) ამჟამად მხოლოდ სამასი ცალი იბეჭდება, მაგრამ თავისი ერთგული მკითხველი მაინც არ დაუკარგავს. ამ ერთგული მკითხველის რიცხვი კი, საბედნიეროდ, რამდენიმე ათეულ სამასს აღემატება...**

სწორედაც ამ მკითხველის გულის გასახარად ამ დღეებში გამოვიდა „მნათობის“ მარტისა და აპრილის გაერთიანებული ნომერი (3-4), რომელიც კვლავ და კვლავ არ ღალატობს თავის ტრადიციულ გზას.

„მნათობის“ ამ ნომერში უხვად არის წარმოდგენილი როგორც პოეზია, ისე პროზა. პოეზიის მოყვარულთ დიდი სიამოვნება ელით **თამაზ ჭილაძის** („ბაბუაწვერა თრთის ხელისგულზე – ჩემი ბავშვობის ოცნების ფერფლი“), **გივი ძნელაძის** („ადამიანი ლაპარაკის დროს მღერის“), **ნოდარ ხუნდაძის, ჯემალ დობორჯგინიძის, ამირან მიქაუტაძის, რეზო ვეკუას** („როგორ ჩუმად დამიბერდი, როგორ ჩუმად დაგიბერდი“) ახალი ლექსების წაკითხვით. აქ არა მარტო ლექსებია ახალი, არამედ ზოგიერთ ავტორსაც პირველად შეხვდება მკითხველი.

ჟურნალი განაგრძობს დღეს უკვე პოპულარული **ზაირა არსენიშვილის „ვა სოფელო...“** რომანის ბეჭდვას, აქვეა **ვახტანგ ახვლედიანის** უთუოდ ნიჭიერად დაწერილი ნოველები (**„ქალი ნისლიდან“, „გამახარე“, „ზებურა“**), სადაც სრულიად ახალი თვალით არის დანახული ჩვენი აფორიაქებული სინამდვილე. ნოველის ჟანრის მოყვარული მკითხველის ყურადღებას მიიქცევს, აგრეთვე, დღემდე უცნობი ავტორის **აქვსენტი კვირტიას** რამდენიმე ნოველა-ჩანახატი, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა შემოგთავაზოთ, რადგან მე პირადად ბევრი რამ მეცნაურა და, მართალი გითხრათ, ამაღელვა კიდეც. აბა ნახეთ, იქნებ დამეთანხმოთ. ამ პატარა ნოველა-ჩანახატს **„ქანგბადი“** ჰქვია:

**„ერთხელ ტანსაცმლის კარადაში გარდაცვლილი ბებიის პალტოს წავაწყდი. ცოტა ხანს ხელი არ მიხლია, ისე ვათვალიერებდი. მერე შევეხე. ჯიბეები შევამოწმე იმ იმედით, რომ მის რაიმე ნივთს ვიპოვნიდი. ორივე ჯიბე ცარიელი იყო, თუ არ ჩავთვლით მიწის და პურის ნამცეცებს, ჯიბის ფსკერიდან თითებს რომ ამოჰყვა. მერე პალტო გავშალე და შიგნიდან დავყნოსე...**

**ბებიას და მის ყოველ ნივთს: ხელჩანთას, ტანსაცმელს, ქოლგას, ქუდს, საათსაც კი თავისებური, სპეციფიკური სუნი ჰქონდა. ასეთი სუნი იდგა მის ოთახში, მისი ტანსაცმლის კარადაში. ეს იყო წამლის, უფრო სწორად, მკურნალობის სუნი. ჩვენ მას ბებიას სუნს ვეძახდით. ყველაზე ძლიერი სუნი, მის ხელჩანთას ჰქონდა. ახლაც მახსოვს, რა დაჰქონდა ბებიას ტყავის შავი ხელჩანთით: ყვითელი ბლოკნოტი, რომელზეც ავტოკალმით მისი ინიციალები ეწერა, პასპორტი, საგულე აბები, სათვალე ტყავის ბუდეში, „პორტმანე“ – როგორც თვითონ ეძახდა, უამრავი ქაღალდი, საბუთები, ხელის კრემი და, პიტნის კამფეტი...**

**ხელჩანთის დაყნოსვა ძალიან გვიყვარდა. ბავშვებსაც და დიდებსაც.**

**ბებია ქირურგი იყო. დაჰქონდა თავისი ქანგბადი – მკურნალობის სუნი და ზოგს ეს აშინებდა, ზოგს ამშვიდებდა (მაგალითად – ჩვენ), ზოგიც საერთოდ არ აქცევდა ყურადღებას.**

**ეს სუნი, ალბათ, მხოლოდ მის ოთახში, ტანსაცმლის კარადაში იქნება შენარჩუნებული.**

**იმ დღეს, კი, მის სუნზე დანატრებულს, იმედი გამიცრუვდა...**

**პალტოს, ნაჭრის ყვავილიეთი, არაფრის სუნი აღარ ჰქონდა“...**




თომას სტერნზე ელიოტის პატივისმცემელთ ცნობილი მთარგმნელი **მაია ნათაძე** სთავაზობს **„ჯ. ალფრედ პრუფროკის სასიყვარულო სიმღერის“ თარგმანს.**

ქართველი მკითხველი კარგად იცნობს გამოჩენილ თეატრმცოდნეს, ჟურნალ „ხელოვნების“ მთავარ რედაქტორს **ნოდარ გურაბანიძეს**, რომელსაც ახლახან 70 წელი შეუსრულდა, ნოდარი მართლაც გამორჩეული პიროვნებაა, ერთ-ერთი ღირსეული მეოცე საუკუნელია. ამ ჩემს ნათქვამში ერთხელ კიდევ დარწმუნდებით, თუ გულდასმით წაიკითხავთ მწერალ **თემურ აბელაშვილის** საუბარს აწ უკვე „ხანდაზმულ ჭაბუკ“ ნოდარ გურაბანიძესთან („თვალებდათხრილი ოიდიპოსივით“...).

ჟურნალს, ტრადიციისამებრ, აქვს კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება, სადაც დაბეჭდილია **ავთანდილ ნიკოლეიშვილის** („ლევან გოთუას „გმირთა ვარამი“), **შოთა ზოიძის** („მუდმივი ერთგულება“, **ზაალ ებანოიძის** პოეზიის გამო) წერილები, ხოლო **„მეცნიერების“** განყოფილება გვთავაზობს **ცირა ედილაშვილის** („გაბრიელ ეპისკოპოსი მართლმადიდებელი ქრისტიანობისა და ეკლესიის ეროვნული მნიშვნელობის შესახებ“), **თამარ ბარბაქაძის** („ქართველი ვერლიბრის პირველი მკვლევარნი“), **ანზორ დარცმელიძის** („ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების შესახებ“) და **თენგიზ ჩხეიძის** („მაჩაბლების საგვარეულო“) პუბლიკაციებს.

ვინც „მნათობის“ წინა ნომერში დაიწყო ქალბატონ **ნათელა ურუშაძის** მონოგრაფიის („მიხეილ თუმანიშვილი ფიქრობს“) კითხვა, ამ ნომერში კვლავ მოუწევს დიდ რეჟისორთან უაღრესად საგულისყურო შეხვედრა.

ჟურნალის ბოლოს პოეტი **ანდრო ბუაჩიძე** რეცენზიის სახით გვესაუბრება XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის თვალსაჩინო, მაგრამ ერთგვარად მივიწყებული მოაზროვნის **ვასილ წერეთლის** ლიტერატურულ წერილებსა და მემუარებზე, რომლებიც ცალკე წიგნად გამოსცა პროფესორმა **დავით თევზაძემ.**

**„ბევრი რამ არის ამ წიგნში დღევანდელი მკითხველისთვის საინტერესო და საგულისხმო“,** – ნათქვამია ანდრო ბუაჩიძის რეცენზიაში, – **ვასილ წერეთელი წერილში „სახელმწიფო, ერი და კლასი“ ამბობს: „გაითქვიფება თუ არა ერი კაცობრიობაში? არა, როგორც არ გაითქვიფება, მაგალითად, პიროვნება ეროვნულ ორგანიზმში. პირიქით, რაც უფრო განვითარდება საერთაშორისო იდეა, მით უფრო განვითარდება თითოეული ეროვნული ორგანიზმი“. ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე ვასილ წერეთელი თავისი ცნობილი ძმის, მიხაკო წერეთლის აზრს იზიარებს“.**

ერთი სიტყვით, ჟურნალის ახალი ნომრის გამოსვლამდე „მნათობის“ ერთგულ მკითხველს უკეთესი საკითხავის ძებნა არ მოუწევს.

**გურამ წიკლაური.**

## ხსოვნა

### მიხეილ გურგენიძე



საქართველოს გამოაკლდა კიდევ ერთი ღირსეული შვილი. გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის ყოფილი მინისტრი ბატონი **მიხეილ გურგენიძე.**

მიხეილ გურგენიძე დაიბადა 1928 წლის 4 თებერვალს რაჭის ულამაზეს ქალაქ ონში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და 1950 წელს მიიღო ინჟინერ-ელექტრიკოსის დიპლომი.

ახალგაზრდა სპეციალისტი მიხეილ გურგენიძე გააგზავნეს ქ. ლენინგრადში, ელექტრომანქანათმშენებლობის გაერთიანება „ელექტროსილაში“, სადაც 1958 წლამდე განვლო გზა ინჟინრიდან ქარხნის ცენტრალური ლაბორატორიების გამგის მოადგილემდე. ამავე პერიოდში ბატონი მიხეილი შეთავსებით მუშაობდა ყოფილი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ელექტროტექნიკის ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ-მუშაკად. ამ წლებში ჩამოყალიბდა იგი, როგორც მეცნიერი-მკვლევარი და უნარიანი პრაქტიკოსი.

1958 წელს საქართველოში მაგისტრალური ელმავლის ათვისებასა და მშენებლობასთან დაკავშირებით მიხეილ გურგენიძე, როგორც ელექტრონული მანქანებისა და საგამოცდო სამუშაოების გამოცდილი ინჟინერი, მიიწვიეს თბილისის ელმავალმშენებელ ქარხანაში, სადაც იგი მუშაობდა 1963 წლამდე ჯერ უფროს ოსტატად, შემდეგ კი ელმავლების პროექტირების სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში საკვლევი განყოფილების უფროსად. ბატონმა მიხეილმა უშუალო მონაწილეობა მიიღო ახალი ქართული მაგისტრალური ელმავლების მშენებლობაში, გამოცდასა და სერიულ ათვისებაში: მისი თაოსნობით და ხელმძღვანელობით ქარხანაში გამოგონების დონეზე შეიქმნა უნიკალური საგამოცდო სტენდი ძრავებისთვის, რომელსაც დღესაც ანალოგი არ გააჩნია.

1963 წელს მიხეილ გურგენიძე მიიწვიეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამრეწველო ელექტრონიკის კათედრის დოცენტად, ხოლო 1971 წელს მისი თაოსნობით ჩამოყალიბდა რკინიგზის ტრანსპორტზე ავტომატიკისა და კავშირგაბმულობის კათედრა, რომელსაც იგი 1983 წლამდე ხელმძღვანელობდა. ბატონ მიხეილის შესანიშნავი ორგანიზატორული ნიჭისა და უდიდესი ერუდიციის გამო კათედრამ უმოკლეს დროში მოიპოვა აღიარება და დღეს ამ კათედრის კურსდამთავრებულები წარმატებით მოღვაწეობენ როგორც რკინიგზასა და მეტროპოლიტენში, ასევე სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე. კათედრის გამგის რანგში წარმატებული მუშაობის აღიარება იყო 1983 წელს ბატონ მიხეილის სატრანსპორტო ფაკულტეტის დეკანად არჩევა, სადაც მან 1992 წლამდე იმოღვაწა.

შესანიშნავი მეცნიერი, გულისხმიერი პედაგოგი და აღმზრდელი, ასეთად ახსოვთ სატრანსპორტო ფაკულტეტის სტუდენტებს თავიანთი უსაყვარლესი დეკანი.

მიხეილ გურგენიძის მრავალმხრივი ნიჭიერება შეუმჩნეველი არ დარჩენილა და იგი 1992 წელს საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის მინისტრად დანიშნეს. შემდგომში ბატონი მიხეილი მუშაობდა გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტის“ დირექტორად, თავისივე შექმნილი კათედრის პროფესორად. იგი იყო 81 სამეცნიერო ნაშრომის, 27 გამოგონების, 7 სასწავლო სახელმძღვანელოს და 4 მეთოდური მითითების ავტორი. ბატონი მიხეილის უდიდესი დამსახურებაა, რომ მის მიერვე აღზრდილ ახალგაზრდებთან ერთად პირველმა შექმნა ქართულ ენაზე სარკინიგზო ავტომატიკის, ტელემექანიკისა და კავშირგაბმულობის ტერმინოლოგია. მიხეილ გურგენიძის გამოგონებები ექსპონირებული იყო ესპანეთში, ინდოეთში, რუსეთში, ბულგარეთში. იგი არაერთგზის მონაწილეობდა სხვადასხვა სიმპოზიუმებსა თუ ფორუმებში; ბატონ მიხეილს უამრავი სამთავრობო ჯილდო ჰქონდა მიღებული.

პოეზიისა და ხელოვნების დიდი მცოდნე და მოყვარული, უბადლო იუმორის პატრონი, სახელგანთქმული მეცნიერი, პედაგოგი, ორგანიზატორი და პრაქტიკოსი ინჟინერი, განუმეორებელი ხიბლის მქონე, ჭეშმარიტად ქართული აღნაგობის, გულის ძლიერებისა და კაცთმოყვარეობის განსახიერება – ასეთად დარჩება ბატონი მიხეილი მრავალრიცხოვანი კოლეგების, მის მიერ აღზრდილი სტუდენტებისა და ახლობლების გულში.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;**
**სატრანსპორტო ფაკულტეტი;**
**რკინიგზის ტრანსპორტზე ავტომატიკისა და კავშირგაბმულობის კათედრა.**

### ზაზა ბორჩხაძე



საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა და მთელი პირადი შემადგენლობა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საჰაერო მიმართულების სასაზღვრო კონტროლის რაზმის უფროსის, მაიორ **ზაზა ბორჩხაძის** გარდაცვალების გამო.

კაცთმოყვარეობით, გულისხმიერებითა და თავმდაბლობით გამორჩეულმა კაცმა თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე უდიდესი სიყვარული დაიმკვიდრა თანამშრომელთა გულებში. ზაზა ბორჩხაძე საქმისადმი კეთილსინდისიერი და მაღალპროფესიული მიდგომისათვის დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისათვის“, მიღებული აქვს მადლობები და წახალისებები.

ქართველი მესაზღვრეები გულისტკივილით ვეთხოვებით ზაზა ბორჩხაძის მარადისობას შეერთებულ სულს და თანაგრძნობას ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

**საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი.**

---

დედა ლამარა ლევინიაშვილი, მეუღლე მაია ჯიქია, შვილი გიორგი ბორჩხაძე, და თამარ ბორჩხაძე, სიდედრი ნუგეშა იოსელიანი, სიძე ლევან კეკელია, ბიძაშვილები გელა ლევინიაშვილი, გიორგი, ირაკლი ბორჩხაძეები, დეიდა, მამიდები, ბიძები, ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზაზა ტარიელის ძე ბორჩხაძე

პანაშვიდი 12 V 5 სთ. გამოსვენება 13 V, 3 სთ. გამსახურდიას პროსპექტი, II კვარტალი, VII კორპუსი, I სადარბაზო.

---

საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი

ლეო კალისტრატეს ძე გაბუნია

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

სს „საქტრანსგაზმრეწვის“ თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მაგისტრალური გაზსადენების ქვეშეთის სახაზო საწარმოო სამმართველოს უფროსი

რევაზ მიხეილის ძე ბურდული

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.**

## ხსოვნა

### შოთა ჭანტურია



საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება ქართველ მედიკოსთა შორის ადამიანის ანატომიაში აღიარებული პედაგოგისა და მეცნიერის **შოთა არისტარხოს ძე ჭანტურიას** გარდაცვალებას.

ბატონი შოთა ჭანტურია დაიბადა 1913 წელს. მთელი მისი შეგნებული ცხოვრება დაკავშირებული იყო ანატომიასა და მორფოლოგიაში პედაგოგიური და მეცნიერული მუშაობის განვითარებასთან.

ბატონი შოთა ჭანტურიას პედაგოგიური მოღვაწეობა იწყება თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში 1938 წლიდან. მეორე მსოფლიო ომის დაწყებისას შ. ჭანტურია სტოვებს პედაგოგიურ და მეცნიერულ მუშაობას და სხვადასხვა ფრონტებზე იმყოფება, როგორც ექიმი. 1947 წლიდან მუშაობას აგრძელებს სამედიცინო ინსტიტუტის ანატომიის კათედრაზე პედაგოგად და პარალელურად მუშაობს მორფოლოგიის ინსტიტუტში უმცროსი მეცნიერი მუშაკის თანამდებობაზე. 1952 წელს წარმატებით იცავს საკანდიდატო დისერტაციას. 1954 წლიდან იწყებს მუშაობას საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში ანატომიის კათედრაზე დოცენტის თანამდებობაზე.

1973 წელს იცავს სადოქტორო დისერტაციას. 1973 წელს აირჩიეს კათედრის პროფესორის თანამდებობაზე. 1984 წლიდან 1996 წლამდე იყო ანატომიის კათედრის გამგე და უკანასკნელ დღემდე მუშაობდა ამავე კათედრის პროფესორად. ბატონი შოთა ჭანტურიას პირადი ინიციატივით შექმნილია სპორტის აკადემიის ანატომიის კათედრაზე არსებულ მუზეუმში უნიკალურად შესრულებული სველი პრეპარატებით მდიდარი კოლექცია.

პროფესორი შოთა ჭანტურია გამოირჩეოდა, როგორც მაღალკვალიფიციური პედაგოგი და გულისხმიერი აღმზრდელი. დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შორის.

ბატონი შოთა ჭანტურიას მეცნიერული ხელმძღვანელობით დაცულია მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

იგი ავტორია ორი მონოგრაფიისა და 70-მდე სამეცნიერო ნაშრომისა. შ. ჭანტურია მრავალი საერთაშორისო კონფერენციის და სიმპოზიუმის მონაწილეა, მისი მოხსენებები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა სპეციალისტთა შორის.

მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა მომზადების პრობლემური საკითხების გადაწყვეტაში ბატონ შოთა ჭანტურიას მიღებული ჰქონდა მთავრობის მრავალი ჯილდო.

სპორტის დარგში მომუშავე მეცნიერების წარმომადგენლები უღრმესი მადლიერების გრძნობით აღნიშნავენ ბატონი შ. ჭანტურიას მიერ გაწეულ ღვაწლსა და სამუდამო პატივს მიაგებენ მის ხსოვნას.

**საქართველოს სპორტის დეპარტამენტი,**
**საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია.**

---



კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მსახიობის აკაკი კვანტალიანის მეუღლე, თეატრის მუზეუმის ყოფილი გამგე, ქალბატონი

მაია შალვას ასული კვანტალიანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე ზინა ტორაძე, შვილი სოსო, შვილიშვილები დიმიტრი, დავითი, და ცუცა, ძმები ველოდი, რობერტ ძერიები, რძლები ლილი ჯიშკარიანი, ეთერ ოთხოზორია, ზოია გოჩოლაშვილი, ძმისწულები პაპუნა, ეკა, ზაალი, ირაკლი, რატი ძერიები, დისწულები გოგი, ნია ყალიჩავები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დიმიტრი ძერია

დაკრძალვა ქ. ქუთაისში, 15 V 2 სთ. ჭავჭავაძის გამზ. კორპ. 2 ბ. 5.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ კოლეგას, ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ მთავარ რედაქტორს რობერტ ძერიას ძმის

დიმიტრი ძერიას

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე რეზო შუკაკიძე, შვილები გოჩა, აჩიკო, ძმა რეზო, ძმისწულები თინიკო, გიორგი, რძალი ნანა სალუქვაძე, ბიძაშვილები კარლო, ნანა, მარინა ჯაფარიძეები, თენგიზ, თამაზ სადუნიშვილები, დეიდაშვილი გურამ ბურდილაძე, დედამთილი ბაბულა იაკობიძე, მაზლი თამაზ შუკაკიძე, მული ნათელა შუკაკიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მერი გიორგის ასული სადუნიშვილი

პანაშვიდი 13, 14 V, 5 სთ. გამოსვენება 15 V, 3 სთ. ნუცუბიძის ფერდობი, მე-4 მიკრორაიონი, კორპუსი №28, მე-3 სადარბაზო, ბინა 57.

---

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოსამზადებელი განყოფილების ქუთაისის ფილიალის დირექტორი

რომან ცინცაძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უნივერსიტეტის პროფესორი, საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

მიხეილ გურგენიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სატრანსპორტო ფაკულტეტი და რკინიგზის ტრანსპორტზე ავტომატიკისა და კავშირგაბმულობის კათედრა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პროფესორი, საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის ყოფილი მინისტრი

მიხეილ გურგენიძე

პანაშვიდი 12 V, 5 სთ. გამოსვენება 13 V, 4 სთ. ქ. თბილისი, ირაკლი აბაშიძის, 68.

---

სააქციო საზოგადოება ნავთობის ეროვნული კომპანია „საქნავთობის“ ნავთობსერვისის სამმართველოს კოლექტივი თანაუგრძნობს ქეთევან და ლია კოზმანაშვილებს დედის

თამარ მიხეილის ასულ ჩიკაძე-კოზმანაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი იუწყება მუზეუმის ღვაწლმოსილი თანამშრომლის

ქეთევან დავითის ასულ ბაგრატიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ქ. თბილისის მერიის კაპიტალური მშენებლობის საქალაქო სამსახურის კოლექტივი ღრმა მწუხარებას უცხადებს თანამშრომლებს ივანე კვინიკაძეს დედის და მზია ირემაძეს დედამთილის

ქეთევან ვაშაკიძის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს კავშირგაბმულობის, ფოსტისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ნუგზარ შოთას ძე ნარმანია

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

## ფაქტი

### ფოტოხელოვანი, მესაზღვრე, კინოლოგი

გამარჯვების დღეს 9 მაისს თიანეთის რაიონში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფოტოკორესპონდენტმა **თედო ნიკოლაიშვილმა,** ყოფილმა მესაზღვრემ, კინოლოგ-ოსტატმა, შთამბეჭდავი ფოტოგამოფენა მოაწყო, რომელზეც წარმოდგენილია ასამდე ნამუშევარი სამხედრო და მხატვრულ თემაზე. ქართული არმიის შექმნის პირველი ეტაპი ფოტოხელოვანის უმთავრესი თვალსაწიერია.

თიანეთის რაიონის პირველი საშუალო სკოლის ეზოში მოეწყო საჩვენებელი წვრთნა საქართველოს პროფესიონალთა და მოყვარულთა სპორტული სამოსამსახურეო კინოლოგიური კავშირის მიერ (კავშირი ერთადერთია საქართველოში, რომელიც მაღალპროფესიულ კინოლოგებს ამზადებს). სპეციალურად გაწვრთნილმა ძაღლებმა საზღვრის „დამრღვევი“ დააკავეს... ეს ღონისძიება მიზნად ისახავდა ჩვენი მომავალი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას. თედო ნიკოლაიშვილს გათვალისწინებული აქვს თიანეთის რაიონის №1 საშუალო სკოლაში ჩამოაყალიბოს ნორჩ მესაზღვრეთა კლუბი.

ფოტოგამოფენა 27 მაისამდე გაგრძელდება.

**საკუთარი ინფორმაცია.**



**სურათზე: ფოტოგამოფენის ერთ-ერთი კუთხე.**

## ტელევიზია

**შაბათი, 12 მაისი**

**10.00** დილის პაემანი **11.35** მიზანი **12.00** საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე **12.20** ნანა ჯაფარიძე წარმოგიდგენთ **13.20** მხ.ფ. **"ოცი ათასი ლიე წყლის ქვეშ"** 1 ნაწილი **15.00** მოამბე **15.15** 50-50 **15.50** მოსკოვი-თბილისი **16.15** აბდა-უბდა **16.35** მხიარული კარუსელი **17.00** მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის საიუბილეო საღამოს ტრანსლაცია თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრიდან **20.00** ტაიმ-აუტი **20.50** აზრი **21.00** მაესტრო **22.25** მუსიკალური ოქტაგონი **23.20** გინდ დაიჯერეთ, გინდ არა **23.45** მელომანია **00.20** მოამბე **00.30** ილუზიონი. მხ.ფ. **"ბაბეტა ომში მიდის"**

**19.00** საბავშვო ფილმი **"ვინ ჩაუშვა კურდღელი როჯერი"** **20.30** ნელსონი **21.20** დასაბამიდან **21.30** პროფესიონალი **22.00** ახლო ხედი **22.50** ჰიტ-პარადი **22.55** მხ.ფ. **"სიყვარულის თავისებურებანი"**

**08.00** მუსიკა **09.00** კურიერი **09.50** ტელევიქტორინა "ვის უნდა ოცი ათასი" **10.50** მულტსერიალი **11.30** საბავშვო ფილმი **12.45** მუსიკა **12.55** სერიალი **"კოლომბო"** **13.40** სიმფსონები **14.05** სერიალი **"ნაზი შხამი"** **15.00** მხ.ფილმი **18.00, 21.00, 01.00** კურიერი **18.20** ტექს ავერი **18.30** სერიალი **"ოკეანის მარგალიტი"** **19.00** ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა **19.50** სერიალი **"ნაზი შხამი"** **22.00 ფსიქო.** მხ.ფ. **"ალამო ბეი"** რეჟ. ლუი მალი **01.10** სერიალი **"წითელი ფეხსაცმლის დღიური"** **01.40** ღამის ჯაზი

იბერია

**მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია** **08.00, 20.00** ანონსი, მულტფილმი **08.15, 20.15** ალსავალი **08.20, 10.00, 11.45, 20.20, 22.10, 00.05** მუსიკა **08.25** მხ.ფ. **"ისტორია ჩვენზე"** **10.05** მხ.ფ. **"აზარტული თამაშები"** **20.25** მხ.ფ. **"ლამაზმანები"** 1 სერია **22.15** მხ.ფ. **"ლამაზმანები"** 2 სერია

**ევრიკა**

**10.00** მხ. ფილმი **"დაამარცხო ლონდონი"** **12.00** პროგრამა "სალონი" **13.30** ფანტასტიკის მოყვარულთათვის მხ.ფილმი **"ზეახალი"** **15.00, 21.00** ვესტი **15.30** მუსიკა **16.00** ინდური ფილმი **19.00** თქვენი ადვოკატი **20.00** თინეიჯერები **21.30** ცეროდენა **21.45** პირველი ნაბიჯები **22.00** თეატრალური შეხვედრები **23.30** მენიუ **23.45** მსოფლიო სპორტი **01.15** მხ.ფ. **"უცნობი სარკეში"**

IST

**07.30** "ცხოვრება სიტყვაში" **09.30** საინფორმაციო პროგრამა "რვის ნახევარზე" **10.00** "ბისი". მხ.ფ. **"მთელი უზარმაზარი სამყარო"** **12.00, 13.55, 21.30, 23.10, 01.10** კლიპ-მიქსი **12.20** მხ.ფ. **"ქალის საკუთრება"** **18.00** მულტფილმი **19.00** "Co.მედია" მხ.ფ. **"სასაცილო გოგონა"** **21.45** პროგრამა "F" მხ.ფ. **"ლტოლვილი"** **23.30** "ბრავო" მხ.ფ. "ფილმი თქვენი თხოვნით": **"მისწრაფება"**. მთ. როლში ალან შაპირო, **"ბინძური საქმე"**. მთ. როლში კრის ფარლი, **"საიდუმლო სტუმრები"**. მთ. როლში ჯეკ სკალია. **01.25** "ღამურა" მხ.ფ. **"სიყვარულის ისტორია"** **02.00** ნონ-სტოპი

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭელია, ომარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – PRESS–98@CAUCASUS.NET
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში. ხოშარაულის 29.